


652  
1968/2

0403640  
00300000000

მიზანია გენერალი



ଶାନ୍ତିକିନୀଚିତ୍ରନାଟ୍ୟ



୧୦.୮୩୫

ଶାନ୍ତିକିନୀଚିତ୍ରନାଟ୍ୟ — ଉତ୍ସବ

ଲାଭେନ୍ଦ୍ରାଚାର୍ଯ୍ୟ-ବ୍ୟାକ୍ୟ-ଲାଭ ରେ  
ଶାନ୍ତିକିନୀଚିତ୍ରନାଟ୍ୟ-ବ୍ୟାକ୍ୟ-ଲାଭ ରେ

ସବୁକାହାତିଥିରେ ମହାନାଲିତା କାହିଁଶବ୍ଦରେ  
ଅଭିନନ୍ଦିରେ ବାନ୍ଦିଗାନ୍ଦିରେ ମହାନାଲିତା

## ორიენტ ხალვაში

### პროგ კაშვი დროშა

ვინ იცის, ღროშა, დაკეცილი,  
 რას ელოდება,  
 წითელი, როგორც ალიონი,  
 ივნისის თვეში,  
 აბრეშუმია, თუ დამუჭავს, სულ ერთი ჰეშვი,  
 მაგრამ თუ გაშლი,  
 ქარებს ცეცხლად წაეკიდება.  
 ჩემი დღეებიც დაკეცილა.  
 როგორც ღროშები,  
 უფრო მაწვება ჯავრი ქვეყნის  
 და სახლკარისა.  
 რომელ ავდარში ნეტავ კიდევ გავითოშები?  
 ან სად გამათბობს ჩახუტება ღროშის  
ტარისა?

მწუხრით მწუხრამდე,  
 რიურაჟიდან გარიურაჟამდე  
 ნდობას,  
 მშვიდობას,  
 ძმობას,  
 ტრფობას მინდა ვქაუვდე.  
 ცაო ნათელო,  
 არ გვიმუხხოლო, აღარ გაშავდე!  
 ვინ იცის, ღროშა, დაკეცილი,  
 რას ელოდება,  
 წითელი, როგორც ალიონი,  
 ივნისის თვეში,  
 აბრეშუმია,  
 თუ დამუჭავს, სულ ერთი ჰეშვი,  
 მაგრამ თუ გაშლი,  
 ქარებს ცეცხლად წაეკიდება.

## ბეგი „შოთა რუსთაველი“

როგორც იტყოდა მაიკოვსკი,  
 ადამიანს და გემს გესალმები.  
 ბედნიერია ზღვა მსოფლიოსი,  
 რომ დაიხურა შენი ალმებიც.

კაცთა სიავის მარად მოძალე  
 ხარ ასე დიდი, ასე მართალი.  
 გემი ძეგლია, ძეგლი მოძრავი,  
 ოკეანე კი — პიედესტალი.

ოკეანეა შენი პოემაც,  
 გემივით ცურავს შიგ საქართველო.  
 ვის შეუძლია მისი მორევა,  
 ვის შეუძლია იგი გათელოს.

მოგესალმები გემს — ადამიანს,  
 ახალ დიდებით რომ იდაფნები,  
 ოკეანეებს ყველას გაიარ  
 ქართული ლექსის ცისფერ აფრებით.

შენ დაგიფარავს შოთას სიმღერა,  
 მისმა სიცოცხლემ მოჰკლა სიკვდილი.  
 შენს წინ ზღვა არსად არ აიმღვრევა,  
 ზღვა გაიშლება ნათელ წიგნივით.

## ჩვენი ხა

სოფლისკენ მუდამ მივიჩქაროდი,  
 ჩემი ბავშვობის ხე რომ მენახა.  
 მას, როგორც ჩემი სიყრმის დღეები  
 ხუჭუჭა უვერი ბევრჯერ შეახმა.

არც წიფელია, არც მუხა მძლავრი,  
 არც კვიპაროსი და არც ჩინარი.  
 ერთი უბრალო ხე ფესვგადგმული  
 გზასთან, ფლატუზე დგას უჩინარი.

თავს ყვავილებით როდი იწონებს,  
 მხოლოდ აპრილში ჩუმად მწვანდება.  
 თვალით ზომავენ, მაგრამ ვერ სჭრიან,  
 მთა ისე თითქოს გავერანდება.

ყველა ოცნება ჩემი იცოდა,  
 რომ ვეყრდნობოდი შუბლს  
     მიგრილებდა,  
 ჩემს ფიქრებს მაღლა აიტაცებდა  
 და თითქოს სადღაც ცა იგრგვინებდა.

ხე ახლაც ლურჯი სევდით გასცერის  
 კლდეებს, ჩანჩქერებს, ხევებს უძიროს  
 და ხელებაწვლილს მოხრილ თითებში  
 ბეღურას თბილი ბუდე უჭირავს.

## როცე პვერიდან პუცქერდით გუხათას

როცა ჯვარიდან ვუცქერდით მცხეთას  
 და მონასტერთან ქროდნენ მერცხლები,  
 შენ თქვი: მზის სხივი მაცვივა გულზე  
 და საქართველოს ცის ნაკვერცხლები.

როცა ჯვარიდან ვუმზერდით მცხეთას,  
 ცა წარსულივით იყო მოქუფრო.  
 გვესმოდა მიწის მდუღარე ფეთქვა  
 და ერთმანეთი გვიყვარდა უფრო.

\* \* \*

გარდაიცვალა ტირიფის ჩრდილი,  
 მზეს დედამიწა გადაეფარა,  
 ფერი მორევის და ფერი ლილის  
 შეწუხებულმა მთებმა დაღვარა.

მამალი დაჯდა ქლიავის ტოტზე,  
ნიავმა ბუხრის კვამლი დაღალა-  
ამაღამ ნეტავ რა უნდა მოხდეს?  
რა უნდა მოხდეს ნეტავ ამაღამ?!

\* \* \*

თითო მარცვლობით ნაკრებ სიხარულ  
მწუხარ სახეთა ხნულებში ვთესავ,  
და ლურჯ ზეცაში შემოდგომაზე  
მზე დამწიფდება საუკეთესო.

როგორც მერანი დაურახტავი  
ქარი გამაფრენს შლეგი, ტიტველი,  
სხივებს ძაფებად ხეზე გავბამ  
და წვიმის წვეთებს დავთვლი თითებით.

## ფუნქ დგეგუაძე-ფულარია

### ძველი სახლი

ახლოვდებოდა ოქტომბრის დღეები.

ქალაქების, დაბების, სოფლების ქუჩებსა და მოედნებს სადღესასწაულო სამზადისი ეტყობოდათ.

უკანასკნელი ცოცხი უვლიდა ახალი სახლების ეზოებს. სახლები კი, თავისი მრავალი სართულებით, ამაყად გადმოჰყურებდნენ დიდი ეზოში დარჩენილ დაბალჭერიან პატარა ქვითკირის ქოხს.

ახალ სახლში დაბინავებული დიასახლისები, ფრიად კმაყოფილნი თავიანთი ბინებით, ახლა ამ ქოხის გარშემო საუბრობდნენ.

— არ იქნა, ვერ დაანგრიეს ეს ქოხი, ვერ გაწმინდეს ეზო!

— ბაღს გვპირდებიან და ბარემ დროზე გააკეთონ, გაიხარებენ ბავშვები, ეზოც მწვანე ხეებითა და ყვავილნარებით გაცოცხლდება.

— რა თქმა უნდა, კარგი იქნება, ყვავილნარი ჩვენც გვეამება, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად არ კეთდება;

— ამ ქოხში მცხოვრებთაც ნეტაც მაღლე მიუჩინონ ახალი ბინა. ეს სასიხარულო დღეები სიამით გაატარონ ბარემ.

— მართალი გითხრა, ასე მგონია, თითქოს ახალი ბინით გამოწვეულ სიხარულს რაღაც აკლია. — უპასუხა ახალგაზრდა მეზობელმა და დასძინა:

— რომ იცოდეთ, ამ პატარა ქოხში ბუთი სული ცხოვრობს, წარმოგიდგენიათ, რა ვიწროდ იქნებიან?! ანიკო საავეჯო ქარხანაში მუშაობს, ქმარი სამამულო ოში ლაპკერგა, მაგრამ ორი შვილი გამოზარდა. ქალი-შვილი, მგონი, მესამე კურსზეა, ვაჟი ტექნიკურში სწავლობს. მათი ბებია—ნანო, კიდევ მრეცხაობს, ხოლო ბაბუა სესე ლამის დარაჯად მუშაობს სავეჯო ფაბრიკაში. კაცმა, რომ სთქვას, სწორედ მაგათ უნდათ დახმარება!

— მაგათაც მისცემენ ბინას! — დაჯერებით მიუგო დარბაისელმა ქალმა ზემო აივნიდან.

ქალებს ჯერ კიდევ ლაპარაკი არ დაემთავრებინათ, რომ ეზოში „ვოლა-გა“ შემოცურდა და ქოხთან გაჩერდა. მანქანიდან მოხუცა სესე, ანიკო და უცნობი გადმოვიდნენ.

ნანომ ქოხის კარი გააღო და გაფიტრებული ქმარს აღელვებით შე-  
უკითხა:

- გადავდივართ?
- გადავდივართ, გეთაყვა, აბა, დატრიალდი! შინ არავინ არის?
- არა, ჯერ არავინ მოსულა.
- ეს კაცი ვიღაა, შინ შემოიყვანე, კაცო!
- ჩვენი ადგილკომია, ორდერი შენ უნდა ჩაგაბაროს. ასე აქვს გადა-  
წყვეტილი. შენი მეუღლე ყველაზე ღირსეულიათ და აპა, შენა და ესეცა  
ადგილკომი! — ვითომც გაჩავრებით ოქვა სესემ და გაემართა ადგილკო-  
მის თავმჯდომარისაკენ, რომელიც თითქოს ახალ შენობებსა და სესეს  
ქოხს ერთმანეთს ადარებდა, — შენ გენაცვალე, გიორგი, — გაესიტყვა იგი  
სტუმარს — აპა ჩემი დედაკაციც და ბარემ მიეცი ორდერი, საქმესაც მო-  
ვრჩეთ!

გიორგის გაელიმა, ბერიკაცს მკლავი გამოსდო და ნანოსაკენ წავიდ-  
ნენ.

- მე მინდოდა უფრო საზეიმო ვითარებაში გადმომეცა, როცა ყვე-  
ლანი შინ იქნებოდით, მაგრამ რაკი არ ხერხდება. ეგრე იყოს, — თქვა  
ლიმილით და პორტფელი გახსნა, რვეულის ფურცლისოდენა მოვარდის-  
ფერო ქალალდი ამოილო და ნანოს გადასცა.

ნანოს ორდერი ორივე ხელით ფრთხილად ეჭირა, თითქოს გახევისა  
ეშინოდა.

- ეგეთი ფარატინა ქალალდი და ამოდენა ბინა?
- ჰო დედი, ჰო! — უპასუხა გიორგიმ. მერე ჯიბილან გასალების  
შეგვრა ამოილო, რამდენიმე აარჩია და სესეს გადასცა.
- წავიდეთ, შევალოთ ბედნიერების კარი! — თქვა და ახალი სახლის  
ერთ-ერთ სადარბაზოს მიაშურა. როცა მეორე სართულზე ავიდნენ, სესემ  
აღელვებისაგან გასალები ძლივს მოარგო.

შიგ შესულები ჯერ არც კი იყვნენ. რომ მოპირდაპირე ბინის კარი  
გაილო და ახალგაზრდა დიასახლისმა ხილით სავსე სინი და ბოთლით  
ღვინო გამოიტანა. რამდენიმე მეზობელიც გამოვიდა, ახალი სახლის ფუ-  
ძე და ჭერი დალოცეს. ცოტა ხანს ისაუბრეს, შემდეგ გიორგი აჩქარდა, მას,  
გარდა სესესი, ყველა გაჰყვა.

იგი შუა ოთახში დაფიქრებული იდგა.

- „ეპეი, რა იქნებოდა, შვილო, შენც აქ მენახე, შენს ცოლშვილში“. — გაიფიქრა მან. ნაღველს ვეღარ გაუძლო, გარეთ გამოვიდა, კარი  
ჩაგეტა და თავის ქოხს მიაშურა.

ლია კარიდან ნანო დაინახა, შუა ოთახში იდგა და დაღარულ ლოყე-  
ბზე ცრემლები სცვივოდა.

„იყოს, — დეე გული მოიოხოს“ — გაიფიქრა და ოლარ შევიდა.

ახლალა შეამჩნია ანო, რომელიც ახალგაზრდა ხეს მიპყრდნობოდა, შეამუშავდა ფეხსაცმლის წვერით მიწას ჩიქჩნიდა.

— რა მოვდის, შვილო? — შეეკითხა სესე, — გეცოდება განა შენი პატარა ქოხი, ხმა გამე, შვილო!

ანიკოს დამაშავესავით გაეღიმა.

— მართლაც და, მეცოდება, თანაც იმდენი ტკბილი დღე და სომწა-რეც მახსოვს, რომ გული მეთანალრება. ერთი ღრო იყო, აქ მოსვლა მეზა-რებოდა, არც მოვდიოდი ჩემი ვასოს დაკარგვის შემდეგ. მამამაც მითხრა, ქმამაც, შინ წამოდი, ჩვენ დაგეხმარებითო, მაგრამ ვერც თქვენ შეგელი-ეთ და ვერც ამ ნაოფლარ ქოხსა.

— ეეჲ, ეგრეა, შეილო, რას იზამ. მწუხარება და სიხარული განუყრელი ქმებია. ახლა იმ დედაკაცს მიხედე, თორემ ცრემლებად იღვრება, შე კი მივიხედ-მოვიხედავ, ახლა სარდაფში ჩავალ, ხმა არაფერია მისალაგებე-ლი — ფუსფუსით თქვა სესემ და ახალი ბინის სარდაფისაკენ გაეშურა.

ანიკო შინ ფეხაკრეფით შევიდა და დედამთილს მოეხვია... ნანო შეკ-რთა. რძალი სიყვარულით შეათვალიერა, შემდეგ კი ხვეწნით უთხრა: — შვილო, ვასოს მზეს გაფიცებ, ცოტა ხანს მარტო დამტოვე!

ანიკო უსიტყვოდ გაუცალა და ტირილით მამამთილისაკენ გაემართა.

— რა ეშმაკი გატირებთ, ჰა? სატირალი რა გაქვთ?! — გაკვირვებით სთქვა სესემ, როცა რძალი თვალცრემლიანი სარდაფში ჩავიდა.

სესემ ხელი ნერვიულად ჩაიქნია და დაუყვავა: — მოდი შეილო, აქ ბევრი რამე გვექნება ალბათ გაღმოსატანი, ფაბრიკის ნაჩუქარ ავეჯს აქ-ლავე მოვიტანთ. ჩემს პატარა ვანოს ენაცვალოს. პაპაი, ტელევიზორს მოიტანს, ამხანაგთანა ჰქონია შენახული. ასე რომ, კარგად მოვეწყობით, სამ თახში გემრიელად მოვიკალათებთ.

ამ დროს კი ნანო თავის პატარა ქოხში ნელი ნაბიჯით დადიოდა, ცრე-მლები კვლავ სდიოდა დალარულ ლოყებზე და თავისთვის ჩურჩულებდა: — ვაი, შეილო, ვასო, შენ უნდა ტრიალებდე ახალ ბინაში, ქოხში დაიბა-დე, ქოხში გაიზარდე, ჩვენ კი ახალ ბინაში მივდივრთ. მაპატიე, რომ შენი მოხუცი მშობლები კვლავ ახალ ბინას შეხარიან. შენს შეილებზე ვზრუ-ნავთ, ისინი კარგები დადგნენ, კარგები. ბიჭო! შენ ხამ აქ ქოხში დაბადე-ბიჭო! აქ აიდგა ფეხი, აქ დაიწყო ულურტული, აქ... აქ... შემდეგ, შემდეგ კი საშუალო დამთავრე, ქარხანაში მუშაობდი, ცოლი შეირთე, გოგო შეგვ-ძინა. ჩემი რძალი მეორე შეილზედ ფეხმძიმე იყო. გახარებული ვიყავით, სიღარიბეს ვერ ვვრძნობდით, ლუკმა პური ყოველთვის გვერ-და, და ამ დროს... ქალს ფიქრი გაუწყდა, ჰო, ძლიერს გადააბა ახ-რი ერთმანეთს — დაიწყო უბედურება, დაიწყო სამამულო ომი. წასვლი-სას რამდენჯერ გადაგწერე პირგვარი, რამდენი გლოცე, ვთხოვდი ღმერთს კარგად დაბრუნებოდი დედას, არ დამიბრუნდი, ჩემ ვასო. დედის გუ-ლი აატირა ომმა. შეილო, თვალწინ მიდგახარ, რარიგ გშვენოდა სამხედ-

რო ტანისამოსი, გვეთხოვებოდი, ცოლ-შვილს გვაძარებდი. არ იყავ ჯიბა-  
ნი, უცრემლოდ გადი ოჭახიდან, ვაჟეაცურად დაიღუპე კიდეც; არ ბიჭო-  
შენი უკანასკნელი წერილი. — სოქვა და კაბის გულისპიჩიზე შჩგნიდან მა-  
კერებულ ჯიბიდან სათუთად დაკეცილი, სუფთა ნაჭერში გახვეული შვი-  
ლის წერილი და სურათი ამოილო... კოცნა დაუწყო....

გარედან სესეს ხმა მოესმა: — საღა ხარ, ნანო!

— აქა გარ, დამაცადე. — კედელთან მივიღა, სადაც ოდესლაც ვასოს  
აკვანი ედგა, დაკოცნა და საჩქაროდ ოთახი დატოვა.

მეორე დილით პატარა, დაბალ ქვიტკირის სახლს მუშები შემოესივ-  
ნენ. ერთგულად ნაშენი გამოდგა ძველი სახლი. მუშამ წუთით წერაქვი  
შეაჩერა, ოფლი მოიწმინდა და ამხანაგს გადასძახა:

— ბიჭო, არ შეგვიდა ხელში ამ ბებრუხუნა კედლების ნგრევამ?!

სესეანთი ყველა სამსახურში იყო. ხოლო თვალცრემლიანი ნანო ახა-  
ლი ბინის ფანჯრიდან გაფითრებული გასცემოდა ძველი ბუდის მოშლას.

## ანდრი თევზაპე

### განკარღება გული

ჯანხელ სა ბელი და შენსკენ ვაღლტვი,  
 გახსენი ბალის ყველა კარები,  
 სევდის მომგვრელი გაფანტე ეჭვი,  
 სულს მიეც შვება გამოდარების...

რაც დაკარგულა, ის ალარ მოვა,  
 რაც დარჩა, ისიც არის საქმარი.,  
 და ყვავილების ჩავთვალოთ თოვად,  
 თუ თმებში ადრე გაჩნდა ზამთარი.

\* \* \*

მე შენს ნატვრაში ვათენ-ვალამებ,  
 ცხრა მთა თუ ცხრა ზღვა  
     გვაშორიშორებს,  
 ხანდახან ჩუმად ცრემლიც დავლვარე,  
 მაგრამ ნუგეში ვერსად ვიშოვე.

სიზმარში მაინც მეჩვენე ერთხელ,  
 შენი ხატება დამალოცვინე,  
 მერე თვალების ცრემლით დამსეტყვე,  
 გინდ შემომწყერი, გინდ შემომცინე.

ოღონდ შორიდან გამომეცხადე,  
 გულს მაგრძნობინე იების ფენა;  
 სიცოცხლეს გავცვლი ერთ შავ  
     მერცხალზე,  
 რომ შენს სახლის წინ შემეძლოს  
     ფრენა.

35 კრიმ ჯინჯირები

# ქადაგი



საამქროს უფროსთან ახალგაზრდა ინჟინერი შევიდა. უფროსი ნაზახს ჩატკირებული მან წარბის ქვემოდან ახედა შემოსულს და თვალით ანიშნა. დაჯექიო. შემდეგ ნახაზი სწრაფად დაგრაგნა და ღიმილით მიუბრუნდა.

— გისმენთ, ყმაწვილო!

— პატივცემულო არჩილ, — შეწუხებული ხმით დაიწყო ინჟინერმა, მერე ჭიბიღან ნაკეცი ქალალდი ამოილო და გაუწოდა.

უფროსმა ბარათი ყურადღებით ჩაიკითხა.

— სულ ეგაა? შემაშინე, კაცო!

— დედას მოვნატრებივარ, — დარცხვენით თქვა ახალგაზრდამ.

— მერე?

— უნდა გამიშვათ!

საამქროს უფროსმა ჩვეული კეთილი ღიმილით გახედა, ბოლოს კი რატომღაც წარბი შეტკრა, მოილრუბლა... ფანჯარასთან მიგიდა, სივრცეს მიაჩერდა და ხმადაბლა თქვა:

— ნუ აწყენინებ დედას, ახლავე გაემგზავრე!

როცა საამქროს უფროსი მაგიდას დაუბრუნდა და ახალგაზრდა შეათვალიერა, ნაღვლიანად უთხრა:

— იცი, გურამ ჩემო, დედებს სათუთი გული აქვთ, გაუფრთხილდი... ჩემი დედის შესახებ მინდა გიამბო ცოტა რამ. — საამქროს უფროსმა პანიროსს მოუკიდა და ნელა დაიწყო:

— მამა სამამულო ომში დამეღუბა... დედა შრომაში დღე და ღამეს

ასწორებდა და ისე მზრდიდა. როგორც ხედავ, ცუდად არ გავუზრდოდა უმაღლესიც კი დამამთავრებინა და „კაცებშიც გამომიყვანა“, რომელიც თვითონ იცის ხოლმე თქმა.

მამის ომში წასვლისას ხუთი წლისა ვყოფილვარ. მე კი მისი არც მშობლიური ალექსი მახსოვს და წარმოიდგინეთ, სახეც კი ვერ აღმიღენია. ხუთი წლის ბავშვს ცოტა რამე მაინც უნდა დამახსოვრებოდა მამასთან ერთად ყოფნის დროიდან.

მშვენივრად მახსოვს პატარა ამბავი, რომელიც ოთხი წლის ბაცშვმა დავიძახსოვრე. შემოღვომა იდგა. იმ დღეს კოკისპირული წვიმა მოვიდა. დედის მოუცლელობით დრო ვიხელოთ და მთელი დღე გუბეებში ვიტანტალე. დაესველდი, ივად გავხდი, მთელი ღამე ვბოდავდი... დედის დიდმა ზრუნვამ მალე გამომაკეთა.

ერთ დღეს, როცა თვალი გავახილე, მაგიდაზე სხვადასხვა ზომისა და ფერის ვაშლები დავინახე. დედას დავუძახე.

— ახლავე! — მომესმა დაბლიდან მისი ხმა, შემდეგ კიბეებზე დედის ფოსტლების ტყაპუნიც გაისმა.

— გაიღვიძე, ჩიკო?!

— დედი, ვაშლი მინდა!

— რომელი, პანტა თუ...

მე პანტა არ მინდოდა, დანარჩენები ჩემებურად მოვნათლე და დედას მივუგე, არაპანტა მინდა-მეთქი. არაპანტას გაგონებაზე დედას სიცილი წასკდა, ყველა ვაშლი ლოგინზე დამიყარა და გულში ჩამიკრა. შემდეგ ეს ამბავი ნაცნობ-მეგობრებს უამბო. ასე შემერქვა მეტსახელად „არაპანტა“. ჩემი ტოლ-ამხანავები, როცა სოფელში ჩავალ, ახლაც არაპანტას მეძახიან ხოლმე.

ეს ყოველივე როგორ ნათლად მახსოვს, ხედავ გურამ? მამისას კი, ვერაფერს ვიგონებ, საოცარია, ხმდ?! ოთხი წლისამ თუ რაღაც იწილობიწილო დავიძახსოვრე, ხუთი წლისას უფრო მეტი უნდა მხსომებოდა. ეს გულისტყივილი ამოუცნობი დარჩებოდა, რომ ერთხელ თვით დედაჩემს ეს უხილავი ბურუსი არ გაეფანტა.

მაშინ (ეს ინსტიტუტში სწავლის დროს) სახელმწიფო გამოცდებისათვის ვემზადებოდი, რომ დეპეშა ვაფრინე დედასთან—მალე გამოცდები მეწყება და ცოტა ფული მომაშეელე-მეთქი. ფულის ნაცვლად დედა თბილისში სასწრაფოდ ჩამოვიდა. ძალიან გამეხარდა, უფრო კი გამიკვირდა. როგორ მოახერხა იმოდენა ოჯახის დატოვება მარტოხელა ქალმა-მეთქი. ამის შესახებ კი დედაჩემმა ცოტა თავიც წამოიქა: — რასაც დასთეს, იმას მოიმქი, შვილო, თუ ვარგიხარ, ვარგებულებს რა გამოვილებსო.

დედა გამოცდების დამთავრებამდე ჩემთან დარჩა. ბევრი კარგი ამ-

ხანაგი მყავდა, მაგრამ დედაქემის ჩამოსულამ მათთან უფრო დამტაჭლებული და დამამეგობრა. იგი ყურადღებას სხვა ბიჭებსაც არ აკლებდა. უფრო დამტაჭლებული გოგონებს შეიყვარა თავი. ისინი რძლობაზე ერთმანეთს ეცილებოდნენ. ოხუნჯობაში დედაც შეჰყვებოდა ხოლმე. ყველამ უცებ შეიყვარა ჩემი კარგი დედა. მე თავი მომწონდა მისით.

დედა მე უფრო მიყვარდა, ვიდრე იმათ, ვისაც მამა ჰყავდათ, რადგან მეცოდებოდა. მიყვარდა იმიტომ, რომ მამის სახელს ხშირად მიხსენებდა. მამისადმი ხსოვნასა და პატივისცემას ყოველ წუთში მინერგავდა. მამის ოქროს ძეგლი ხარო, მიჩიჩინებდა. ისე იცხოვრე, რომ მამის აუგად ხსენება არ დაიმსახურო, უბადლო ვაჟუაცი იყო და მისმა კვიცმაც გვარზე უნდა იხტუნოო.

დედის ყოველი სიტყვის მჯეროდა, ვცდილობდი ჩემი კარგი ბიჭობით გავფრთხილებოდი მამის სახელს.

ერთ საღამოს, რაც ბოლო გამოცდას მოცრის მისადასტური, ბიჭებმა ლხინის გადახდა მოვიწადინეთ. რესტორანში ერთ მყუდრო ადგილს მივუჭექით და პირველად მშვიდობის ფუქე ვადლეგრძელეთ... მერე სამშობლოს მზე დავლოცეთ. მშობლები ვადიდეთ. ერთმანეთი ვაქეთ და ბოლოს ღვინომაც თავისი ქნა. აღარ მახსოვს შინ როგორ მომიყვანეს და რა ჩავიღინე.

დილით, როცა გავიღვიძე, თავი მტკიოდა. შემკრთალი დედა ჩუმად მომიახლოვდა და ლოგინზე ჩამოჭდა. მისი მკაცრი სახე არ მეამა. დედამ ცივი ხელი შუბლზე დამადო.

— წახდი, ბიჭო?!

არაფერი მიპასუხნია.

— წახდი-მეთქი! — ხმას აუწია.

— რა მოგივიდა, დედა!

— წახდი, ხომ?! — ხმა გაებზარა დედას.

— რა მოხდა, მე აწი კაცი ვარ!

— რა კაცობაა ეს! — ტირილით მითხრა დედამ და ტუჩები აუცახდა.

მე ვდუმდი... მინდოდა აღმედგინა წინაღამე მაგრამ ვერ ვახერხდი. დედამ თვალებში ჩამხედა და შეაცრად შითხრა:

— მამა გახსოვს, ბიჭო?!

— არა! — გაოცებით მივუგე — რად დასჭირდა ახლა მისი გახსენება-მეთქი,

— მერე და რატომ, თუ იცი!

— არც ეს ვიცი!

— მინდოდა მეთქვა მისი დიდი ნაკლი, მაგრამ...

ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ელდამ დამკრა... დედა მიხვდა ჩემს შეტუნებას.

— ისეთი არაფერი ჰქონია, — შეეცადა დავემშვიდებინე.  
 — ნულარ დამიმალა! — დავაძალე დედას.  
 — ყოველდღე თვრებოდა ლოთი იყო...  
 — მერე!  
 — საშინლად ილანძლებოდა, ყველაფერს ამტვრევდა...  
 — მერე?  
 — შენ გეშინოდა და ემალებოდი, მეც გარიდებდი.  
 — ის რას შერებოდა მერე? ბოლიშს იხდიდა, ხომ?  
 — ბოლიში რას შველიდა, შვილო, ალარაფერი ახსოვდა და არც  
 იჯერებდა. შენ მას არ ეკარებოდი და ყოველთვის გაურბოდი.  
 — ჩემი ნახვა არ უნდოდა?  
 — შენ წუხელ ვისმეს ნახვა გინდოდა? — მწარედ გამიღიმა დედაშ  
 და მზერა ამრიდა.  
 საშინლად შემრცხვა და შემეცოდა ჩემი საბრალო დედა, თურმე რა-  
 მდენსანს ინახავდა გულის ხეოშიადს და გამანდო მხოლოდ მაშინ, როცა  
 აუცილებელ საჭიროდ მიიჩნია, როცა ჩემმა საქციულმა შეაშინა და სა-  
 გონებელში ჩააგდო.

—

დედებს სათუთი გული აქვთ, გური, გაფრთხილება უნდა!

## მეღვა კახიძე

### ვაზის საბალობელი

ზოგს უცხოდ წასულს ისევ და ისევ  
 მოენატრება თეთრი არყის ხე,  
 და ლამაზ ცირცელს — გაფრენილს ცისკენ  
 ახლობელივით მოინაკლისებს.  
 ჩვენ კი ოდითვე იმერ-ამიერ  
 ქართულმა ვაზმა გვისაბრალისა.  
 ის იყო ჩვენი მრავალუამიერ  
 მოშავბედებულ დღის და ხვალისა.  
 როგორც დროუამის ნესტის კედელი  
 მზით და სიმწვანით ხარბად იცხები,  
 ძვალმაგარი და შეუდრეველი,  
 დგახარ ჩუმი და დარბაისელი.  
 შენი შემყურე ცხადლივ ვთენდები.  
 შენი ფეხსვების იმედს ვიგულვებ,  
 სავსე მზითა და თაფლის მტევნებით  
 ვიგალობებ და ვიმედიდურებ.  
 არ გითხვია მოსეულ მტრისთვის  
 პატიება და შეღავათები,  
 მეომარივით ბრძოლით და წინსვლით  
 გამოგივლია ეს აღმართები!  
 ჩვენში არც ერთი ქართველი კაცი,  
 შენთვის სიცოცხლეს არ დაინანებს  
 ლაზის ხმალივით ბრძოლაში გაცვდი,  
 მხარში ედექი აღამიანებს.  
 შენ შევიტყვია სიცოცხლის მადლი,  
 ქართლის ომები — ნანახი ცხადლივ,  
 ახლაც სიზმრებში გაფეთიანებს!..

ଦାୟ, ଚନ୍ଦ୍ରଶେଖର ଶ୍ରୀପତିନାଥଙ୍କୁ ପାଇଁ  
ଚନ୍ଦ୍ରଶେଖର ମହାନାନ୍ଦିନୀଙ୍କ ପାଇଁ  
ମେ ପାଇଁ ଲୋକରୁଷିତ ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପାଇଁ  
ସାହିତ୍ୟକାନ୍ତରିକ ମହାନାନ୍ଦିନୀଙ୍କାରୁଷିତ.



## ლარო სიმღერები

### იბრაჟიმ!..

იბრაჟიმ!..

ზამთრის ამ დილით, როცა სიციეის გარდა აჩაფერს  
 არ გაგრძნობინებს ეს ვრცელი წყალი,  
 რომელსაც ჰქვია, უბრალოდ ზღვა, მე ვფიქრობ შენზე—  
 კაცხე და ზღვაზე.

\* \* \*

ახლა წვიმს მხოლოდ მომაბეზრებლად  
 და ნაესადგურში თევზის სუნია...  
 ხოლო სულ აქვე, დაბალფიცრულში  
 შეყუდრებული მეთევზეები  
 ბათუმში განთქმულ შავ ყავას ხვრეპენ.  
 წვიმა ცელივით ბრწყინვას სარქმელში,  
 მოთმინებიდან გამოჰყავს ლამე.

\* \* \*

იბრაჟიმ, მე მაგონდება ზღვა სხვანაირი!

\* \* \*

ზღვა — მოწყალების ღვთიური თებლი,  
 მზით დალექილი;  
 ზოგჯერ ამღვრეული შიშივით..  
 ...გაწილებული — სულის ახსნამდე,  
 ...აღზევებული მიწის სიმშვიდე;  
 სიშიშვლე სულში ჩამჯდარი ზღვის  
 და შიგ შესული აღამიანი,  
 შესული თითქოს და თითქოს არცა...

\* \* \*

ზღვაში ცხოვრობდნენ და ჭამდნენ მარილს,  
 ბოლოს მიწაში წვებოდნენ მაინც...

— აბრაჰამ...  
 მე ვფიქრობ შენზე —  
 კაცზე და ზღვაზე.

\* \* \*

არ ახსოვდეს კაცს დაბადება, თვისა --  
 ზღვასავით მუნჯი...  
 და უსურათოდ დარჩენილ გვარში —  
 ამაგი ღმერთის!  
 მტლად დადებული მარილის ფენა  
 უხორცო კანზე,  
 რომელიც თითქმის არაფერს ამბობს  
 სიღიადეზე.

\* \* \*

ზღვა სად იწყება,  
 ზღვა სად თავდება,  
 სად არის ბოლო  
 და საფუძველი!  
 ან სად იწყება,  
 ან სად თავდება  
 უერთმანეთოდ კაცი და ზღვა...

\* \* \*

იბრაჰამ — ჩემი ბავშვობის ხილუა...  
 ჩემი ბავშვობის შენ ხარ სიბერე.  
 შენ აიკემსე სულში ძარღვებად  
 ჩვენი წუხილი, ჩვენი ლოდინი  
 და იღუმალი სასოწარკვეთა.

\* \* \*

როცა იწვოდა თევზი ტაფაზე  
 და ერთ ტაფაში ვიწვოდით ყველა —  
 რაღაც იხევდა უკან ჭიქურად,  
 რომელსაც უფრო ყველაზე ძლიერ  
 გრძნობდნენ დაოლილი შენი თვალები,  
 ომს, ზღვასა და შეზღუდულობას...  
 რომელშიც იწვა ქვეყნის ღუმილი...

\* \* \*

იქნებ ჩემსავით არ ვიყვარს თევზი;  
 დიდი ჭილის და სიცოცხლის ფასად

წინ მიუძღვები უდროშო ოჯახს  
და ცხოვრობ ზღვაში კაცის ცხოვრებით,  
უმისამართო ქოხების ზღვაში,  
და შენ მოგვივის გამლაშებულა  
ცივი ქარების გაბმული ექო...  
...ეჭე, იბრაჟიმ,  
იბრაჟიმ, ეჭე!  
და ისახება გალიბრულ სივრცით  
მზე დიდებული,  
მზე ძარღვისფერი...



\* \* \*

ჩე ებჯინება კაცის ხერხემალს,  
მზე — ნაოჭებში გაშეშებული,  
გახევებული ჭალარა ომებში,  
ქვამარილივით გაქვავებული...  
სახეზე თითქოს კანი ქერცლია,  
გაქერქებული მარილის გამო.  
სად არის ფუძე და საფუძველი...  
შენ სად იწყები,  
ზღვა სად იწყება!...  
იბრაჟიმ, უფრო სხვაზედაც ვფიქრობ:  
არ მოხდეს ზღვაში შენი აღრევა,  
რადგან უშენოდ ზღვის წარმოდგენა  
გამიძნელდება...  
და ვერიდები შენს პირქუშ ლიმილს —  
სათნოებით და სიკეთით საგსეს  
და ვინუეგშებ თავს, რომ ზღვასავით  
მყავხარ უენო და მოქმელი ღილის,  
რომ შენ მოგძახის წინაპრის სახე  
და მეორდები შვილთაშვილებში,  
როგორც საკუთარ სისხლში და სულში.  
იბრაჟიმ!..  
ზამორის ამ დილით, როცა სიცივის გარდა არაფერს  
არ გაგასსენებს ეს ვრცელი წყალი,  
რომელსაც ჰქვია, უბრალოდ, ზღვა, მე ვფიქრობ შენზე—  
კაცზე და ზღვაზე.



## იაკობ მალია

### ვერავინ წეშლის...

წევენ ხშირად ვტედავთ:  
 სკვერის პირას სხედან მოხუცნი, —  
 დალონებულნი,  
 ისე როგორც ჭირისუფლები.  
 ეჰ, მეგობრები!  
 სევდა მაინც რჩება უცვლელი,  
 მხოლოდ მათ ძალუდა  
 გვესაუბრონ მთელი უფლებით.  
 დრომ განვლო, მაგრამ  
 არ შორდება გულს იარები,  
 თვალს — ცრემლი,  
 ღიმილს — სიმკრთალე და  
 სიტყვს — წუხილი.  
 მათ სულში ჰქონან  
 სუსხინი ომის ქარები,  
 თითქოს კვლავ ესმით  
 სამამულო ომის ქუხილი.  
 ხშირად წარსული  
 ავიწყდება კაცს დროთა სვლაში  
 და სიხარული  
 ფარავს შემდეგ გარდასულ წყენას,—  
 მაგრამ ამ წარსულს,  
 მეგობრები —  
 მოხუცებს ხმაში რომ ჩარჩენიათ  
 ტირილი ბავშვის,  
 ვერავინ წაშლის!..

## სეღჟმო დნშერზე

რარიგ ციმციმით ბრწყინვდა ღნეპრო,  
 წყალში იდუმლად ეძინა მთვარეს,  
 იმგვარი შუქი, იმგვარი ფერი,  
 ო, არასოდეს უხილავს თვალებს.  
 იცისფრებოდა მიდამო ვრცელი,  
 ნარნარი სიო ოდნავად ჰქონდა  
 და ყვავილების ნაზი ფურცლები  
 მდინარის პირზე ფრთით მიმოჭონდა—  
 ვივრძენ, იმგვარად ათრთოლდა გულო,  
 ოოგორც არასდროს არ უთრთოლია.  
 წყალსაც ჩვევია წვა და ჩურჩული,  
 როცა მკერდს გაჰქრავს თეთრი თოლია  
 ეგრე აღმანთე ცისფერი ალით,  
 ცაცხლი მესროლე გულში ფარული,  
 ვიცი, შენს თვალებს მიუძღვით ბრალიდ, ——  
 სულის ტკივილი და სინანული...  
 ის დარღი გამყვა ბრძოლის ქარცეცხლში  
 ო, სულ სხვა არი ტრფობა მდაგველი,  
 შენ დაგეძებდი კრძალვით სანგრებშიც  
 შენი თვალების შუქის მლანდველი.

## ნევის გემზირს პოოვს

გუვიდკლ...

ნევის გამზირს ათოვს მშვიდად,  
 სანათურსაც მშვიდად ათოვს,  
 ჩუმად ვუჭერ ფიფქის ცვენას, ——  
 ნუ დამტოვებ მარტოდ მარტო...  
 ოპ. ეს ფიქრი რარიგ ნებით  
 ჩემს ფიქრებსაც ალამაზებს  
 და აღმიძრავს მოგონებით,  
 შენს ლიმილს და შენს ტკბილ ალერსს—  
 შენს თვალებში ჩაძირული  
 ჩრდილოეთის ცის მშვენება  
 გადაება გულის სურვილს,  
 სიყვარულის სტრიქონებად.

დღეები ჰგავს ფოთოლთ ცვენას  
და ულმობლად ხვეტავს ქარი,  
ჩვენს გარეშე მოწყენილა  
ჩვენი ძველი ხეივანი.



## აკაკი ჩხეიძე

### ქალაქი, ზღვა და ლურჯი

#### თვალები

ვიდრე არა ვარ მორჩილი სხეათა,  
ვიდრე სიბერე სულში არ ბოლავს, —  
მამყოფეთ ზღვასთან, მამყოფეთ  
ზღვასთან

და მაზიარეთ ჭაბუკურ თრთოლვას;  
მინდა ზღვას მთელი სხეულით ვენდო  
და აფროდიტას მერქვას კუნძული,  
თუნდ ჩემი ძვლების ფოსტორი ებთოს  
გზააბნეული გემის შუქურად.  
ენთოს, იწვოდეს დიდი ტკივილით,  
როგორც ეს ლექსი, უსათაურო  
და ზღვის ქალღმერთის მწველი

ლომილით,

გადამიქროლებს სუნთქვა მამულის.  
მზეც დამაღვება ოქროსფერ ჭილად,  
სილაში ნაცნობ ნაფეხურს წაშლის...  
იდარდებს ჩემზეც უთუოდ ვიღაც  
და მერე დარდებს გადაყრის ზღვაში.

\* \* \*

სულში იწვიან სველი ქარები  
და ოცნებებით ზეცას ვეხები,  
და ამოდიან ზღვიდან ქალები  
მარილიანი შიშველ ფეხებით.

ତିତକ୍ଷଣ ପଥକାହେନ ସବେଳି ଫାଲେବି  
ଫୁଲିବିନ ସିଯଗାରୁଲି ଦା ମନ୍ଦିରକେବା,  
ଖଲୁଗିବ ଦାଲଲିଲୁବି ଦା ନାହିଁବାଲୁବି  
ମାଗୁଶେବେନ ରାଲାପ ନାହିଁ ଉତ୍ତରେବିବ.  
ଶମରୀ, ଶମରୀ ଧରିବାକେନ ଧିଦି ଗେମେବି,  
ନିଜାରେବି କି ବିଜାନାନ ଫାରେବି,  
ଦା ଏମିରୁବା ଶୁଲ୍ଲିବି ଶାନ୍ତିରାଫ  
ଫାଲାକି, ଖଲୁଗା ଦା ଲୁହରାଖି ତପାଲୁବି.



თბილისი  
მუნიციპალიტეტი

აღმაშენდება ჩხეიძე

# ნეკარული გერებელი

ხომ გინახავთ ზღვა მშვიდი, ლამაზი, გარინდული? და თუ ამ დროი ღრუბელი მზეს არ ფარავს, იგი ცისარტყელს ყველა ფერით ლივლივებს როცა თეთრაფრიანი ნავი მის სარკისებრ უნაოჭო ზედაპირზე გაისრიალებს, სულ მცირე ხნით იტოვებს უკან აქოჩრილ ზოლს, შემდეგ კი ზღვა კვლავ მშვიდია, უწყინარი, ხელუხლებელი. ზღვის ზედაპირზე არ რჩება ნაკვალევი.

სამაგიეროდ მისი ფსევრი ინახავს უამრავ საიდუმლოებას... როცა ზღვა ბობოქრობს, გაფოფრილი, ტალღების ქუხილით ნაპირს უტევს, მაშინ იგი თითქოს მის სილრმეში დამარხულ იდუმალ ამბებს გვიყვება.

ერთი ზღვისპირელი კაპიტინის ამბავი ასე იწყება:

ისინი ოორმეტნი იყვნენ — რვა ვაჟი და ოთხი ქალიშვილი... ოორმეტი შტურმანი დღეს გამოსამშვიდობებლად მოვიდა ტექნიკუმში. მათი გზები იყრებოდა. ახალგაზრდა გემთმბოლლებს ელოდათ ნავსადგურები, ხომალდები, ზღვები და ოკეანები.

იყოფოდა ოთხი ქალიშვილის გზაც: რულია ფაილოძე და ნინო კალანდაძე შორეულ აღმოსავლეთში უნდა გამგზავრებულიყვნენ. შუშანა თუმანიშვილი და ვაიდე გვარიშვილი — კასპიაზე.

პატარა ვაიდემ მოირბინა და იულიასა და ნინოს აღელვებით უთხრა: — ახლა უფროსის კაბინეტში ვიყავი. იქ სტუმრად იყო კაპიტანი გოგინოვი, რომელიც ვლადიგოსტოკში მუშაობს. იყითხა, ჩვენთან ვის აგზავნითო. რა ბედნიერები იქნებით, გოგოებო, მასთან თუ მოხვდით! აგერ ისიც მოდის!

დერეფანში ქართველი მეზღაური მოაბიჯებდა. შავგვრემან პატარების კაბიტის კიტელი და ოქროსლუჩიანი მაღალი ქუდი უხდებოდა.

გოგონებმა პატივისცემის ნიშნად გზა დაუთმეს და კედელს მიეკრნენ, გოგინვი კი მათან შეჩერდა.

— გამარჯობათ, ახალგაზრდებო! მოგილოცავთ შტურმანობას. კალანდაძე და ფარლოძე რომელია?

— ჩვენ ვართ, — ნინო და იულია კრძალვით წარუდგნენ.

გოგინოვმა ისინი ყურადღებით შეათვალიერა. გოგონები შეკრონენ, აქმდე მხოლოდ კურსანტები იყვნენ, დღიდან კი გემის მეთაურები უნდა გამხდარიყვნენ. როგორ შეხვდება ეს ცნობილი კაპიტანი ოცი წლის ქალიშვილების შტურმინობას!?

გოგინოვმა კი უბრალოდ იყითხა:

— როდის აპირებთ ვლადივოსტოკში გამგზავრებას?

— სამ დღეში.

— სანაოსნოს უფროსთან წერილს გაგატანთ. შეიძლება რომელიმე თქვენგანი ჩვენს „დონბასზეც“ გაგზავნონ. შვებულება ძიმთავრდება. ამასობაში იქნებ მეც ჩამოვისწროთ.

იულიამ და ნინომ ფარული ლიმილით ერთმანეთს გადახედეს. უკეთესს რას ინატრებდნენ!

მეორე დღეს ისინი კვლავ შეხვდნენ კაპიტან გოგინოვს. მან ქალიშვილებს წერილი გადასცა და მშვიდობანი მგზავრობა უსურვა.

ტექნიკუმში პავლე გოგინოვ ყველა იცნობდა. იულიამ და ნინომაც უკვე იცოდნენ, რომ იგი წარმოშობით გორიდან იყო, მაგრამ ზღვას ადრე ეზიარა. სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს დამთავრა ფოთის საზღვაო ტექნიკუმი. შემდეგ მთელი ოჯახი ბათუმში გადმოსახლდა. აქ გოგინოვი ბუქსირს „კრასნი ბატუმს“ მეთაურობდა. ალორძინებული საზღვაო ფლოტი განათლებულ მეთაურებს ითხოვდა; როცა გოგინოვმა ლენინგრადის უმაღლესი საზღვაოსნო სასწავლებელი დამთავრა, ჯერ უფროსის თანაშემწედ მუშაობდა თბომავალ „ემბაზე“, ხოლო შემდეგ „დონბასის“ კაპიტანად დანიშნეს.

სწორედ ამ ტანკერზე იწვევდა იგი იულიას და ნინოს, რომლებიც 1940 წლის დამლევს ვლადივოსტოკისაკენ მიმავალ მატარებელში ისხდნენ და დიდ იმედს ამყარებდნენ იმ ბარათზე, რომელიც გოგინოვმა შორეული აღმოსავლეთის სანაოსნოს უფროსთან გაატანა.

ამის შესახებ ფაილობე იგონებს:

— მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე ორი კვირა ვიმგზავრეთ. სანაოსნოში სამმართველოს უფროსმა მირონოვმა ძალიან კარგად შეგვიღო: — ჩვენ კაპიტანი ქალი მხოლოდ ერთი გვყავს, — შეტინინა; გისურვებთ თქვენც ისეთი სახელოვანი მეზღვაურები დამდგარიყოთ. დანიშვნაზე რომ მიდგა საქმე, გოგინოვის წერილი გადავეცით. ყურადღებით წაიკითხა და

ტანკერ „დონბასზე“ და გემ „არქტიკაზე“ კაპიტნის მეოთხე თანაშემწერი აღმართული აღმოჩენა შემოვარაზა. არჩევანი ჩვენ მოვგანდო. რა თქმა უნდა, ტანკერის მეოთხე თანაშემწერი აღმოჩენა და სახალინზე, „დონბასი“ კი შავი ზღვის სანაოსნოს ეკუთვნოდა და წელიწადში ერთი-ორჯერ ბათუმში ჩამოდიოდა. რაც მთავარია, ტანკერს ნაცადი ქართველი მეზღვაური — პავლე გოგინვი მეთაურობდა. აღმათ ორთავემ, — მეც და ნინომაც ეს გავივლეთ გულში, რადგან ნინოს დედ-მამა ბათუმში ცხოვრობდა და მისი ჩასვლა შინ აუცილებელი იყო. ამიტომ მე „არქტიკაზე“ წასვლის სურვილი გამოვთქვი, ნინო პირველად გაჭიუტდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ასე გადაწყდა: მე „არქტიკაზე“ დამნიშნეს, ნინო კი „დონბასზე“.

...ნინო კალანდაძის წერილში კი ვკითხულობთ:

„დვირფასო დედა და მამა, მე წერილს გწერთ ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ. ლოს-ანჯელოსში ვიყავით. ორ თვეს მოვუნდით ერთ რეისს. ეს იყო ჩემი პირველი დიდი გამოცდა. გახსოვს, დედაჩემო, ერთხელ სოფელში ჯანჯუხებს რომ ვაკეთებდი, ქვაბი გადამიბრუნდა და თათარი დამექცა? მაშინ დამტუქსე და სთქვი: — ორ ბატს ვერ განდობს. კაციო! ახლა უნდა ნახო, შენს პატარა ნინოს ღამით, როცა ყველას სძინავს, როგორ მიჰყავს ამხელა გემი უსაზღვრო ოკეანეში და მას ამდენი ხალხის და ამოდენა ტვირთის ბედი აბარია...“

ერთხელ საშინელ ლელვაში მოვხდით. ტყუილად დაურქმევიათ მისთვის „წყნარი“ ოკეანე. ჩვენი კაპიტანი პავლე გოგინვი არ ვცილდებოდა, მამხნევებდა, მარიგებდა. მგონი კმაყოფილია ჩემით. ვცდილობ, იმედი გავუმართოლო. თუ მისი მეუღლე თამარი ნახოთ, გადაეცით, რომ ყოჩაღად ვართ. ჩვენთან კიდევ ერთი ბათუმელია — საშა ტკეციშვილი. ახლა იულიაც ვლადიგოსტროქშია. „დონბასი“ შავი ზღვისაკენ უნდა გამოემართოს და მალე გნახავთ. მაშინ კი ჩვენს კაპიტანსაც აუცილებლად გავაცნობთ.

თქვენი ნინო. ,

ვლადივოსტოკი, 1941 წლის 6 ივნისი“.

როცა ეს წერილი იწერებოდა, რას წარმოიდგენდა ნინო კალანდაძე, რომ სულ რაღაც ორიოდე კვირაში თავს დამტყდარი საშინელი ომი არა მარტო მის პირად გეგმებს, არამედ მთელი ქვეყნის მილიონობით აღამიანის ცხოვრებს შეცვლიდა.

\* \* \*

....„დონბასის“ კაპიტანს ინდოეთის ოკეანეში გადასცეს რადიოგრამა, რომელიც საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმას იუწყებოდა. კაპიტანმა რადისტი გააფრთხილა, ჯერჯერობით საიდუმლოდ შეენახა ეს ამბავი. თავად კი კაუტუში განმარტოვდა და არავის იღებდა. მუხანათურად ატეხილ ომთან ერთად გოგინვს საგონებელში ისიც აგდე-

ბდა, რომ გემის ეკიპაჟი თითქმის სულ ოდესელებისაგან შესღებული ფაზისტთა თვითმფრინავებს კი პირველსავე დღეს ეს ქალაქი დაებრუნდა იქნება ახლა ბათუმშიც ცვივოდეს ბომბები, რომელსაც ადრე თუ გვიაწყველა შეიტყობდა. ამიტომ გადასწყვიტა თავად პირველს განეცხადებია.

მან ალელვებულმა დასტოვა კაიუტა და ეკიპაჟის შეკრებაზე ვანკა-რგულება გასცა. კაპიტნის შეცვლილმა ხმამ მეზღვაურები შეაცესა....

— ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა ძლიერი და ვერავი მტერი. ახლა მთავარია სულის სიმტკიცე და დისციპლინა. მართალია, სამშობლოდან შორს ვიმყოფებით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი გემი ამ ოკეანეში საბჭოთა ქვეყნის ერთი ნაწილია. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეიდან. ისე როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, ვცხოვრობთ და ვიბრძვით ომის კანონებით!

და მას შემდეგ მხოლოდ რადიომიმღები აკავშირებდა მათ სამშობლოსთან. გულზე ხვდებოდათ ღიერორის თითოეული სიტყვა და სიბრაზით ანთებულები შავ ზღვაში ყოთნას ნატრობდნენ.

ვლადიგორსტოკიდან რადიოგრამა მიიღეს, სან-ფრანცისკოში ჩასულიყვნენ და მორიგ განკარგულებას დალოდებოდნენ.

დაიწყო ფრონტული რეისები. „დონბასი“ ჩაერთო ქარავნებში, რომლებსაც ამერიკიდან და ინგლისიდან მურმანსკისა და არხანგელსკის ნავსადგურებში საომარი საჭურველი და საწვავი მასალა გაღმოჯვონდათ. ქარავნებზე კი ღოლედალამ ნაღირობდნენ ფაშისტთა თვითმფრინავები, წყალქვეშა ნავები, სამხედრო ხომალდები. ზოგჯერ ესა თუ ის სატრანსპორტო გემი ზღვებისა და ოკეანების ფსკერისაკენაც მიღიოდა. ილუპებოდნენ ადამიანებიც... დარჩენილები კი კვლავ განაგრძობდნენ გზას, ფრონტის გზა მაიც უწყვეტი რჩებოდა...

ნინო კალანდაძის წერილში კვითხულობთ:

— „ვლადიგორსტოკში ღამით ჩამოვედით. მთელი ქალაქი და ნავსადგური ჩაბენელებული დაგვიხვდა. გული გვეტკინა, ჩვენ ხომ აქაურობა გაჩირალდნებული დავტოვეთ! ყველგან იგრძნობოდა ომის სიხლოვე, თუმცა ფრონტი აქედან ათასი კილომეტრითაა დაშორებული.

ერთ-ერთი რეისის დროს ნორვეგის ზღვაში ფაშისტთა თვითმფრინავები დაგვესხა. ორმოცდათზე მეტი იქნებოდა. პირველად ძალიან შევშინდი, მაგრამ როცა ჩვენებმა ჩამოიგდეს ერთი, მეორე, და მესამე, შიშისაგან სულ გავთავისუფლდი. ირგვლივ ყველაფერი დუღდა. სხვა გემებიც მამაცურად იგერიებდნენ თვითმფრინავებს. ჩვენი კაპიტნის თავდადებაში და გამგებლამ ბრძოლიდან უცნებლად გამოგვიყვანა. ფაზისტებმა მალე პირი იბრუნეს. ისევ ქარავანს შევუერთდით და მურმანსკისაკენ გავსწიეთ. მე ჯერჯერობით კარგად ვარ. ტკეციშვილის მშობლებს გადაეცით, რომ საშაც კარგადაა, მურმანსკში შევიტყვეთ, რომ რეისისა-თვის პავლე გოგინვი ორდენზე წარადგინეს. მგონი მეც ვარ წარდგენილი“.

აი, მისი უკანასკნელი წერილი:

...ამ წერილის წერა რამდენიმე დღის უკან დავიწყე, როცა უკან თვის შემდეგ კვლავ გლადიოსტოქში ჩამოვედით. გეზზე კომისარის განულამ შემაწყვეტინა წერა. მოხდა მეტად სამწუხარო ამბავი. ჩვენი კაპიტანი პავლე გოგინოვი უფროსებს შეეჯახა. ძალიან ფიცხი და ამაყი კაცია, არ დაუთო მათ და კაპიტნობიდან დროებით გადააყენეს. ხვალ რეისში ახალი კაპიტნის მეთაურობით გავდივართ. მართალია, ესეც კარგი მეზღვაურია, მაგრამ გოგინოვი მაიც სულ სხვაა. თუ კი რაიმე ვისწავლე და დღეს შტურმანი მქვია, სულ მისი წყალობაა. მთელი ეკიპაჟი დაამშუქრა გოგინოვის გადაყენებამ. ყველას მიაჩნია, რომ ეს უსამართლობაა, მაგრამ ვიმედოვნებთ, ყველაფერი მოგვარდება და მომავალ რეისზე იგი ისევ ჩვენთან იქნება“.

ეს იყო ქართველი „შტურმანი ქალიშვილის — ნინო კალანდაძის უკანასკნელი რეისი. ამერიკიდან გამობრუნებული გემი არხანგელსკში აღარ ჩამოსულა.

თბომავალ „მინსკის“ „შტურმანი იულია ფაილოძე ასე იგონებს:

— 1942 წლის დეკემბრის დამდეგს ჩვენი გემი აესტრალისაკენ მიდიოდა. ვახტიზე ვიდევი, როცა იუნგა ამოიჭრა და მითხრა, — რადიოფიშურში გთხოვენო. რადისტმა ლებედევმა რადიოგრამა გამომიწოდა. წავიკითხე და გული და გონება საშინელმა ამბავმა დასრულა. სადღაც, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ტორპედირებული „დონბასი“ იძირებოდა და ითხოვდა შველას. ეს იყო პავლე გოგინოვის და ჩემი ნინოს „დონბასი“. ათიათასობით კილომეტრი გვაშორებდა იმ აღგილიდან, მაგრამ თითქოს მესმოდა იქაური ბრძოლის ქუხილი, თითქოს ვერდავდი შუაზე გაპობილ ტანკერს, თითქოს რადისტის ყურსაცავში მორჩეოთ გაღმოცემულ უამრავ ტირესა და წერტილში ნინოს წივილი მესმოდა, შველა კი არაფრით შემეძლო... მალე ფათერავის მაუწყებელი სიგნალებიც შეწყდა. მღელვარებისაგან ტროპიკულმა ციგბამ გამისენა და, როგორც კი ხმელეთზე ჩავედით, ერთ-ერთ ჰოსპიტალში გადამიყვანეს.

მხოლოდ ომის შემდეგ შეხვდა იგი „დონბასიდან“ „შემთხვევით გადაჩენილ შტურმანს — ბლოხინს, რომელმაც ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლაში ტანკერის დაღუპვაზე მოუთხრო.

\* \* \*

„დონბასელთა“ გმირობის უკვდავსაყოფად ამერიკაში იგებულ ერთ-ერთ ტანკერს კვლავ „დონბასი“ ეწოდა და მეთაურად ისევ პავლე გოგინოვი დაინიშნა.

„დონბასი“ და მისი ეკიპაჟი კაპიტან გოგინოვის მეთაურობით კვლავ ჩამდგა საბრძოლო მწყობრში. სერავდა ზღვებსა და ოკეანებს, ეზიდებოდა

ფრონტულ ტვირთს. მას წილად ხვდა ეზეიმა ფაშისტურ გერმანიაზე გა-  
მარჯვება და მონაწილეობა მიეღო იაპონიასთან ომში...



\* \* \*

პავლე გოგინოვის უკანასკნელი წერილი;

„— ძვირფასო თამარ, ჩემო საყვარელო გოგონა გეტა! უკან დარჩა  
ომი, მსხვერპლი, განშორება, სულ უფრო ახლოვდება ის დღე, როცა ჩვენ  
კვლავ შევხვდებით ერთმანეთს და დიდხას, ძალიან დიდხას ვიქებით  
ერთად. ამ რეისის შემდეგ, ალბათ გაზაფხულისათვის, შავი ზღვისაკენ  
ავილებთ გეზს. ამის შესახებ დაწვრილებით გაცნობებთ. გეტოჩა, ჩემო  
კარგო გოგონა, აბა შენ იცი, როგორ დაუჭერებ დედას და დიდედას, ბე-  
ჭითად ისწავლე სკოლაშიც და სამუსიკო სასწავლებელშიც. ერთი სული  
მაქეს, სანამ გნახავ და მოვისმენ შენს კონცერტს. გვიცნით, თქვენი პავ-  
ლე გოგინოვი, 1946 წლის 10 იანვარი“.

იულია ფაილოძე ივონებს:

თითქმის ექვსი წლის უკან დაეტოვე ბათუმი. ამ ხნის მანძილზე ბევ-  
რი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში. იაპონიასთან ომის შემდეგ „ვიკოვზე“  
გადამიყვანეს. დავდიოდი ჩინეთში, კორეაში, სახალინზე. ოთხი მეგობრი-  
დან მარტო მე შევრჩი ზღვას. ნინო უგზოუკვლოდ გაქრა.. ვაიდემ და შუშა-  
ნამ მთელი ომი კასპიაზე გაატარეს, ირანიდან ცხრონტულ ტვირთს ეწი-  
დებოდნენ. ომის დამთავრების შემდეგ ორთავე ბათუმში დაბრუნდა. შუ-  
შანა თავის ყოფილ კაპიტან სემიონოვზე გათხოვდა, ბიჭიცა ჰყავს.  
არასოდეს ასე არ მომდომებია შინ ყოფნა, ჩემიანების ნახვა, ექვსი წლის  
განმავლობაში შვებულებისათვის აბა ვის ეცალა. დავწერე განცხადება,  
შვებულება ვითხოვე. სიტყვიერი თანხმობაც მივიღე, ბარგიც შევკარი და  
მატარებლის ბილეთისათვის ვზრუნველი. სწორედ ამ დროს სანაოსნოს უფ-  
როსმა გამომიძახა და მითხრა, უფროს თანაშემწედ „დონბასზე“ ინიშნები  
და მორიგი რეისით ამერიკაში მიღიხარო. თუმცა პავლე გოგინოვთან ერთ-  
ად ცურვა სასახელოდ ითვლებოდა, ფლოტის უფროსს მაინც უარი განვუც-  
ხადე, რადგან იქაურობა მუდამ დაღუპულ მეგობარს მაგონებდა და თანაც  
შინ გასამგზავრებლად ვიყავი განწყობილი... ფლოტის უფროსი გაგული-  
სდა. „დონბასზე“ სხვა გაგზავნეს. მე კი შვებულებაზე უარი მითხრეს და  
ჩვლავ დამავალეს „ვიკოვზე“ ჩემი მოვალეობის შესრულება. შემდეგ  
კი ყველასათვის ცნობილი გახდა წყნარ ოკეანეში მომხდარი საშინელა  
ტრაგედია...

მაინც რა მოხდა წყნარ ოკეანეში 1946 წლის 14 თებერვალს?

... უკაველ შუალამისას საზღვაო სამინისტროს ცენტრალური რადიო-ბიურო მსოფლიოს ყველა ზღვასა და ოკანეში მყოფ საბჭოთა გენერალური ამიარებს კავშირს. 17 თებერვალს რადიოსტმა ტანკერ „დონბასირემ“ დო ფათერაკის მაუწყებელი სიგნალები. მოსკოვის რადიომ წყნარი ოკეანის ჩრდილოეთის განედის რაიონში მყოფ ყველა გემს მაშინვე აუწყა, რომ საშველად წასულიყვნენ. ლოს-ანუკელოსიდან ვლადიგოსტრიკისაკენ მიმავალმა „ბელგოროდმა“ მაშინვე შეცვალა კურსი და მისაშველებლად გაემართა. ზღვაზე საშინელი ქარიშხალი მძვინვარებდა. „ბელგოროდის“ ეკიპაჟი რამდენიმე დღეს თავგამოდებით ექცდა ფათერაკში ჩავარდნილ ტანკერს. ბოლოს წაწყდნენ წყლის ზედაპირზე მოტივტივე გემის ნამსხვრეეს. ქარი ოდნავ დაცხრა თუ არა, მაშინვე ნავი ჩაუშვეს. გემბანზე თოკით მიმმული გრძნობადაკარგული კაცი ნახეს — „დონბასის“ კაპიტნის მეორე თანაშემწე — ევგენი ლეპკო, რომლისგანაც შეიტყვეს გააფთრებულ ოკეანეში დატრიალებული უბედურება.

ამერიკიდან მომავალი „დონბასი“ ალეუტის კუნძულებთან ტაიფუ-ნში მოხვდა. უცხოეთის ვერფებზე ნაჩქარევად ნაშენი ტანკერი მოისოდენა ტალღამ ჰაერში იტაცა და ქვემოთ ორად გადამსხვრეული დაუშვა. გემის კიჩო და წინაერდო ერთმანეთს დაშორდნენ. ამ დროს კაპიტანი გოგინოვი, შტურმანი ლეპკო, ორი რადისტი და მევახტე მეზღვაური ზედა ხილურზე იმყოფებოდნენ. სასიკვდილოდ განწირული აღამიანები ხელისხელ გადაჭდობილი იდგნენ და ძალობრინი საშინელი დაძაბვით ქარიშხალს ამაოდ უმკლავდებოდნენ. მალე ტანკერის ნაწილი წყლით მოლიანად დაიფარა. ევგენი ლეპკომ თვალი რომ გაახილა. გემბანზე ეგდო. მაშინვე ზემოთ ახედა, მაგრამ იქ აღარც ხილური იყო, აღარც კაპიტანი. ლეპკო მალე დარწმუნდა, რომ გააფთრებულ ოკეანეში მარტოდ დარჩა. იგი რამდენიმე დღე დღე ებრძოდა სტიქონს, წყურვილს და შიმშილს... ბოლოს დასებულმა ისღა მოახერხა, რომ თოკით ძლივს მიება ლიუქს. მეექვსე დღეს, როცა ჰორიზონტზე ხმამალდის გამოსახულება დალანდა, გონიც დაკარგა, ბელგოროდელებმა დროზე მოუსწრეს...


„ბელგოროდმა“ ბუქსირზე აიყვანა ტანკერის ნახევარი, მაგრამ ხიფათი კვლავ ემუქრებოდათ, ქარიშხალი ისევ მძვინვარებდა. ტალღებმა კვლავ გამოსტაცეს ტანკერის ნამსხვრევი. „ბელგოროდი“ ისევ და ისევ სერავდა ოკეანეს. ეძებდა ნახევარ „დონბასს“...

ორმოცდახუთი დღე გაგრძელდა „ბელგოროდის“ ეკიპაჟისა და გაშმაგებული ოკეანის ორთაბრძოლა, რომელიც საბოლოოდ აჯამიანის გამარჯვებით დამთავრდა. ლოს-ანუკელოსში რომ შედიოდნენ, ნავსადგურში მყოფი გემები საყვირების გაბმული ძახილით შეეგებნენ საბჭოთა მეზღვაურებს. მთელმა მსოფლიომ იცოდა „ბელგოროდის“ გმირობის ამბავი, რომელმაც საშინელი სინამდვილე აუწყა ხალხს.

შესაბამის დაიღუპა კიდევ ერთი „დონბასი“ და მისი სახელი განი კაპიტანი — პავლე გოგინოვი...

...ომის ღმერთს ეძინა. მაგრამ ნეპტუნი ფხიზლობდა დედამიწის ყველაზე დიდი ცისფერი კონტინენტის ფსკერზე. იგი ხან ღმობიერად აცილებდა გემებსა და მეზღვაურებს, ხანაც საშინელი მძვინვარებით ითხოვდა მსხვერპლს...

მაგრამ ადამიანი არ ეპუებოდა ზღვის ღმერთს. ღმერთების ეპოქა მან კარგა ჩანია უკან ჩამოიტოვა და თუ ზოგჯერ ზღვა მაინც მიიტაცებდა ადამიანს, ეს არ აფრთხობდა მას. ზღვის შვილები ვერ ელეოდნენ ზღვას. ხომალდები გადიოდნენ რეისებში და ყველა გრძედსა და განედზე კვლავ ხვდებოდნენ ნეპტუნს.



## ვაკება გილლერი

### ბარეთი

სულს სიმშვიდე დაუკარგე,  
 გულს — ფიქრები სასურველი...  
 ველი დილით, ველი ლამით,  
 მე შენს ბარათს ველი, ველი...  
 ფოსტაში კი, რა რიგ მიჭირს,  
 — არ არისო, — გაგონება.  
 გული მიწუხს. სულის სწორო,  
 არ დამცირონ გოგონებმა.  
 — არ იქნება, რომ არ იყოს,  
 ისიც პასუხს ელის ჩემებრ...  
 მომიძებნეთ, მომიძებნეთ, —  
 კვლავ ვიჩემებ, კვლავ ვიჩემებ.  
 ფოსტის ქალებს ვაჩერდები  
 დარღიანი მოკრძალებით...  
 იდუმალი ღიმილი აქვთ,  
 იქნებ კიდეც ვებრალები...  
 მხოლოდ იმან შემიცოდოს,  
 ჩემებრ ტრფობით ნაწამებმა,  
 ვისაც გზაზე დარჩენია  
 ფიქრი, დარდი და თვალები.  
 ვისაც ჩემებრ ყვარებია  
 სულში თრთოლვით ნატარები.  
 კვლავ არ არის, ო, რა გიყო,  
 თუ აღარ მწერ, რა იქნება...  
 აღთქმა რისთვის გამიტეხეს,  
 არ დაწერეს მაგ თითებმა...  
 როგორ გსურდი, როგორ, როგორ!  
 თუ გიყვარდი მაშინ, მაშინ,  
 დღეს რა ცივი დუმილია

და ყინული სატრფოს ხმაში...  
 იქნებ, როცა კვლავ შემომხვდე  
 იქნებ ესეც მითხრა ხვალე,  
 „თვალი თვალს რომ მოშორდება,  
 გაცივდება გული მალე.“  
 ეს მომწერე ოღონდ, ოღონდ,  
 სჯობს ახლავე ბარემ მითხრა,  
 თორემ, თორემ ნუ აწამებ  
 პოეტის სულს ასე დიდხანს...  
 იქნებ გიჭირს, სასურველო,  
 ო, რაღა ვქნა ამის მეტი,  
 შემიძლია შენოვის გავტდე  
 უკვდავების წყაროს წვეთი.  
 მოიწერე, სულისწორო,  
 ვინ ჩაჰეტა სულს გზები,  
 მოიწერე, გაიშალოს  
 მოტეხილი ჩიტის ფრთები.  
 მოიწერე, სანუკვარო,  
 რომ შეჩერდეს სულში თოვა,  
 იმ აპრილის თბილი სუნთქვით  
 გაზაფხული ისევ მოვა.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა

ნ. გვარიშვილია.



## ილია კავკაზაში

### ორი მხედარი

გრძელ გზაზე რაშებს მიაჭენებს ორი მხედარი,  
 ორივე სწრაფი, ელვასავით დაუდეგარი!  
 ერთი მათგანის უკვდავება — ოთრი რაშია,  
 მეორემ — შავი, ღამესავით შავი არჩია.  
 ოთრი წინა; დლისით, ღამით იგი ქედს არ ხრის,  
 მეორე უკან მიჰყვება და გესლით შესძახის;  
 — თუმც არ გეტყობა ამ შეჯიბრში სისუსტე, დალლა,  
 რაც უფრო სწრაფად მიფრინავდე წინა და მაღლა, —  
 იცოდე, მაინც დაგეწევი აღრე თუ გვიან;  
 დოღს მე მოვიგებ, „უძლეველი ამიტომ მქვია“.  
 — ჯერ მე წინა ვარ და წინსვლა ხომ ჩემი უინია,  
 შენი მუქარის მე, სიკვდილო, არ მეშინია! —  
 ამბობს სიცოცხლის დიდი სწრაფვა, არ იმჩნევს დალლას,  
 და მისწრაფვის, მისწრაფვის მზისაკენ მაღლა!

### სიყვარულის ჭრილობა

უთვალავი ჭრილობა მაქვს გულზე,  
 იარებად გადამექცა ტანი,  
 მიკვირს, როცა განგმირულ მკერდს  
 ვუმზერ, —  
 ცოცხალი ვარ, მაინც არ ვარ მკვდარი...  
 მაინც ბევრჯერ შევეგებე მაისს,  
 ასჯერ ისევ წამოვდექი მკვდრეთით,

ყოველივე სულ ერთია ჩემთვის,  
ოღონდ შენ კი, სიყვარულო, ჩემდა  
სასიკვდილოდ ვინღა გაგაჩინა?..  
ჭრილობებმა, იარებმა შენმა,  
აღარც მომკლა, აღარც დამარჩინა!

თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ.



# ଫିଲ୍ମର ଅନ୍ତର୍ଜାଳ

**ଅନ୍ତର୍ଜାଳ**

ଏହାକଣ ଗୁମ୍ଭାଙ୍ଗିଦା ନେବେରି ମାଲାକୋନିଆର ଫିଲ୍ମର ଏରତିର  
ଚିଠି „ରାଧାଶ୍ଵା“ ମେଟ୍ରୋଗାନ୍ ମାଇଟର କ୍ଷେତ୍ରର କ୍ଷେତ୍ରର  
ଫୁଲର ଶ୍ରେଷ୍ଠତ୍ତ୍ଵବିଦୀର ଉପରେର ମିଶ୍ରିତରବାନ ଶରୀରମାନ, ସା-  
ନ୍ତିକାର ସାମାନ୍ୟବିଦୀକୁ, ସାହାରେଲାର ଅଭିନାନେରେ, ବୋଗା-  
ରୁଲାର, ବୋଗାରୁଲେଖାର, ମିଶ୍ରିତ ରାଧାଶ୍ଵାରେ,  
ବେଶିଦ୍ୱାରା ଲେଖିଥିଲାର ଏହି ଚିଠିକିରଣାର,

## କୋଶିର ମାଲାକୋନିଆ

### ଫିଲ୍ମର ମିଶ୍ରିତ କାହାକିମାର

କୀମି ଫାଲାକିର ପରିପ୍ରେଲ ମନ୍ଦରାନ୍ଧୀ  
ପରିପ୍ରେଲ ପରିପ୍ରେଲ ଲେଖିନିନିର କେବଳି.  
ପରିପ୍ରେଲ ରା ପରିପ୍ରେଲ  
ମନ୍ଦରାନ୍ଧ ସାବ୍ଦୀ,  
ସିନ୍ଦରିରୁଲାର ରା ସିନ୍ଦରିର କଗରି.  
ଗାତ୍ରପୁରୁଷର ରା ବରଦିଲେବିର ମାନଦିଲା,  
କରିବାର ରା ମତ୍ରବୁନ୍ଦବାରେ ମିଶ୍ରିତ,  
ଗାତ୍ରପୁରୁଷର ରା ସିନ୍ଦରିରିର ତବାଲିତ ରା  
ମାଦଲିତ  
ବେଶିନୀର ଲାଲାର ମନମାତାଲ ଗିରିବି.  
ମିଶ୍ରିତ କାରିଗି,  
ଗାରିମିତ କାରିଗି,  
ଖଲାର ସିଯାରିରୁଲାର କ୍ଷେତ୍ରର ଗାରି,  
ରା ମିଶ୍ରିତ ଲାଲାର ମାରାଦି,  
ମିଶ୍ରିତ ବୁରକାର ରା ନୁହେଶାର ଫାରି.

\* \* \*

დედის ძუძუვ — რძის საამო სურნელო,  
 დედის გულო — მუდამ კარგის მსურველო,  
 დედის ხელო — უღლელო და მზრუნველო,  
 დედის სითბოვ — თბილო კაბა-უბენო  
 და თვალებო ტრდობით მოსაუბრენო...  
 ტკბილო დედავ — მარად მოსასურველო!  
 საქართველოვ — ყვავილების ფენაო,  
 საქართველოვ — მერცხლის ხმავ და ენაო,  
 საქართველოვ — ლექსის თქმავ და დენაო,  
 ცეროდენავ და ჭვეყნის ოდენაო.  
 საქართველოვ — წვავ და ფიქრო ზენაო,  
 საქართველოვ — სიცოცხლევ და რწმენაო..  
 ტკბილო დედავ — ყველა ტკბილზე უტკბესო,  
 შენზე სიტყვა როგორ ითქმის ულექსო!  
 სანამ ჩემში ამოსუნთქვის ლონეა,  
 სანამ ჩემში გულია და გონია,  
 მე უშენოდ წამიც ნულარ მქონია.  
 მე უშენოდ?  
 ვერ ვიცოცხლებ, მგონია!

## სემპაზეპნოლო ვიჟრები

მორჩა ზამთარი, ქარბუქი, ქარაშოტი:  
 ჩემ ფანჯარასთან ტყემალმა დახარა ტოტი,  
 ზედ ყვავილები ჩამოსხდნენ, თოვლივით  
   თეთრი...  
 მოლის ფუტკარი, ჰქოცნის და — „გეთაყვა,  
   გეტრფი“ —  
 კი ველარ ეტყვის (სიყვარულს არა აქვს  
   სიტყვა) —  
 გულში გაივლებს,  
 ისე ეკვრის სათუთ ყვავილებს.  
 ტყემალი სიცილით გადაიტანს აპრილს,  
 ნაყოფს დასხამს, დაშაქრავს...  
 და ფოთოლს დაყრის.  
 მერე კვლავ მოთოვს.

კვლავ ზამთარი ქარს გაახელებს,  
 მერე ტყემალი  
 კვლავ მზისკენ გაიწვდის ხელებს,  
 რომ სითბო სთხოვოს,  
 რომ ალალი მაღლობა უთხრას  
 და ცვარდაყრილი ყვავილი აგემოს  
 ფუტკარს...

ოი, ბუნებავ,  
 რანაირი გქონია წესი,  
 ვერვინ წაუვა შენეული კანონის ბადეს:  
 ყოველ სიცოცხლეს  
 შენ სიკვდილით კლავ  
 და შეცვლი,  
 მაგრამ ისევ  
 განახლებულ სიცოცხლეს ბადებ!

## სიცოცხლე მინდა

აი, დაეშეა მზე მთის გადაღმა,  
 ალბათ, ზღვაც მაღე ჩაიკრავს გულში.  
 გაცრეცილ ბალში ვარდი გადახმა —  
 მერე, რა წითლად ღულდა გუშინ!  
 იცის სალამომ ლურჯი ფიქრები,  
 მთებში წამოშლის ჭადოს და მისანს,  
 ცაში მცინარე მთვარის ფიფქები  
 ვერცხლით დაფერავს. ნაკვეალევს მზისას  
 მზეც კარგია და მთვარეც ლამაზი,  
 ისიც კარგია, ერთურთს რომ ცვლიან,  
 ჯვარმაც შეცვალა ძველი არმაზი  
 და ჯვარიც სხვებმა შეცვალეს გვიან.  
 ქვეყნად ასეა: სწრაფსა თუ მდორეს —  
 ყველას თავისი ყავლი და დრო აქვს.  
 მეუბნებიან, თითქოს სიბერეს  
 მხოლოდ სიბრძნე და ჭალარა მოაქვს.  
 რატომ სათქმელი ბურუსში ვხვიოთ?  
 ეს სილამაზედ არ მიმაჩნია,  
 მე იმ პოეტებს მინდა ვემთხვიო  
 ვინც აზრის ნათელ თქმას მიმაჩნია,

არ მინდა ვიყო მე მატყუარა,  
 სურვილს და ფიქრებს ვფარავდე ბინდად,  
 სიცოცხლე მინდა...  
 და ეს თუ არა,  
 მისი ბადალი სიკვდილი მინდა!

### ს პ რ ძ ლ მ

...და კარს მოადგა ერთი გოგონა,  
 თვალი-მაყვალი, ყელი-ყარყარა.  
 გაიცინა და ასე მეგონა,  
 ცისკრის ვარდები შემომაყარა.  
 შევცბი  
 და მკერდში გახურდა თონე,  
 შვილი?  
 უმისოდ რა გულმა გაძლოს  
 ვაჟი აღარ მყავს...  
 აღარ მყავს, თორებ  
 საღ ვიშოვიდი უკეთეს სარძლოს!

### კ ჩ ა ლ გ ა ზ რ დ ე პ რ ე ტ ი ს ხ ს რ ვ ნ ქ ს


#### ლევან გელაძეს

ღურტას ღმუიან ქარები  
 და ნორჩფრთიანი ლექსები,  
 სწუხან ღურტაში პწყარები,  
 ჯერ კიდევ დაუკვესები,  
 ტირიან შენი მშობლები —  
 ცივ სამარეში მდუმარე,  
 ტირიან შენი ობლები,  
 სიტყვაც რომ ვერ დაუბარე.  
 ბიჭო — მაგარო კუნთებო,  
 ბიჭო — სიცოცხლის ჩქერებო,

ბიჭო — გულს ჩასახუტებო,  
შეილივით მოსაფერებო,  
მე შენი ლექსი მინდოდა  
და შენი ცრემლის დანახვა,  
მეგონა, შენ მოხვიდოდი  
ჩემს ბალაზიან საფლავთან  
შენ კი... პატარა ტირიფთან  
მე უნდა გედგე დაჭრილი?  
ვაიმე! შენ დაგტირი და  
დაღუპულ ლექსებს დავტირი!

1963 წ. თებერვალი





## ვიქთორ გაგასირიძე

### მიხეილ შოდორევას

გვინდა ცოცხლობდე, მხედ იყო დიდხანს,  
გვსურს უკვდავება შენ საქმემ ჰპოვოს,  
რადგანაც იცით ზოგჯერ შეკითხვა:  
„როგორ ხართ, ჩემო ქართველებოო“?

კარგად ვართ, კარგად, ვიქნებით მხედა!  
თქვენთან სალაში სხვებმა მომასტრეს...  
ან მას რა უჭირს, ვინაც შეხედავს  
ღამით ანთებულ ჭვარის მონასტერს!

გაიბნა სევდა, როგორც ნაცარი,  
რადგან სიმტკიცე გვხლდა მთებური...  
ქართული სულიც, იმ ტაძარივით,  
სიკეთით არის განათებული.

თქვენ ეს გიგრძენიათ; ასე ამბობდნენ,  
რომ მოხიბლულხართ ჩენი მთა-ზარით...  
სხვის სიღიაღით იხიბლებოდე, —  
მხოლოდ დიდ ნიჭით თვისება არის.

თქვენს სულში ჩამსხდარ აზიზ ბულბულებს  
სულ ეგალობოთ! მათთვის ნუ მოთოვს!..  
საქართველოზე შეყვარებულებს  
მიმატებიხართ პუშკინს, ლერმონტოვს!

თბილისი, 1960 წ.

შვავილი ავდარში

ყვავილო ჩემო, როგორ, ქარი აღარ გასვენებს?  
ფანჯრიდან გიცქერ, შენგან რა სურს, რატომ არ ცხრება?  
ქარი ჩამდგარა, ახლა უკვე წვიმა გასველებს...  
ვერა, ვერც წვიმა ვერ ახერხებს შენს დამარცხებას!

ზვიათ ბათუმში

მტირალა ერქვა იმ მთას, დღეს კი ჰქვია ცისკარა,  
ლრუბლები მაინც მივლენ მასთან, მისი დებია,  
ზოგჯერ წასკდებათ ცრემლი მათ და, ის მთა კი არა,  
ბარში სახლები და ხეებიც ატირდებიან.


ბათუმის ბაღი

თეთრი ყვავილნი მაგნოლიის, კარგო გოგონავ,  
მახსოვს გხიბლავდა, მათ უცქერდი, გიცემდა გული...  
დღეს რატომ ვხედავ იმ ყვავილებს? — მე ხომ მეგონა,  
რომ შენთვის იყვნენ ხეივანში განათებულნი.

ლრუბლები

ხშირად იარეთ ჩემს სამშობლოს ცაზე, ლრუბლებო,  
იცოდეთ, თქვენ ხართ მუდამ მისი ტებილი სტუმრები,  
თქვენ მას ჩრდილებით ეფერებით, ხან კი, ობლებო,  
ცრემლს ლვრით, უუფუნა წვიმებითაც ესაუბრებით!

ბათუმი, 1962 წ.



## გიორგი ლევანა

### მეგობრები

სიმონ ჩიქოვანს

ამდენ ყამირს ხნავ... არ იღლება შენი გუთანი,  
 მოდის სიბერე... შენ ამძლავრებ საოცრად სიმებს,  
 გურამიშვილის მოზარე და ჭირისუფალი,  
 ფიქრად ღუღუნებ მამულში სიმონ!

სვამ საღლეგრძელოს, ჯერ შუამდე ვერ დაგიცლია,  
 მიარღვევ ყამირს, შენი ყანა მძლავრად შრიალებს,  
 მხარს გიმშვენებდა მხრებმაღალი ჩვენი ტიციან,  
 მე მის სახელზე შემაჟრიალებს.

ცამდე მართალი, გულალალი, ის კარგი კაცი,  
 იტყოდა სტრიქონს, ეცემოდა მწას მუხლებით,  
 გაშლიდა მკლავებს და მოხეთქილ ვაჟკაცურ განცდით  
 საალავერდოს დაიქუჩებდა.

და... როცა გაკრთა მის ოვალებზე ცრემლი კამკამა,  
 წამს შენ და გოგლამ დაისიცეთ ოვალი კურცხლებით,  
 ძმობის თბილ გრძნობას ნიავჭარი არ მიაკარეთ,  
 არ ჩამოაჭერთ ვარდის ფურცელი.

ჩვიდმეტი წელი ატარებდით ლექსით წამებულს,  
 გთუთქავდათ იგი, ვით სიმღერით მისვლა მიზნამდე,  
 იყოს ცოცხალი, სიმღერებში დიდთა სამეულს,  
 დაგამშვენებდათ უკუნისამდე!..

1961 წ.



## 3. ი. ლენინის დაბადების 100-წლისთავის

### შესახვებადას

ლენინის გამოსახულების  
შესახებ

## ნაუმ არონსონი — ლენინის პირველი ქანდაკების პირობი

ვ. ი. ლენინის გამოსახულების ჩვენამდე მოღწეული ხელოვნების პირველი ნაწარმოები შექმნილია პარიზში სახელმოხვეჭილი მოქანდაკის ნაუმ ლევის ძე არონსონის მიერ.

ვ. ი. ლენინის ამ სკულპტურული პორტრეტისა და მისი ავტორის ვინაობის შესახებ უკანასკნელ დრომდე ამომწურავი ცნობები არ არსებობდა. უცნობი იყო ქანდაკების შექმნის ზუსტი თარიღი და დადგენილი არ იყო, რა ვითარებაში გაეცნო მოქანდაკე ვ. ი. ლენინს. ეს ხარვეზი შეასრ მოქანდაკის ძმისწულმა, ამჟამად საფრანგეთში მცხოვრებმა მწერალმა ქალმა ლიუბოვ არონსონმა, რომელმაც ძირითადად არონსონის არქივში დაცული მასალების საფუძველზე ამ ცოტა ხნის წინათ რუსულ პერიოდულ პრესაში გამოაქვეყნა საინტერესო სტატია.<sup>1</sup>

ჩვენი ეს წერილიც ამ სტატიის ძირითად წყაროებს ეყრდნობა და მისი გამოქვეყნება ქართველი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, რადგან მას ერთგვარი სიცხადე შეუძლია შეიტანოს ამ თემაზე ქართულ პუბლიკაციებში აღძრულ ბევრ ბუნდოვან საკითხში.

\* \* \*

ნაუმ არონსონის ქანდაკების შექმნა დაკავშირებულია სოციალისტური კულტურის უდიდესი ქომაგის ანატოლ ლუნაჩარსკის სახელთან. 1904 წელს ა. ვ. ლუნაჩარსკი პარიზში მონარქიასზე ნ. არონსონის სახელოსნოს

1 „რაბოტნიკა“, 1968 წ. № 4.

მხელობლად ცხრვრობდა. ა. ლუნაჩარსკი ნ. არონსონს მანამდეც ლიტერატურული ამჟრად კი მას შესაძლებლობა მიეცა მოქანდაკეს ხშირად წვეოდა.

მოხდა ისე, რომ ვ. ი. ლენინი ა. ლუნაჩარსკისა და ნ. არონსონს ერთ დღეს გაეცნო. ეს იყო 1904 წლის 2 დეკემბერს. მის თაობაზე ა. ლუნაჩარსკი თავის სტატიაში „ლენინი წითელ მარმარილოში“ წერს:

„1904 წლის ზაფხულის<sup>1</sup> — ერთ აღრიან დილას პარიზში, სენატის ბულვართან ახლოს ოტელ „ოქროს ლომში“ ჩემი ოთახის კარზე დააკაუნეს.

ავდეჭი. კიბეებზე ჯერ კიდევ ბნელოდა. ჩემს წინაშე იდგა კეპკიანი უცნობი, რომელსაც ჩემოდანი ფეხებთან დაედო.

შემატყო, ვინაობის გამოკითხვას რომ ვაპირებდი და მიპასუხა: — მე ლენინი ვარ. მატარებელი. კი ძლიერ აღრე ჩამოვიდა.

— დიახ, — მივუგი მე დაბნეულად. — ჩემს მეუღლეს სძინავს. მიბოძეთ თქვენი ჩემოდანი, აქ დავტოვოთ, ჩვენ კი წავიდეთ, სადმე ყავა დავლიოთ.

— ყავა მართლაც ძალიან მინდა დავლიო. ვერ მოცისაზრე ვოგზალუ ვამეკეთებია ეს, — თქვა ლენინმა.

წავედით. მაგრამ ამ ალიონზე პარიზის მარცხენა მხარის ყველა ქუჩაზე, ვოკირარის გარშემო ყველაფერი დაკატილი და ცარიელი იყო.

— მომისმინეთ, ვლადიმერ ილიას-ძევ, — ვუთხარი მე, — აქ ახლოს ერთი ახალგაზრდა მხატვარი ცხოვრობს, გვარად არონსონი; დიდი ოსტატია, საქმიან სახელგანთქმული. მე ვიცი, რომ იგი მუშაობას ძლიერ აღრე იწყებს, თითო ფინვან ყავას დაგვალევინებს. ამასობაში პარიზიც გამოილვიძებს.

სკულპტორ არონსონის სახელოსნოში შევედით, სადაც მას შემდეგ ხშირად შემივლია მე და, სადაც გამუდმებით იქმნებოდა შეღევრები, რომელთა ასლები მთელს მსოფლიოში ვრცელდებოდა.“

მოვლენების შემდგომ განვითარებაზე თვითონ ნ. არონსონი მოვითხრობს:

„დილის ექვს საათზე კარებზე კაკუნის ხმა მიამესმა. არ გამკვირვებია, გვაღე კარები და გამიხარდა, ანატოლი ვასილის-ძე რომ დავინახე. ლუნაჩარსკი ძლიერ მიყვარდა, იგი ხელოვნებას მთელი არსებით შეიგრძნობდა, მისით სუნთქვდა.

მას გვერდით ედგა ჩემთვის უცნობი მამაკაცი, რომელმაც, თითქოს თავისი პიროვნების განზრახ მიჩმალვის მიუხედავად, ჩემზე ძლიერი

<sup>1</sup> ლ. არონსონი შენიშვნას, რომ აქ დაშვებულია ლაფსუსი, სინამდვილეში იდგა დეკემბერი. ეს შეცდომა შესაძლოა იქედანც მოლის. რომ ვ. ი. ლენინი ლუნაჩარსკისთან ერთად არონსონის სახელოსნოში მეორედ 1909 წლის გაზიფულზე იყო.

შთაბეჭდილება მოახდინა. რატომღაც ლუნაჩარსკიმ თავისი მეგობარი გამაცნო. ამ გარემოებამ ერთვარად შემაცბუნა და საგონებელში ჩამავდო“.

მოქანდაკემ სასურველ სტუმრებს სახელდახელოდ სუფრა გაუშალა და, რასაკვირველია, მონატრებული ყავითაც გაუმასპინძლდა.

ილიჩი სუფრიდან ნასიამოვნები აღგა და სახელოსნოში მოჭარბებულად განლაგებული, დამთავრებული ქანდაკებების დათვალიერება დაიწყო. ნ. არონსონი უკვე შესღომოდა მუშაობას. იგი ახალგაზრდა ქალის ფიგურას ძერწავდა, მაგრამ თავისდაუნებურად ხშირად უცნობისაკენ იცქირებოდა. მისი სახის ფორმები, განსაკუთრებით შუბლი, რაღაც ენით გამოუთქმელ პროფესიულ სიამოვნებას ჰქონდა.

„ — არონსონმა, — იგონებდა ლუნაჩარსკი, — განზე გამიხმო. — „ვინ არის ეს კაცი?“ — ყურში ჩამჩურჩულა.

ვიფიქრე, მთლად კონსპირაციული არ იქნება, ლენინი არის-მეთქირომ ვუთხრა. ისიც არ ვიცოდი, ჰქონდა თუ არა რეგულარული პასპორტი პარიზში ჩამოსასვლელად.

— ერთი ჩემი მეგობარია, უდიდესი რევოლუციური მოაზროვნე-ამ კაცმა, შესაძლოა, დიდი ისტორიული როლი შეასრულოს.

არონსონმა ქოჩიანი თავი დაიწნია:

— შესანიშნავი გარეგნობისაა.

— მართლა? — გაოცებით ვყითხე, — რადგან... ლენინი, რომელიც უკვე დიდი ხანია დიდ ადამიანად მიმაჩნდა, პირადად შეხვედრისას მომეჩვენა, რომ ზედმიწევნით ჰგავდა სლავიან თათარ... გლეხს.

— შესანიშნავი თავი აქვს, — აღგზნებით მეუბნებოდა და მიყურებდა არონსონი. — იქნებ პოზირებაზე დაიყოლიოთ? პატარა მოდელს მაინც გავაკეთებ. შეიძლება ძლიერ გამომადგეს, მაგალითად სოქრატესათვის.

— არა მგონია, დაგვთხამდეს. — ვუთხარი და მაინც მოვუყევი ლენინს ეს ამბავი, არც სოკრატე დამვიწყნია. ლენინი სიცილისაგან იგუდებოდა და სახეზე ხელს ითარებდა“.

\* \* \*

ნ. არონსონი დაუინებით განაგრძობდა ვ. ი. ლენინის ყოველ ქცევაზე დაკვირვებას, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც პოზირებაზე უარი მიიღო. მაგრამ მოქანდაკეს თითქოს ბედმა გაულიმა, ვ. ი. ლენინი სასაუბროდ იწვევდა. არონსონი და ლუნაჩარსკი ილიჩს მიუახლოვდნენ, რომ-ელიც დაუფარავი აღტაცებით უცქერდა ახლახან დამთავრებულ ქანდაკებას „პროლეტარს“. ვ. ი. ლენინმა ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცა,

მაგრამ მისი ძირითადი ნაკლიც აღნიშნა: მას ეწვენებოდა, რომ „პრო-ლეტარს“ ძლიერ დაჩაგრულისა და უღიმდამი გამომეტყველება, აქეც, მაშინ როდესაც მან უნდა განასახიეროს მომავლის რწმენით ასაგან მებრძოლი. „მომავლის პროლეტარი თავისუფალი ქვეყნის შუალა, იგი თავის შრომაზე შეუყვარებული, ამაყი და უშიშარია.“ ასე დამთავრა თავისი შენიშვნები ილიჩა.

მოქანდაკის სახელოსნოში გატარებული დრო სავსებით საკმარისი აღმოჩნდა უცნობი პირის ნატურის შესასწავლად. 6. არონსონისათვის ამ პიროვნების ვინაობა მხოლოდ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გახდა ცნობილი. იგი გულმოდგინედ ძერწავდა ვ. ი. ლენინის სახეს, ოცამდე ნიმუში გააკეთა, მაგრამ უკმაყოფილების ნიშნად ყველა დაამსხვრია. ილიჩის თემა მოქანდაკეს დიდხანს აწვალებდა, შემდეგში ერთი ბიუსტი მას ძლიერ მოეწონა, რომელიც 1927 წელს მოსკოვში პირადად ჩამოიტანა.<sup>1</sup> ამ ქანდაკების შესახებ თვითონ ავტორი ამბობდა, რომ „ჩემი აზრით, მე მოვახერხე ლენინის, როგორც ძლიერების სიმბოლოს, როგორც მილიონი მასების სულისჩამდგმელის გამოვლინება“.

უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, ყველა ერთხმად აღიარებს იმ დიდ ოსტატობას, რასაც მოქანდაკემ ლენინის სახის გამოძერწვაში მიაღწია. მაგრამ ზოგი იმასაც აღნიშნავს, რომ არონსონისათვის უცნობი იყო ნატურის სულიერი სამყარო; ამიტომ იგი ვერ ჩაწვდი ლენინის სახის შინაგან არსებას, ვერ გადმოგვცა ბელადის რევოლუციური გაქანება. ასეთ შეხედულებათა ავტორები უმთავრესად ეყრდნობოდნენ შეუმოწმებელ ცნობას იმის შესახებ, რომ არონსონმა ზეპირად გამოაქანდაკა მისთვის უცნობი პიროვნება, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ასეთი აზრის უნიადავობა მაღლე გამოამჟღავნა.

6. არონსონმა, ჩანს, კარგად შეისწავლა მოდელის არა მარტო გარეგნული თვისებები. ამის საშუალება მას სხვა დროსაც მიეცა. როგორც უკვე აღინიშნა, ვ. ი. ლენინი მოქანდაკის სახელოსნოს 1909 წლის გაზაფხულზეც ესტუმრა.

ცნობილ პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს ი. ეგაძეს უურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1968 წ. № 5) გამოქვეყნებულ შეტად საინტერესო სტატიაში გამოთქმული აქვს აზრი, რომ ლენინი სახელოსნოში შესაძლებელია ერთი სეანსი მაინც მოქანდაკის განკარგულებაში იყო.

6. არონსონის ნახელავმა მაღლე საქვეყნო აღიარება მოიპოვა. რუმი-ანცევის მუზეუმში<sup>2</sup> გამოფენილმა ვ. ი. ლენინის ქანდაკებამ ერთბაშად

1 ნაგულისხმევია თბაშირის ბიუსტი, რომელიც ოცდაათიანი წლების დამდეგს წითელ მარმარილოში იქნა გამეორებული.

2 ამჟამად ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.

პოხიბლა ყველა მნახველი; იგი „ჩვენი დროის უდიდეს მოვლენად“ იქნა გამოცხადებული. ავტორის სიხარულმა ახალი ფრთხები შეისხა, როდესაც ნ. კ. კრუპსკაიას აზრი მოისმინა.

— როცა ნ. კრუპსკაიამ, — წერდა იგი, — მოსკოვში ჯემოთიანილ ჩემს ბიუსტზე ოქა: „ეს ლენინის ნაწილია“, — მიგვედი, რომ ჩემი მიზანი — ჩემს ნამუშევარში გადმომეცა ვლადიმერ ილიას-ძის მარადიული დინამიკა, მისი მუდმივი სწრაფვა წინ, მისი რეინისებური ნებისყოფა და მასების გაყოლების უნარი, — მიღწეულია.

როგორც ზემოთ მოტანილ ამონაშერებიდან ჩანს, ვ. ი. ლენინის სკულპტურული პორტრეტი თავიდანვე ხელოვნების უბადლო ნაწარმოებად იქნა აღიარებული.

მანც როგორ მიაღწია მოქანდაკემ ასეთ წარმატებას?

უწინარეს ყოვლისა არონსონმა ამოცანად დაისახა უარი ეთქვა გარეგნულ ეფექტებზე, ნაკლებად ეზრუნა ფოტოგრაფიულ მსგავსებაზე. მის-თვის მთავარი იყო დაენახა და ეგრძნო ვ. ი. ლენინის შინაგანი ბუნება, „უნდა გაგაფრთხილოთ, — წერდა არონსონი, — რომ მე სრულებით არ მაინტერესებდა პორტრეტული მსგავსება. აბსოლუტური მსგავსება — ფოტოგრაფიის საქმეა“.

მოქანდაკის აზრები შესანიშნავად ჩამოაყალიბა და განავრცო ა. ლუნაჩარსკიმ.

„არონსონის ჩანაფიქრი ჩემთვის აბსოლუტურად გასავაბია და მი-შზიდველი... ლენინი მისთვის, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციის განსახი-ერებაა, ბელადია, რომელმაც ტახტი ნამსხვრევებად აქცია“. შემდევ ა. ლუნაჩარსკი განიხილავს მხატვრულ ხეხებს, რომლის სამუალებითაც მოქანდაკემ ამ იდეას უდიდესი ოსტატობით შეასხა ფრთები.

„არონსონის ოსტატობაში... ბედნიერად იყო შერწყმული ორი სა-წყისი: მხატვრულ-რეალისტური და აქტიურ-არმანტიკული. ლენინის თავი, რომელიც მაგარ კისერს ეყრდნობა, წინ მიისწრაფვის. ანატომიუ-რად უზადოდ გამოხატული მისი უზარმაზარი შუბლი აღსავსა აზრით, რომელიც ერთსა და იმავე დროს კიდევაც განსჯის და დასკვნებიც ვამო-აქვს. თვალები ფხიზლად გაჰყურებს სივრცეს. ეს ჭეშმარიტაზ არწივის მზერაა, რომელიც წვდება ცხოვრების სიფართოეს და იმავე დროს ირ-ჩევს წერტილს, საითქენაც სიმაღლიდან უნდა მიმართოს ელვისებური დარტყმა. სახის ქვემო ნაწილი არონსონს მკვეთრად მოუხასავს. ყბა მძლა-ვრია და აღსავსა ნებისყოფით, სამაგიეროდ თვით პირს, სქელ ბაგებს ანიჭებს მოულოდნელ სირბილეს. სწორედ აქ, თითქმის შეუმნიკეველ. მაგრამ გადამწყვეტ ხაზებში, პირის კუთხების მახლობლად, ხელოვანმა მოათვავსა თანაგრძნობა, უზარმაზარი ტრაგიკული კაცომოყვარეობა.

...მას ყველაფერი ძალუძს, არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს, საქმეს

პოლომდე მიჰყვება, ვინაიდან ამ მხრივ იგი ცივია, როგორც ყაზაჯუსტანის  
და მტკიცე, როგორც რკინა.

მაგრამ რომანტიკული მეთოდით არონსონი კვლავ იმეორებს: ვის  
ჭოვლისმძღვე ენერგიის შინაგანი კანონი კი მაინც სიყვარულია.

\* \* \*

6. არონსონმა თავისი ქმნილება პირველად პარიზის საგაზაფხულო  
ვამოფენაზე გამოიტანა 1936 წელს. მოქანდაკე არ შეუშინდა ბურუუაზი-  
ული საზოგადოების მოსალოდნელ თავდასხმას, იგი ღრმად იყო და-  
რწმუნებული, რომ ვაჟკაცურად მოიგერიებდა ყველა იერიშს. სინამდვი-  
ლეშიც ასე მოხდა. ბურუუაზიული პრესა, რომელსაც ფართოდ აუწყო-  
ფეხი ემიგრანტულმა გაზეთებმა, სასტიკად დაესხა თავს მოქანდაკეს.  
ვაზეთები წერდნენ „უდიდესი ნიჭის ტყუილუბრალოდ ხარჯვის დიდ  
აღმაშფოთებელ ფაქტზე“.

არონსონს საკმაოდ ძვირად დაუჯდა ასეთი ვაჟკაცური ნაბიჯი. ბე-  
ვრმა ბურუუაზიულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ იგი აითვალწუნა, მთა-  
ვრობის შეკვეთები ძლიერ შემცირდა, ერთხანად მთლიანადც შეწყდა.

მაგრამ ამ მოწამლულ ატმოსფეროში მოქანდაკეს ობლობა არ უგ-  
რძნია; მას დაუყოვნებლივ გვერდში ამოუღენენ ბურუუაზიული პარი-  
ზის მიღმა მყოფი — მეორე მოწინავე, პროლეტარული პარიზის უდიდე-  
სი მასები. პროგრესისა და რეაქციული ძალების შეჯახება პირველის გა-  
მარჯვებით დამთავრდა. ამიერიდან ნ. არონსონის სახელი სამუდამოდ  
დამკვიდრდა პროგრესისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა მრავალმი-  
ლიონიანი არმიის შეგნებაში. ამის მკაფიო დამაღასტურებელია შემდე-  
გი ფაქტი:

პარიზი; გერმანელ ფაშისტთა ოუბაციის წლები; ქუჩებში სვასტი-  
კიანი პატრულები. მასობრივი ჩხრეკა-დაბატიმრებანი, ტრანსპორტის  
მოძრაობაზე სასტიკი კონტროლი; ჩვეულებრივი სატვირთო ავტომანქანა,  
მაგრამ არაჩვეულებრივი ტვირთით — ტომრებში გახვეული მარმარი-  
ლოს ქანდაკებით, ნებადართული სიჩქარით მიიზღაზნება ქუჩებში.  
პატრულები საშვს სინჯავენ, რატომღაც აზრად არ მოსდით ტვირთის  
შემოწმება.


სატვირთო მანქანა მალე შედის გარეგნულად ნაკლებად მიმზიდველი  
შენობის ეზოში. ადგილზე გაჩნდნენ წინასწარ გაფრთხილებული პირები,  
ტომრებში გახვეული ტვირთი საგულდაგულოდ იცლება, მარმარილოს  
ფიგურები ნესტიანი სარდაფის მკვიდრნი ხდებიან. ამ ფიგურათა შორის  
იყო არონსონისეული წითელ მარმარილოში გამოკვეთილი ლენინის ბი-  
უსტი. ეს მრავალხითათანი ოპერაცია კი წარმატებით განახორციელეს  
შინააღმდეგობის მოძრაობის მამაცმა იატაკევეშელმა მებრძოლებმა.

1935 წელს ნ. კრუპსკაიას წერილი გაუგზავნია არონსონისამცირებლი  
თხოვნით ილიჩის ქანდაკების მიღების პირობების თაობაზე, რომ ეს ბი-  
უსტი ძალიან დაამშვენებს ვ. ი. ლენინის მუზეუმს.

დღემდე ცნობილი არ არის, თუ რატომ დაიგვიანა ნ. არონსონის  
ბრწყინვალე ქმნილებამ მოსკოვში საბოლოოდ დასამკვიდრებლად. შე-  
მოქმედის ეს სურვილი მხოლოდ 1956 წელს განახორციელა მოქანდაკის  
ძმისწულმა, მწერალმა ქალმა ლიუბოვ არონსონმა. მან ქანდაკება საბჭო-  
თა კავშირის პარიზის საელჩოს გადასცა, როლო მუშაკებისადმი  
გაგზავნილ წერილში წერდა:

„გიძღვნით რა ამ საჩუქარს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამით  
გამოვხატავ ნაწარმოების აქ განსვენებული ავტორის დაუცხროშელ სუ-  
რვილს. საბჭოთა კავშირი, რომელიც მისი სამშობლო იყო, მას ხომ გატა-  
ცებით უყვარდა.“

ნაუმ არონსონი ხელოვნების ისტორიაში მოქანდაკე პორტრეტისტის  
ბრწყინვალე სახელით არის ცნობილი. მან თავისი ხანგრძლივი მოღვაწე-  
ობის მანძილზე შესანიშნავ ადამიანთა უამრავი სახე გამოძერწა. მის  
მდიდარ, ცოცხალ პორტრეტთა გალერეაში შეხვდებით სწავლულებს,  
პოეტებს, მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, აგრეთვე დიდ რევო-  
ლუციონერებს, მხედარმთავრებს, სახალხო აჯანყებათა ბელადებს. რე-  
ვოლუციურ თემაზე შესრულებულ ნაწარმოებთაგან პირველ რიცხი უნდა  
აღინიშნოს „ძველი კომუნარი“, „1905 წლის 9 იანვრის მსხვერპლთა  
ძეგლი“, „გულგატებილი“, „პოლეტარი“, მაგრამ ნ. არონსონი თვისი  
შემოქმედების ყველაზე დიდ მიღწევად ვ. ი. ლენინის ქანდაკებას თვლი-  
და. იგი წერდა: „ჩემი ეს ნამუშევარი ყველაზე უკეთესია იმათვან, რაც  
მე ოდესმე შემიქმნია.“



## ასეთ ჩავლეიშვილი

# პრითიქა პურალიცისტიქა გამარჯვების პირველ წლებში

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარაშიც მრავალი ანტისაბჭოთა პარტია და ჯგუფი არსებობდა. ესენი იყვნენ: მენშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები, ესერები და ა. შ. ისინი კვლავ გააფორმებით იბრძონენ მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ყველაზე უფრო მაინც მენშევიკური პარტია აქტიურობდა. მარტი 1921 წლის ივნისსა და ივლისში საგანგებო კომისიმ მრავალი მენშევიკი გამოააშარავა. ისინი საბჭოთა დაწესებულებებში იყვნენ მოქალაოებული და ეწეოდნენ როგორც შენიბულ, ისე აშკარა მავნებლურ მუშაობას. და ეს მაშინ, როცა ბოლშევიკებმა დადი შეღათი გაუწიეს ანტისაბჭოთა ელემენტებს — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ-სავე წელს საქართველოს რევკომმა მენშევიკური და სხვა პარტიების მიმართ ამნისტია გამოაცხადა.

\* მიზედავად ამისა აღნიშნული პარტიები არ შეურიგდნენ ისტორიულ ფაქტს — არ სცნეს საბჭოთა ხელისუფლება და დააგნენ საბორტების, პროკოკაციის, არალეგალური კონტრაჩეკოლუციური ორგანიზაციების შექმნისა და ძირგამომთხრელი მუშაობის გზას.

მენშევიკური გაზით „ერთობა“ ბოლო ნომერში მიუთითებდა, რომ ყველა წევრი დარჩენილიყო საქართველოში, დაბრუნებოლნენ თავიანთ სამუშაო აღვილებს, ეცადათ მოხვედრილიყვნენ ყველა საბჭოთა დაწესებულებაში, შემძღვალიყვნენ წითელ არმიაშიც კი და საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ეწარმოებინათ ძირგამომთხრელი მუშაობა.

ქართველი მენშევიკების ლიდერი ნ. უორდანია ირწმუნებოდა, რომ მთავრობა იძულებული იყო წასულიყო საზღვარგარეთ, და თითოეულ

ქართველს მიუთითებდა არ ეცნოთ ახალი მთავრობა, არ შეესრულებინ მასი არც ერთი განკარგულება და დალოდებოდნენ მათ, საქართველოს ნამდვილ მთავრობას.

მენშევიკები მშრომელებს მოუწოდებდნენ ეპრძოლათ საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკების პარტიის წინააღმდეგ. მათ უნდოდათ აჭარა გაეხადათ თურქეთში გახიზნულ და საქართველოში დარჩენილ მენშევიკებს შორის დამაკავშირებელ პუნქტად. აჭარაში მენშევიკების მოღვაწეობის ცენტრი ბათუმის რეინიგზის დეპო იყო.

როგორც მთელი საქართველოს, ისე აჭარის ბოლშევიკებს ანტი-საბჭოთა იატაკევეშეთის ორგანიზაციების ლიკვიდაცია მიაჩნდათ თავიანთ გადაუდებელ და აუცილებელ ამოცანად. ამის გარეშე სახალეკ მეურნეობის აღდგენასა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ანიშნული საყითხი არაერთხელ იდგა საქართველოს კა ბათუმის საქალაქო და საქართველოს კა აჭარის საოლქო კომიტეტების სხდომათა დღის წესრიგში და კონკრეტული ლონისძიებები ისახებოდა იატაკევეშეთის ორგანიზაციების გაუქმების შესახებ. ბოლშევიკები ფაბრიკა-ქარხებში, დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებსა და სამაზრო ცენტრებში ატარებდნენ კრებებს, რაც ხელს უწყობდა საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტის ზრდასა და ძლიერების განმტკიცებას. მიღებულ რეზოლუციებში ხაზგასმული იყო, რომ მშრომელები არ დათმობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ისინი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებდნენ. ამ დიდი მონაპოვრის დასაცავად.

როგორც საქართველოს კა აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიული არქივის მასალებიდან ირკვევა, 1922 წლის 11 თებერვალს მენშევიკებმა ბათუმში მოაწყვეს მოსწავლეთა დემონსტრაცია. ამ მოვლენის საპასუხოდ ფაბრიკა-ქარხებსა და დაწესებულებებში, მაზრებსა და თემებში ჩატარდა კრებები, რომლებზედაც მუშები, გლეხები, მოსამსახურები მენშევიკებს აფრთხილებდნენ, რომ თუ ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღს აღმართავდნენ, მათ აღვარენ პირისაგან მიწისა.

1922 წლის მაისში მენშევიკები შეეცადნენ მოეწყოთ ბათუმის მუშამოსამსახურეთა დემონსტრაცია, მაგრამ მათი ცდა კრასით დამთავრდა — ამ დროისათვის უკვე დაწყებული იყო მენშევიკური პარტიის რღვევა. მშრომელი ხალხი ანტისაბჭოურ მენშევიკურ პროგრამას მხარს არ უჭერდა. მენშევიკური და სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციების რიგები ყოველდღიურად მცირდებოდა. მათი წარმომადგენლები კოლექტიური განცხადებებით მიმართავდნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რომ გამოდიან მენშევიკური პარტიის რიგებიდან და სურთ შევიდნენ კომუნისტური პარტიის რიგებში.

1923 წლის აგვისტოში აჭარის ბოლშევიკური ორგანიზაციის კონფრინტაცია დატივით ჩატარდა ყოფილ მენშევიკთა კრება, რომელმაც ჰუმინისტები კიდევ დაამტკიცა მენშევიკური პარტიის რღვევა. კრებამ მიიღო დადგენილება მენშევიკური პარტიის დაშლის შესახებ. დაშლილად გამოცხადდა აგრეთვე მენშევიკური ახალგაზრდული კავშირის „ახალგაზრდა მარქსისტების აჭარის ორგანიზაცია“. კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს საქართველოს კომპარტიისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტებს, აგრეთვე — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტებს. მაგრამ იატაკვეშა ორგანიზაციები მაინც განაგრძობდნენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ისინი მუშაობდნენ ემიგრანტი მენშევიკური მთავრობისა და ანტისაბჭოთა პარტიების გაერთიანებულ ორგანოს, ეგრეთწოდებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ უშუალო მითითებით, რომელიც გადაშეისახლი იყო აჯანყების მომწყობ სამხედრო შტაბად.

1924 წლის აგვისტოში ანტისაბჭოთა პარტიების ნარჩენებმა თავადაზნაურთა და ვაჭართა წრის წარმომადგენლებთან, ძველი არმიის ოფიცრებთან და სხვა ასეთ ელემენტებთან ერთად საქართველოში მოახდინეს შეიარაღებული აჯანყება.

მენშევიკების შეიარაღებული აჯანყების გეგმაში აჭარა გამონაკლისს არ წარმოადგენდა. უფრო მეტიც: ისინი ცდილობდნენ აჭარა საქართველოსაგან მოეწყვიტათ, გამაგრებულიყვნენ მის ტერიტორიაზე და ბრძოლა განეგრძოთ საქართველოს სხვა რაიონების წინააღმდეგ. მაგრამ აჭარის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ თავის დროზე მიიღო საჭირო ზომები. მენშევიკების აჯანყებამდე ორი თვით ადრე ანტისაბჭოთა პარტიების ყველა მეთაური დაპატიმრეს.

აჯანყების დაწყებამდე რესპუბლიკაში შემოღებულ იქნა სამხედრო წესები. მოსალოდნელი პროვოკაციული გამოსვლების აღსაკვეთად და საქართველოს დასავლეთი რაიონების დასახმარებლად შეიქმნა „ხუთეული“. „ხუთეულის“ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გამოჩენილი კომუნისტები — გ. ქავთარაძე, კილაძე, იანოვსკი, ახალაძე, ტავუნოვი, შიოლიძე (აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიული არქივი, ფ. 1. ს. 271, ფ. 60). აჭარის ყველა მაზრაში შეიქმნა საგანგებო „სამეულები“,

რომელთა სათავეში ბოლშევიკები იდგნენ. აჯანყების წინააღმდეგ საბრძოლველად აჭარაში ჩატარდა კომუნისტებისა და კომკავშირელების მობილიზაცია. მარტო ქალაქ ბათუმში მობილიზებულ იქნა ექვსსაამდენ კომუნისტი და სამასამდე კომკავშირელი. ხოთასამდე მუშამ სურვილი გამოიწვია მუშებისა და გლეხების დასახმარებლად ურიაში წასულიყვნენ (გაზ. „კომუნისტი“ № 201, 1924 წ. 4 სექტემბერი).

გურიის კომუნისტებისადმი უშუალო დახმარების მიზნით აჭარიდან ოზურგეთის მაზრაში გაიგზავნა ოთხასამდე შეიარაღებული კომუნარი; ისინი ჯერ მონაწილეობდნენ ნატანების, ხოლო 1924 წლის 29-30 აგვისტოს ქალაქ ოზურგეთის განთავისუფლებაში (გაზ. „კომუნისტი“ № 201, 1924 წ.): პარტიული და საბჭოთა რაზმების დასახმარებლად ქალაქ ფოთში ბათუმიდან გაიგზავნა გემი „კორონი“, რომელშიაც 50 მოხალისე იყო.

1924 წლის 2 სექტემბერს ქალაქ ბათუმში ჩატარდი დიდი მიტინგი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდნენ აჭარის პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები და საქართველოს ცაჟის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე. მიტინგი დიდი აღმაღლობით ჩატარდა. მუშები და გლეხები მოითხოვდნენ აჯანყების მეთაურთა დასჯას. ისინი გაიძახოდნენ: „ჩვენ არავის არ მივცემთ ოტომბრის მონაპოვარს“, „ყველთვის ვივლით კომპარტიასთან ერთად“. ასეთივე მიტინგები ჩატარდა აჭარის მაზრებში.

სერგო ორგონიკიძე აჭარის მშრომელების ბრძოლას მენშევიკებისა და სხვა ბანდების წინააღმდეგ, მაღალ შეფასებას ადლევდა. ის აღნიშნავდა, რომ, რაც შეეხება აფხაზეთსა და აჭარას, ჩვენი რესპუბლიკის სწორედ იმ ნაწილებს, რომლებიც არაერთხელ აჯანყებულან მენშევიკებისა და მათი ტირანიის წინააღმდეგ, იმ ავტონომიურმა რესპუბლიკებმა არა თუ მხარი არ დაუჭირეს, მენშევიკურ ავანტიურას, არამედ ბათუმი, აჭარა და აფხაზეთი უმაღვე ბრძოლაში ჩაებნენ და პირველი დახმარება მათ ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებს გაუწიეს (გ. კ. ორგონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, 1957, გვ. 441).

მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციების 1924 წლის აგვისტოს ავანტიურამ დააჩქარა მათი ლიდვიდაცია. გაზეთი „ტრუდოვო ადრაუსტანი“ 1925 წლის 24 ნოემბერს წერდა, რომ ანტისაბჭოთა პარ-

ტექსტის აგვისტოს გამოსვლების შემდეგ მენშევიკებს ათასობით შეკვეთა  
გლეხი ჩამოშორდა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე  
დადგნენ.

ამრიგად თავიანთი ანტიხალხური მოქმედებით მენშევიკებმა და  
სხვა პარტიებმა მშრომელთა მასებში დაკარგეს ნდობა, ავტორიტეტი  
და განიცადეს სრული კრიზი. ისინი დაიშალნენ და როგორც მოელს  
საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში დამკვიდრდა ერთპარტიული  
სისტემა.



## გეგელი გაგისონია

### პირველი სასულე ორგანიზაციი

აჭარის მუსიკალური საზოგა-  
დოება, რომელსაც რამდენიმე  
თეოული წლის ისტორია აქვს,  
დღითიდღე იზრდება ამ საზოგა-  
დოებამ მრავალი ნიჭიერი მუსი-  
კოსი გამოზარდა. მასთან მჭიდ-  
რიდაა დაკავშირებული აჭარის  
ასარ ხელოვნების დამსახურე-  
ბული მოღვაწის — ტერენტი ივა-  
ნეს ძე ხავთასის შემოქმედებითი  
ბიოგრაფია.

ტერენტი ბათუმში მსახურობ-  
და — ერთ-ერთი სამხედრო ნა-  
წილის კაპელმეისტერი იყო.  
1921 წელს ეს ნაწილი რუსეთში  
გადავიდა. ტერენტი კი გაათავი-  
სუფლეს სამხედრო სამსახური-  
დან.

ამ დროისათვის ტერენტი ხავ-  
თას კარგად იცნობდა აჭარის  
მუსიკალური საზოგადოება. ნი-  
ჭიერ მუსიკოსს შესთავაზეს შეე-  
ჭმნა საქალაქო ქართული სასულე  
ორკესტრი.

ტერენტის სიხარულს საზღვარი  
არ ჰქონდა — მთელი სულითა  
და გულით შეუდგა ამ საპატიო  
დავალების შესრულებას.

ტერენტი საგულდაგულოდ არ-  
ჩევდა კაღრებს პირველი საქა-  
ლაქო ქართული სასულე ორკეს-  
ტრისათვის, უაღრესი სიფრთხი-  
ლით ამოწმებდა მათ მუსიკალურ  
ნიჭს, უნარს, შესაძლებლობას.  
მამაშვილურად ესაუბრებოდა  
ყოველ მათგანს, უხსნიდა თუ რა  
დიდი პასუხისმგებლობა ეკისრე-  
ბოდათ.

...საქმისაღმი უსაზღვრო სიყ-  
ვარულმა, შეუპოვარმა შრომამ,  
მონდომებამ თავისი შედეგი გა-  
მოიღო — ჩამოიყალიბა მუსიკო-  
სთა მშვენიერი კოლექტივი.

პირველი საქალაქო ქართული  
სასულე ორკესტრის შემადგენ-  
ლობაში შევიდნენ მუსიკის თაყ-  
ვანისამცემლები და მოტრფიალე-  
ნი ფ. შარგველაშვილი, ვ. ნიკურა-  
ძე, ვ. ლანჩხავა, ვ. შავგულიძე,  
შ. წერეთელი, ნ. კაჯუშაძე, დ.  
ჭელიძე, ვ. ხმალაძე, თ. ჩხაიძე,  
ა. ცქიტიშვილი, ვ. მოსეშვილი,  
ტ. ყიფიანი, ვ. გოცარიძე, გ. გუ-  
ლიაშვილი და სხვები.

ახლა მთავარი იყო მოკლე ხან-  
ში დაუძლიათ სასწავლო მოსამზა-

დებელი რეპერტუარი და მოძო-  
თხოვნი მსმენელების წინაშე პი-  
რანთლად წამდგარიყვნენ.

შორმის მძიმე, მაგრამ ხალი-  
სიანი მღელვარება და მოუსვენ-  
ობა დაეცფლა ყველას. ძალე  
გაიძარჩვა საქმის სიყვარულმა,  
მონდომებამ, შეუპოვრობამ, გა-  
იმარჯვა ადამიანმა. აი, ამისი დას-  
ტურიც: ქალაქის ზღვისპირა პარ-  
კის საესტრადო ორკესტრის სა-  
რკვლამ დაფაზე გაჩნდა პირვე-  
ლი აუიშა...

ქალაქის საზოგადოება მოუთ-  
ხენლად ელოდა მშობლიური კუ-  
თის ქართული სასულე ორკეს-  
ტრის პირველ კონცერტს.

დარბაზი მუსიკის მოყვარულე-  
ბით გაიჭედა.

იხსნება ფარდა, დარბაზში ქუხს  
ტაში: დამსწრეები მხურვალედ  
ესალმებიან სასულე ორკესტრის  
კოლექტივს.

სალხი უდიდესი გულისყურით  
ისმენდა ყოველ მუსიკალურ ბგე-  
რას.

პირველად ბიჭებს გაუბედაობა  
ემჩნეოდათ, მაგრამ თანდათან  
შევიდნენ ექსტაზში: მიმიბნა  
საამო ჰანგები და ტკბილმა მელო-  
დიებმა მსმენელები მოაგადოვა.

ეს იყო სასულე ორკესტრის პი-  
რველი ნათლობა, პირველი გა-  
მარჯვება, მომავალ წარმატებათა  
მტკიცე საფუძველი.

ტერენტისა და მის მეგობრებს  
ცროხები შეესათ, გაორეცეცებუ-  
ლი ენერგიით შეუდგნენ მუშაო-  
ბას, გამდიდრეს რეპერტუარი,

და შევეწეს ყოველი მუსიკალური  
ნომერი.

და მეორე კონცერტს უფრო მე-  
ტი წარმატება ხვდა წილად. მერე  
ეს წარმატებები მომრავლდა და  
ორკესტრმა სახელი გაითქვა.

ამიტომ იყო, რომ 1925 წლის  
ზაფხულში ორკესტრი ბათუმის  
სპორტულ დელეგაციასთან ერ-  
თად თურქეთში გაიგზავნა სპო-  
რტულ ფორუმში მონაწილეობის-  
მისაღებად.

მტკოვანი ლოტბარი შემდეგ  
მღელვარებით იგონებდა იმ დაუ-  
გიწყარ დღეებს: მზე დაპარაშებდა ქალაქს, ხასხასა, ხავერდო-  
ვანი მწვანე მოლით დაფარული  
სტადიონი ხალხით იყო საცხეს; ას-  
რომ თხეთმეტი ათასი მაყურე-  
ბელი მაინც იქნებოდათ.

სპორტული ლონისძიებების და-  
წყებამდე ეთერში გაისმა ქართუ-  
ლი მელოდიები.. შესვენებისას  
ხომ ერთი წუთით მოცლა არ,  
ჰქონდათ. სასულე ორკესტრის  
წევრები უკრავდნენ ვერდის, ბე-  
თამვენის ფალიაშვილის, არა-  
ყიშვილის, ბალანჩიგაძისა და  
სხვათა საორკესტრო ქმნილე-  
ბებს. ფორუმის მონაწილენი გა-  
ტაცებით ისმენდნენ მომაჯალო-  
ვებელ ჰანგებს, რამდენხერმეც  
კი გაამეორებინეს ნაწყვეტი ოპე-  
რიდან „დაისი“ და ცეკვები „ქარ-  
თული“ და „ხორუმი“.

ერთი კვირის შემდეგ გამარჯ-  
ვებული ბათუმელი სპორტსმენე-  
ბი და სასულე ორკესტრის წევ-  
რები მშობლიურმა ქილაქმა ზეი-  
მით მიიღო.

კვლავ წინ მიღიოდა სასულე ორკესტრი, იზრდებოდა მისი ავტორიტეტი, პოპულარობა, ემატებოდა ახლო კადრები, მდიდრდებოდა რეპერტუარი.

ტერენტი ხავთამა მუყაითი შრომის შედეგად შექმნა აკადემიური სასულე ორკესტრი, რომელიც თბილისის სასულე ორკესტრს ბევრად არ ჩამორჩებოდა.

ბათუმის სასულე ორკესტრი ინიციალად ქალაქის მოსახლეობას ემსახურებოდა, მაგრამ არც აჭარის მაღალმთიან რაიონებს სტრენგი უყურადღებოდ. იგი სისტემატურად გამოდიოდა ზღვისპირა პარკის საზაფხულო ესტრადაზე. სტადიონებზე, დასასვენებელ სახლებსა და სანატურიუმებში, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლეჟებში და საბჭოთა მეურნეობებში. ორკესტრის კონცერტები ყველგან მოწონებას იმსახურებდა.

კონცერტებში ხშირად მონაწილეობდნენ ვოკალური სტუდიისა და მუსიკალური სასწავლებლის ნიჭიერი შემსრულებლები.

საორკესტრო პიესებს გარდა სრულდებოდა ნაწვეტები გამოჩენილი კომპოზიტორების ჭ. ვერდის, შ. გუნის, გ. დოლიძის, დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის შესანიშნავი აპერებიდან, როგორცაა „ტრავიატა“, „ევგენი ონეგინი“, „ფაუსტი“, „ქეოთო და კოტე“, „ოქმულება შოთა

რუსთაველზე“, „დაისი“. ორკესტრი ვირტუოზულად ასრულობდა კომპოზიტორ ალექსი ფარცხალაძის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებებს — „აჭარული სუოტა“.

აქვე აღვინიშნავთ, რომ ალექსი ფარცხალაძე, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა, ყოველთვის ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ტერენტი ხავთასის კოლექტივს.

ბათუმის სასულე ორკესტრმა ბევრი კეთილი საქმე გააკეთა; მისი პატარა კოლექტივიდან საოპერო, სიმფონიური და მუსიკმედიონის დიდი ორკესტრებისაჭერ გზა გაიკავეს ამჟამად. საქართველოს სსრ დამსახურებულმა მოღვაწემ დირიჟორმა კ. სირბილაძემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ნ. ნაკაშიძემ, ვ. ლანჩივაში, ს. ხმალაძემ, ი. ქილარჯიშვილმა და სხვებმა.

ტ. ხავთასი და ორკესტრის წევრები ვ. მარგველაშვილი, ა. შლიფერი, პ. ვარძიელი, ა. ტატიშვილი, ლ. ველიერი, ს. ბაკში, ი. ანგუსტისი და სხვები პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ და დიდი წვლილი შექმნდათ ახალგაზრდა კადრების აღზრდაში. ისინი სკოლებში ქმნიდნენ და აყალიბებდნენ მოსწავლეთა სასულე ორკესტრებს. მათ შორის გამოიჩინდა ბათუმის ლენინის სახე-

ლობის საბაზო საშუალო სკოლის  
მოსწავლეთა სასულე ორკესტრი,  
რომელსაც ტერენტი ხავთასი დი-  
რიკორობდა.

დიდი სამამულო ომის დროს  
ბათუმის სასულე ორკესტრი აჭა-  
რის სახელმწიფო ფილარმონიას-  
თან ახლადდაარსებულ საორკესტ-  
რო მუსიკოსთა ბიუროს მფარვე-  
ლობაში გადავიდა.

ბათუმის სასულე ორკესტრმა  
თვალსაჩინო წვლილი შეიტანა

ჩვენი ქალაქის მუსიკალურ ცხო-  
ვრებაში.

ამიტომ ვაფასებთ ამ კალებუ-  
ტივს, რომელსაც წლების მანძილ-  
ზე აწრთობდა, აყალიბებდა და  
სათავეში ედგა შესანიშნავი ლო-  
ტბარი, აჭარის ასრ ხელოვნების-  
დამსახურებული მოღვაწე ტერე-  
ნტი ხავთასი.

ახალგაზრდა მუსიკოსთა თაობა  
აფასებს წინაპართა ნაამაგარს და  
აგრძელებს ძვირფას ტრადიციებს.



## ალექსანდრე ღავითაძე

### სამზითვო სკირო

ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის საკუნძურებში მნიშვნელოვანი ადგილი ხის მოჩუქურობმებულ ნივთებს უჭირავს.

საქართველოში დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალები და წერილობითი წყაროები ქართული ჩუქურმის ზანგრძლივ და საინტერესო ისტორიაზე მიუთითებენ.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მრავალი ეთნოგრაფიული ექსპონატი. მათ შორის საინტერესო ორნამენტიანი ხის კარები, ნაირფერებით მოქარგული ტანისამოსი, ფერადი ძაფებით ნაჯსოვი წინდები, ქისები, თორები,<sup>1</sup> მოჩუქურობმებული სამეურნეო და საბრძოლო იარალები, ლითონისა და ხის სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი და ავეჯი.

ამ რიგის მასალებიდან ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ მარი-

თის ხეობაში მიკვლეულ მზითვის სკივრებზე. საინტერესოა სოფელ ოლადაურში ნაპოვნი სკივრები, რომლებიც კაკლის ხის მასალებინაგანა გაკეთებული. მასზე წინამხრით ორ დიდ წრეში გამოსახულია ფოთლისმაგვარი ფრთებიანი ვარსკვლავები, ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილია დახრილი სწორი ხაზებით შედგენილი მცენარის ორი გამოსახულებით. მათ შორის ამოკვეთილია ერთი პატარა სვასტიკა („ბორჯლალა“). სკივრის ორნამენტირებულ მხარეს ირგვლივ შემოვლებული აქვს „ხაჩის“ (ჯვრები) გამოსახულების ორი არშია.

ცაცხვის ხის მასალისაგან მოჩუქურობმებული ამგვარი სკივრი ნაპოვნია აგრეთვე სოფელ ტბეთში. მის ორნამენტში მთავარი ადგილი მკრთალ წრეებში ამოკვეთილ ორ დიდ ბორჯლალას უჭირავს. ბორჯლალებს შორის ამოკვეთილია ორი ხე, ერთი პატარა ბორჯლალა და სხვადასხვა ფორმის ორი ვარსკვლავი. სკივრის წინა ხედზე

<sup>1</sup> ხელით ნაჯსოვი ქამარი.

ორნამენტის ირგვლივ შემოვლებული აქვს ვარსკვლავების ორი არშია.

სკივრის თავი კუსტარულად გამჭედილი რკინის კოჭებითაა შეკიდული და ასეთივე კოჭით იკეტება.

მუზეუმში ინახება აგრეთვე ამავე სოფლიდან ჩამოტანილი დაშლილი სკივრის ნაწილი, რომლის წინა მხარეზე ორ დიდ წრეში ერთმანეთზე გარდასახული ვარსკვლავებია ამოკვეთილი. ვარსკვლავებს შორის კი ერთი სიცოცხლის ხე ისახება. მარჯვენა დიდი წრეხაზის ირგვლივ ზემოთ და მარცხნივ გამოსახულია სვასტიკა, მარჯვნივ — ჯვარი, ქვემოთ კი — ორი ვარსკვლავი. მარცხენა მხარის წრეხაზს ზემოთ და მარცხნივ ჯვარია, მარჯვნივ — ვარსკვლავი, ქვემოთ კი — ორი ვარსკვლავი. ფიცარს ირგვლივ უვლის არშია, რომელზედაც რომბებია გამოსახული.

სკივრებზე შესრულებული ორნამენტის ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა: სვასტიკას ქართულ ორნამენტში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მეცნიერები წარმომავლობის მხრივ ერთგვარ საერთოს პოულობენ ჯვარსა და სვასტიკას შორის და მას ჯვრის განვითარებად მიიჩნევენ. (წრეში გამოსახული ჯვრის ტრიალი ცენტრის გარშემო მრავალურთიანი სვასტიკის წარმოდგენას იძლევა). ამჟამად სვასტიკა აღიარებულია მზის ფართოდ გავრცელებული კულტის სიმბოლურ გამოსახუ-

ლებად. მას ვხვდებით ბრინჯაოს ხანის იარაღებზე, მრავალფეროვან კერამიკულ ნაწარმზე და ხის ნაკეთობებზე. სვასტიკურ ორნამენტურ მოტივს ერთ-ერთი მთავარი აღგილი უჭირავს ქართული დარბაზის დედაბოძისა და ბუხრის გაფორმებაში; იგი ხშირადაა ქართულ ავეჯზეც. მისი დამოწმება საყურადღებოდ გვეჩვენება ამ სამზითო სკივრების ორნამენტულ კომპლექსში.

განხილული სკივრების ორნამენტულ სახეებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს სიცოცხლის ხის გამოსახულებას. ეს მოტივი ქართველ ტომებში უძველეს დროიდან მოდის (გ. ჩიტაა, ვ. ბარდაველიძე). ქართველთა წინაპრების კოსმოგონური და ასტრალური რწმენების თანახმად ხე წარმოდგენილი იყო ქვეყნიერების ცენტრად, ცის თალის ბურჯად, მნათობთა სავანედ (გ. ჩიტაა, ი. სურგულაძე). სიცოცხლის ხის ამ მოტივს მრავალი პარალელი მოეპოვება ეგვიპტისა და ინდოეთის ხალხების რწმენაში. აქ სიცოცხლის ხე წარმოდგენილია სამყაროს ცენტრად, რომელსაც უჭირავს ცის თალი. იგი არის ეგვიპტის ცის ქალღმერთის — ნუტისა და მზის ღვთაების ბენუს ძვირფასი ოვლებით შემკული სადგომი; მისგან შექმნა ბრაჰმა მსოფლიო და მისი ჩრდილი წარმოშობდა დღე-ღამეს. ვიღრე მზე და მთვარე გაჩნდებოდა (ი. სურგულაძე).

ალბათ ქართული ღვთაებების  
მკვეთრად ასტრალურმა ხასიათმა  
განაპირობა ხის და ცის სხეულთა  
კულტების კომპლექსური გამოსა-  
ხულებანი როგორც ხეზე, ისე  
ქვასა და ქსოვილზე. ეს დასტურ-  
დება ქართული ეთნოგრაფიული  
მონაცემებით.

აღწერილი სკივრების (ოლადა-  
ური, ტბეთი) ორნამენტულ მოტივ-  
თა შორის წამყვანი ადგილი უჭი-  
რავს ფოთლისმაგვარად ნაკვეთ  
ექვსქიმიან ვარსკვლავებს. ხალხის  
წარმოდგენით ეს მოტივი ცას უკა-  
ვშირდება და იგი ქართველი ეთ-  
ნოგრაფების მიერ ცისქის ვარ-  
სკვლავის გამოსახულებად არის  
მიჩნეული. ეს კულტი ფართოდ  
იყო გავრცელებული მახლობელი  
აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში,  
ევროპასა და ანტიკურ სამყაროში.  
იგი წარმართი ქართველი ტომების  
ცხოვრებაში ნადირთა მფარველი  
ქალღმერთის — დალის სახით ყო-  
ფილა წარმოდგენილი (ი. ჯვახი-  
შვილი).

ქართული ეთნოგრაფიული მო-  
ნაცემებით ჩვენი ხალხის ცხოვრე-  
ბაში მნიშვნელოვნი ადგილი ჩუ-  
ქურთმით შემკულ ავეჯს ეჭირა.  
ორნამენტული მოტივების ზოგი-  
ერთი სახეები (ვარსკვლავები,  
სვასტიკები) დამოწმებულია სვა-  
ნურ, ფშავ-ხევსურულ სკივრებსა  
და სხვა ავეჯზე (ფ. გარდაფხაძე-  
ქქიქოძე, ლ. ბედუკაძე). მაგრამ ასე  
სრული კომპლექსი — სვასტიკა,  
ჯვარი, ვარსკვლავი, სიცოცხლის

ხე, როგორც ეს გამოსახულია მა-  
რითის ხეობის სამზითო სკოცკოჭ-  
ზე, დღეისათვის არაა დამოწმე-  
ბული.

მეცნიერულად აღიარებულია,  
რომ საქართველოში კერა (ბუხა-  
რი) ითვლებოდა ოჯახის ცენტ-  
რად, სადაც სრულდებოდა, სამე-  
ურნეო და საყოფაცხოვრებო ხა-  
სიათის რიტუალები, მასთან იმარ-  
თებოდა საქორწინო ჩვეულებების  
ბევრი ცერემონიალი (გ. ჩიტაა.  
მ. ჩართოლანი).

მასთან დაკავშირებით აჭარაში  
დამოწმებულია ორნამენტიის შე-  
მკული ბუხრის კამაროვანი ქვები  
(სოფელი ნამონასტრევი, მერისა,  
ოქტომბერი, სიხალიძეები, გვე-  
ლიძეები, ოლადაური, ნაღვარევი),  
რომლებზედაც ორნამენტული მო-  
ტივები (სიცოცხლის ხე, ჯვარი,  
სვასტიკა, ვარსკვლავები) კომპ-  
ლექსურადა გამოსახული. ეს უძ-  
ველესი ადამიანის კოსმოგენური  
წარმოდგენების გამომხატველი  
უნდა იყოს.

აჭარაში ნაპოვნ სამზითო სკივ-  
რებზე გამოსახული ორნამენტის  
შეაროდ ბუხრის ორნამენტული  
გაფორმება უნდა მივიჩნიოთ, რა-  
დგან, როგორც აღვნიშნეთ, ბუხა-  
რთან სრულდებოდა მთავარი სა-  
ქორწილო რიტუალები. ამდენად,  
კერაზე გამოსახულ ღვთაებათა კუ-  
ლტის ანარეკლი შესაძლებელია  
გადასულიყო სამზითო კომპლექ-  
სის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტ-  
ზე — სკივრზე.

განხილული სკივრები, ორნამენტის მიხედვით, აჭარის ქრისტიანულ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს (ერთ-ერთ მათგანზე ოსტატს გაბედულად აქვს გამოკვეთილი ჯვარი). გამუსულმანების შემდეგ ამგვარ ძეგლებზე ჯვრები შენიღბულადა გამოსახული; ამასთანავე,

მათზე გვხვდება — ორაბული წერტილები და ნახევარმთვარების სოფელ ოლადაურში და ტბეთში ნაპოვნი მზითვის სკივრები მრავალფეროვანი კომპლექსური ორნამენტებით მატერიალური კულტურის იშვიათ ძეგლებს წარმოადგენენ.

## აგელ სერგელაძე

### ქართველთა ზღვაოსნობის ისტორიიდან

1967 წლის დამდეგს ბათუმში დაარსდა საქართველოს საზღვაო სანაოსნო და, ამრიგად, საქართველო ოფიციალურად ჩადგა მსოფლიოს ზღვაოსან ქვეყნებს შორის. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოქლებული არ იქნება გადავხედოთ ქართველთა ზღვაოსნობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

ქველად ნავი წყლის ტრანსპორტის ზოგადი სახელწოდება იყო. ისე კი ყოველ ნავს სიდიდის მიხედვით შესაბამისი სახელწოდება გააჩნდა. ნ. ჩუბინაშვილის სიტყვით „უმცროსსა შთასაჭდომსა ერთის კაცისასა ეწოდება ნუშა; მის უდიდესს — ვარცლი და სხუათა შთასატევნელთა ვიდრე ათამდე, ოცად, ორმოცად და ასამდეცა კაცთა ჰქვიან: სანდალი, ზარბუნე, კანჯო, კარაპა, კარაჭაპა, კატარლა, ნავტიკი, ოლანჯკანდერი, ონ-ჩხომელი ანუ ორჩხომელი, პურკატა, ხოლო ღრომონი შთაიტევს ხუთასა კაცსა საგზლითა და ტეირთითა, არამედ ხომალდი უდიდესია და სტოლა მრავალი ნავი საომარი“. ირკვევა, რომ ეს სია არასრულია, რამდენადაც აქ არ ჩანს საბას ლექსიკონში მოხსენიებული ისეთი სახელწოდება, როგორიცაა, „კოპანო“, ჩმოთვლილი ნავები კი ერთი მეორის უდიდეს-უდიდესნი არიან“ (ს. ს. ოჩელელიანი).

ეს ტერმინები არა მარტო სხვადასხვა ზომის ნავს განსაზღვრავდა, არამედ მათ დანიშნულებაზედაც მიუთითებდა.

მართლაც, საბას განმარტებით, კატარლა „ნავია საბრძოლო“, ნავტიკი კი — „მცირე ტივი გუდებკრული“ და ა. შ.

ასევე ღიფერენცირებული იყვნენ ნავის მშენებელი ოსტატები და თვით გემის სამოხელეო პირები. საბას განმარტებით „ნავსუ ეწოდების ნავის მაშენებელსა და ნავკოსალარი — მენავეთ მოძღვარსა; ხოლო მეპრორე — მენავეთუუცესსა; მპირველობნი — მენავეთგამგებელსა; ნავტური — კატარლის მნესა (მოხელეს — ა. ს.) და, ნავტე — მომცრო ნავის მნესა; ხოლო მხერვალი — ნავის მავლინებელსა, რომელს უპყრიეს ტიმონი და მეაფქიოე — აფრის გამგებელსა“.

საბას ცნობითევე ირკვევეა მეტად რთული სამოხელეო აპარატის  
არსებობაც. „გეფხისტყაოსნის“ მიხედვით ჩვენში დადასტურებულია ამ  
ირჩარის“ — საზღვაო ძალთა უფროსის თანამდებობაც. გემს მარტო კა-  
პიტანი — „ნავის უფალი“ კი არ ჰყავდა, არამედ ეკიპაჟის ხელმძღვანე-  
ლიც — „მხენავეთუხუცესი“, მესაჭე — „მხერვალი“ და სხვ. ცალკე იყო  
იალქნების გამგებელიც, რომელსაც „მეაღჭიოე“ ეწოდებოდა. ცხადია თა-  
ვისი საქმიანობის მიხედვით ეკიპაჟის სხვა რიგით წევრსაც შესაფერისი  
სახელი ჰქონდა.

იალქნების მომსახურე დიდი სამოხელეო აპარატის არსებობა შემ-  
თვევითი ფაქტი არ იყო. იგი გამოიწვია გემებზე ანძების სიმრავლემ  
და აფრების მრავალფეროვნებამ. ამას ადასტურებს ნუმიზმატიკური მონა-  
ცემებიც. მაგალითად, 1708-1709 წლებში ვახტანგ მეექვისის მიერ მოჭ-  
რილ ფულზე სამანძიანი აფრებგაშლილი გალერეა და თევზებია გამოხა-  
ტული. ქვევა ვახტანგისეული სახელის დაქარაგმება ქართულად.

მონეტაზე სამი ანძის გამოხატვა იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენში არ-  
სებობდა რამდენიმეანძიანი ხომალდებიც.

გემთმშენებლობის, სამოხელეო აპარატისა თუ მშენებელ ოსტატთა  
ასეთი დიდებული ცირება მიგვითითებს ქართველთა მაღალგანვითარებულ  
ზღვაოსნობაზე.

მართლაც, არსებული მცირე ცნობების შესწავლითაც ჩანს, რომ ძვე-  
ლად საქართველო აღმოსავლეთის ერთ-ერთ განვითარებულ საზღვაო სა-  
ხელმწიფოს წარმოადგენდა, ქართველი „ვიკინგები“ კი შესანიშნავი მე-  
ზღვაურები იყვნენ, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო კარ-  
ტოგრაფიის განვითარებაშიც.

ქართველთა ზღვაოსნობის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ცნობა და-  
ცულია ბერძენი მწერლის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“.  
ავტორი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში ცხოვრო-  
ბდა, მიგვითითებს, რომ კოლხეთი საკმაოდ ძლიერი საზღვაო სახელმწი-  
ფოა, ხოლო კოლხები — დახელოვნებული და გამბედავი მეზღვაურები  
არიან, თვით კოლხთა მეფის აეტის საზღვაო ფლოტი „ხომალდთა ლაშქარი  
კი არა, ფრინველთა ურიცხვი გუნდი არის“.

ცხადია, აქ რეალური ვითარება გაზვიადებულია, მაგრამ იგი ნათლად  
შეტყველებს ამ ხელისუფალის საზღვაო სიძლიერეზე. საგულისხმოა,  
რომ „ოქროს საწმისის“ მიმტაცებელ გემ „არგოს“ ეკიპაჟს ძოლ-  
ნები სწრაფნიჩბიანი ხომალდებით მეორე დღესვე წამოსწევიან. ბერძენ-  
ები დამფრთხალან და სანამ სამშობლოს საზღვაოს უკან მოიტოვებდნენ,  
თავი მოურიდებიათ „კოლხთა მცირე ნაწილთან“ პირისპირ შეტაკებაზე.  
ისინი მუხანათობით ცდილობდნენ მდევრების ჩამოშორებას.

ძლიერი ფლოტი ჰყავდა პონტოს სახელმწიფოს, რომლის მოსახლე-

ობის ძირითად ბირთვს, გ. გოზალიშვილის გამოკვლევით, ქართველი ტო-  
მები — მესხები, ტაბალები და ხალიბები შეაღენდნენ. 11-1 ცარის კუნძული  
კუნძულის (ძვ. წ.) მიჯნზე მითრიდატე პონტორელმა (130-63 წ.) შეაღე-  
სამეფო შექმნა, რომელიც რომის იმპერიას წარმატებით უწევდა მეტოქე-  
ობას. ძლევამოსილი სახელმწიფოსადმი წინააღმდეგობა შესაფერ სახმე-  
ლეთო და საზღვაო ძალას მოითხოვდა. რამდენი და როგორი საბ-  
რძოლო ხომალდისაგან შედგებოდა მითრიდატეს ფლოტი ზუსტად არ  
ვიცით, მაგრამ ცნობილია, რომ რომაელებთან პირველი ომის დაწყებისას  
მან სალაშქროდ გამოიყვანა 400 გეში, საერთოდ კი რომაელებთან ცალკე-  
ული საზღვაო ბრძოლებისას მას „ხშირად ჰყავდა 400-ზე მეტი საკუთარი  
ხომალდი“ (აპიანე). მითრიდატეს სიძლიერე და ზღვაზე ბატონობა იმდე-  
ნად მნიშვნელოვნი იყო, რომ პირველი ომის დამთავრებისას, რომე-  
ლიც ჩვენს ერამდე 84 წელს მოხდა, საზაფო მოლაპარაკების ძირითად  
პირობად რომაელებმა მითრიდატეს ფლოტის ვარაცემა მოთხოვეს.

გეოგრაფი სტრაბონი, რომელიც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის  
მიჯნაზე მოღვაწეობდა, თავისი ცნობებით გარკვეულ წარმოდგენას იძლე-  
ვა ჰენიონების ზღვაონიბის შესახებ. სტრაბონის სიტყვით „ჰენიონები  
ცხოვრობენ ზღვაზე მეკობრეობით, ქვეთ პატარა, წვრილი და მსუბუქი  
ნავები, რომლებიც დაახლოებით 25 კაცს იტევენ, ხოლო იშვიათად  
მთლიანად 30 (კაცს) დაიტევენ. ელინები მათ უწოდებენ კამარებს“..

კამარა ცალფა, ერთ ხეში ამოთლილი ნავია. სეუთი ნავები კი ფარ-  
თოდ იყო გავრცელებული შავი ზღვისპირა ქართველ ტომებში. ბერძენი  
ჰიპოკრატე (იგი ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით 460-377 წლებში  
ცხოვრობდა და მოღვაწეობდა) მდინარე ფაზისზე (რონი) ნაოსნობის  
აღწერისას აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ერთი ხისაგან  
გამოთლილ ცალფა ნაცებს ხმარობდა. ანალოგიური ხასიათისაა ჩვენს  
წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის მოღვაწის ქსენოფონეტის ცნობაც. იგი  
მიუთიოებს, რომ ბერძენებისათვის დასახმარებლად მისული მოსინი-  
კები სამას ცალფა ნავში ისხდნენ (თითოში სამ-სამი კაცი).

უნდა ითქვას, რომ კამარიანი ნავების პრიორიტეტს მკვლევარები  
ბერძენებს ანიჭებდნენ, მაგრამ ირკვევა, რომ იგი ბერძნული არ არის და  
მათ ქართველთა გარდა არავინ ხმარობდა (გ. გოზალიშვილი).

სტრაბონის ცნობებში ხაზგასმულია, რომ ჰენიონები შავი ზღვის  
სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროს ბატონ-პატრონი არიან, რომ ისინი  
„კამარებისაგან ფლოტებს ჰქმნიან და თავს ესხმიან ხან საბარეო ხო-  
მალდებს, ხან რომელიმე ქვეყანას ან ქალაქს და (ასე) ფლობენ ზღვას“.  
და ეს იმდენად შესანიშნავი ფაქტი იყო, რომ „ბოსფორის (მცირე  
აზის — ა. ს.) მფლობელნი ზოგჯერ ეხმარებიან ხოლმე მათ, აძლევენ...  
ნავსაყუდლებს, ბაზარსა და ნაღავლის გაყიდვის (საშუალებას)“. საკუ-

თარ ქვეყნებში დაბრუნებისას ან ზამთრის პერიოდში, განაგრძობს სტრა-  
ბონი, ჰენიოხები „იდებენ მხრებზე კამარებს და მიაქვთ ტყეებში“, ხოლო  
„როდესაც დრო დგება ნაოსნობისა, (კამარები) უკანვე მიაქვთ“.

სტრაბონის ცნობებს ავსებს მისი თანამედროვე პუბლიუს  
ოვიდიუს ნაზონიც. ნაზონის სიტყვით ჰენიოხები არ კმაყოფილდებო-  
დნენ ზღვის სანაპირო ახლო-მახლო მიწა-წყლის დარბევით და ხშირად  
შორეულ ტერიტორიებსაც გაბედულად ხელპყოფდნენ. მართალია,  
„ჰენიოხები პონტოს მარჯვენა მხარეს (ე. ი. ომოსავლეთით) უფრო თავი-  
სუფლად დაეხეტებიან, მაგრამ არც დასავლეთ ნაპირს სტოკებენ ხელუ-  
ხლებლადონ“.

მომდევნო პერიოდში ქართველთა ზღვაოსნობის შესახებ საინ-  
ტერესო მასალა დაცული ბიზანტიელ მწერალთა და ისტორიკოსთა  
შრომებში. საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმოხილვასთან დაკავში-  
რებით აგათია სქოლასტიკოსი (მე-6 საუკუნე) წერდა, რომ ეგრელები  
„საზღვაო ვაჭრობაშიც ნახულობდნენ დიდ სარგებლობას!“. მაშასადმე,  
ეგრისს ძლიერებისას შესაფერი ფლოტიც გააჩნდა, რომლითაც ეს ქვე-  
ყანა მცირე აზისი ბერძნულ ახალშენებთან და შორეულ ყირიმთან  
ვაჭრობდა.

ზღვაოსნობის ასეთ განვითარებას სხვადასხვა მიზეზები აპირობებ-  
და — დასავლეთი საქართველო მდიდარი იყო გემთმშენებლობისათვის  
საჟირო ხე-ტყით; იგი ქედან გაპქნიდათ უცხოეთშიც (ეგვიპტე). VIII  
საუკუნეში შევი ზღვის აღმოსავლეთში არსებობდა დიდი საზღვაო  
სავაჭრო გზა. იგი ბოსფორიდან იწყებოდა და აღმოსავლეთ სანაპიროს  
პუნქტების გვლით სებასტოპოლისაკენ (ცხუმი) მიემართებოდა. ეს  
გზა მეტად მნიშვნელოვანი იყო — რომის აღმოსავლეთ პროვინციებს  
დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა. ამ გზით გადიოდა ის სა-  
ქონელიც. რომელიც შორეული ინდოეთიდან მოინოდა კასპიის ზღვისა  
და მტკვარ-რიონის სანაოსნო გზით. ყოველივე ეს კი აჩქარებდა ზღვა-  
ოსნობის განვითარებას. ამიტომაც არის, რომ ამ დიდი საზღვაო საგა-  
ჭრო გზის გასწვრივ აღმოცენდნენ ეკონომიკურად და სტრატეგიულად  
მნიშვნელოვანი ნავსადგურები ბათუმი, პეტრა, ფოთი, ცხუმი და ა. შ.

მომდევნო პერიოდში გემთმშენებლობა კიდევ უფრო განვითარდა.

საინტერესოა ბიზანტიელი ისტორიკოსის მიქაელ პანარეტოსის მი-  
თთოება, რომ 1303 წლის დამლევს, ტრაპიზონში ლათინებმა ანუ იგივე  
გენუელებმა ხანძრით გაანადგურეს „საზღვაო არსენალით“. საზღვაო  
არსენალი კი, ალ. გამყრელიძის აზრით, იგივეა, რაც „ნაგაშმენებლო  
ადგილი და საზღვაო იარაღ-მოწყობილობის საწყობი“. საზღვაო არ-  
სენალის მოწყობა არამარტო გემთსაშენი მაღალი ტექნიკის მაჩვე-

ნებელია, არამედ შუა საუკუნეების საქართველოს, როგორც სამხრეთ სახელმწიფოს, ძლიერების ნიშანიც არის.

ქართველმა ხალხმა დიდი წვლილი შეიტანა ზღვაოსნობის განვითარებაში. ძველმა ზღვაოსნებმა ერთ-ერთმა პირველებმა ბრწყინვალუ ფურცელი ჩასწერეს კარტოგრაფიის ისტორიაში; ამის შესახებ საგულისხმო ცნობას გვაწვდის აპ. როდოსელი. კოლხეთის საზღვაო ძლიერების აღწერისას იგი მიუთითებს „კირბების“, იგივე ქვის ბოძების თუ დაფების შესახებ. რომლებზედაც „წყლის და ხმელეთის ყველა საზღვარია მოგზაურთათვის ნაჩვენები“.

მაშასადამე, კოლხური „კირბები“ იგივე რუკებია, რომლებზედაც წყლისა და ხმელეთის საზღვრებია აღნიშნული. ძველ საქართველოში რუკის არსებობა კი საყურადღებო ფაქტია, რადგან იგი კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარებაზე მიუთითებს.

აპ. როდოსელის ცნობა „კირბების“ შესახებ საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისითაც. „არგონავტიკა“ ძველი წელთაღრიცხვით მე-სამე საუკუნეშია დაწერილი, მაგრამ მასში მოთხრობილი ამბები გაცილებით აღრინდელია. არგონავტების მითი ერთ-ერთი უძველესი თქმულებათაგანია, რომლის შექმნას „პირველი ათასწლეულის მე-8 საუკუნის აქეთ ვერ ვიგულისხმებთ“ (ა. ურუშაძე) ამ დროის კოლხეთი კი, მართალია, ტომთა ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდა, მაგრამ კი, მართალია, ტომთა ძლიერ გაერთიანებას თვალსაზრისით მაინც გვაროვნული წყობილების საფეხურზე იდგა (გ. მელიქიშვილი). საეჭვა, მაშინ კოლხებს რუკა ჰქონდათ, რამდენადაც ეს უკანასკნელი სახელმწიფოებრიობის არსებობის ერთ-ერთი ნიშანია; მაგრამ მომდევნო ხანაში იგი რომ გააჩნდათ, ეს უკვე ფაქტია. ბერძნები, რომლებიც ქედმაღლურად უყურებდნენ სხვა ხალხებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, „ბარბაროსებს“ უწოდებდნენ, არავითარ შემთხვევაში რუკებს, თუ იგი არ გააჩნდათ, კოლხებს არ მიაწერდნენ. მაშასადამე, ქართველ ტომებს — კოლხებს, მსოფლიოში ერთ-ერთ პირველებს ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნისათვის გააჩნდათ წერილობითი ძეგლები, რომელთაც კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდათ. ამის გამოც ცნობილი გერმანელი მკვლევარი კ. რიტერი სამართლიანად შენიშნავდა: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნით... ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“. კ. რიტერი აგრეთვე აღნიშნავს, რომ კოლხებმა ძველი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეზე „დიდი ხნით ადრე თავიანთი წინაპრებისაგან ისწავლეს რუკების შედგენის ხელოვნებაო“. და მართლაც, ყველა საზღვაო და სახმელეთო გზების აღმნიშვნელი რუკის შექმნა კარტოგრაფიის განვითარების მაჩვენებელია.

კარტოგრაფიული ხელოვნება ჩვენში ყოველთვის მაღალ უდინებელი იდა. რუსეთსა და ევროპაში დიდი მოწონებით სარგებლობდა კულტური ბაგრატიონის რუქები. 1737 წელს ისინი ფრანგულადაც ითარგმნა. გვიანდელი ფეოდალური ხანის პოლიტიკურად დაშლილ და ეკონომიკურად დასუსტებულ საქართველოში კარტოგრაფიის ასეთი დონე კი გარკვეულად მიგვანიშნებს განვითარებულ ზღვაოსნობის შორეულ ტრადიციებზეც.

ზღვის სიახლოვემ, განსაკუთრებით კი მისმა სამეურნეო მნიშვნელობამ აღრიდანვე მიიზიდა ჩვენი ხალხი. ქართველი „ვიკინგები“ გაბედულად დასცურავდნენ შავ და მახლობელ ზღვებზე. ისინი, როგორც იტყვინ, ზღვას შეეზარდნენ. ამიტომ იყო, რომ შესანიშნავ მეზღვაურებად ითვლებოდნენ. ისინი არა მარტო საქართველოს, არამედ ჯერ ციზანტიის, შემდეგ თურქეთის ფლოტის ძირითად კადრს შეადგენდნენ. XIX საუკუნის 50-იანი წლების თურქული ცნობით ლაზები „ზღვაოსნობაში კონკურენციას უწევენ სხვა ტომებს. ისინი შეადგენდნენ ოტომანთა ფლოტის ყოველწლიურ კონტინგენტს; თურქეთი აქედან იღებს საუკეთესო მატროსებს; მეზღვაურთა იმ კადრიდან, რასაც იმპერიის ზღვისპირა პროგინციები იძლევიან, სამი მეოთხედი ლაზებია. თურქეთის კუნძულებიდან და ხმელთაშუა ზღვის კუთვნილ სანაპიროდან მატროსები ჩვენ სრულებით არ გვყავს“. თურქეთის ფლოტში კი ლაზების მონაწილეობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ცნობის ავტორის ისმანბეის სიტყვით ამ კუთხის დაკარგვა „თურქეთის ფლოტის დაშლას გამოიწვევდა.

და, მაუხედავად ყოველივე ამისა, საქართველო XIX საუკუნეს საზღვაო ფლოტის გარეშე შეხვდა.

საქმე იმაშია, რომ მეოთხუთმეტე საუკუნეში საქართველოს ერთიანი მონარქია ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცდა. ამან უარყოფითად იმოქმედა ზღვაოსნობაზეც, რადგან „არაფერი ისე არაა დამოკიდებული ეკონომიკურ წინაპირობებზე, როგორც სწორედ არმია და ფლოტი“ (ფ. ენგელსი). მართლაც, აფხაზეთს, გურიასა და სამეგრელოს ცალკ-ცალკ აღარ გააჩნდა ამ საქმეში დასაბანდებელი მნიშვნელოვანი თანხა. ამიტომ ბუნებრივია, არც ძლიერი ფლოტის შენარჩუნება და ყოველწლიურად მისი მეზღვაურთა ახალი კადრებით შევსება შევძლოთ.

ზღვაოსნობის დაქვეითებაზე განსაკუთრებით იმოქმედა იმდროინდელ მსოფლიოში დიდშა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმაც, რამაც ხმელთაშუა ზღვის აუზიდან სავაჭრო გზების დასავლეთით გადანაცვლება გამოიწვია; მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე, თურქთა გაბატონება შავ ზღვაზე. ამ უკანას-

კნელმა ზღვის სანაპიროზე მდებარე საქართველოს ზღვაზე გასტარის  
საშუალება მოუსპო. მეკობრეობაც გახშირდა.

მაგრამ ქართველი ხალხი კვლავ დაუცხრომლად იბრძოდა ძველი  
ტრადიციების აღსადგენად, ზღვაოსნობის ასაღობინებლად.

მეტად ნაყოფიერი გამოდგა საბჭოთა ხელისუფლების წლები. შეი-  
ძლება თამამად ითქვას, რომ ამ წლებმა ბათუმი არა საკავშირო, არამედ  
მსოფლიო მნიშვნელობის სანაცხადგურო ქალაქად აქცია. ახლა კი იგი  
საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ცენტრია.



## დავით ნაცვალეპე

# რას მოგვითხოვენ მემორიალური დაფები

„ — ირგვლივ გაუვალი ჭაობი, სასმელად მღაშე წყალი, ქუჩაში მუხლამდე ტალახი, და აუტანელი სიბინძურე „ — ასე წარმოგვიდგენს ბათუმს გიორგი ერისთავი 1862 წელს თავის „მოგზაურობაში“. —

— დიღხანს ვუყურებდი პატარა, ღარიბ ბათუმს; ოციოდე სახლი არის, რომ სახლსა ჰგავს. იმათში უკეთესი სახლი ფაშისაა, — წერს იგი.

— მაშინდელი ბათუმის ხილვამ ასევე გული ატკინა ნიკო ნიკოლაძესაც, რომელმაც იგი 1873 წელს ინხეულა.

„ბოლაზში შესვლის დროს ჩვენმა ხომალდმა ორ ახლადნაშენებ ციხეს ჩაუარა... ბათუმის ქალაქი ორიოდე უდაბურ სახლსა და ქოხს ჰქვია. ზოგი მათვანი დაწნილი, შეტყეჩილი ფაცხა!“ — იგონებს ნიკოლაძე.

ნ. ნიკოლაძის „ნაგრძნობი და გაგრილი“ არა მარტო მნიშვნელოვანი ღოკუმენტია მაშინდელი აჭარის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, არამედ იგი სერიოზული ბრალდებაცაა დამცყრობელთა მიმართ.

არ შეიძლება არ მოვიგონოთ ნ. ნიკოლაძის ურთიერთობა ბათუმის ქალაქის თავთან ლუკა ასათიანთან. ნ. ნიკოლაძის არქივში შემონახულია მასალები, რომ ამ დიდ საზოგადო მოღვაწეს სწორედ ბათუმში დაუწერია ექვსასამდე შრომა, რომელიც ეხებოდა 1917 წელს ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის გაყვანას.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ პირობა შექმნა ქართული შიწაწყლისა და საწარმოო ძალთა გაერთიანებისათვის. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1829 წელს, როცა გამოხსნილი იქნა ახალციხის მხარე, მაგრამ ოსმალთა მფლობელობაში რჩებოდა ქართული მიწის ნაწილი.

გასული საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთ საქართველოს ბედს არა ერთხელ შეეხო ქართული პრესა. ქართველი ხალხის მესვეურები ილია

Վազգեածիս մյշտայրոնքուտ, ցըմբնօթդնեն և հռասետ-ռևմալյետու 1877-1879 թլեցիս ռմիս մոակլողեաս, ցուոլոնքդնեն ըս գամատազուսպլանեթլո ռմն հյցնօ ხալնես ցրոցնուլո օնքուրացնեածուատզուկ ցամուցունեածունատ.

մամին պարամի ხալնես ցառացութբնօթօթեածու միթնուտ ցարուլո ցեուտ հմանօթօթնեն սայարացուլու տացօցացութեալո մամյլութցուլյեածու, զուսպ ցլու Շեսթյուուդա დա սպցարդա ծեցուսացան ցանաթամեցի պարարելո մեծու. ցեցնօ ոյցնեն: ցեներալո ցրոցու ցյարուցու, օվանց կրյացըլուց, լցան մելովիթցուլո, թուերու մեցուսամցուլո. օւսնու պարուս տապապեծուան մուծած ցարուլ կաշուրժո ոյցնեն.

ցյարնալ „Կուսկուս“ հրեայելուրմա օվանց կրյացըլուց տալուս սկցազու միթնուտ սայրացու եցլშո կլոցս միալթիա Շերուցնեց եմթուա- մցուլուս սակլամցա. մասპոնեցլմա օվնու կրյացըլուց, սաելնшո. Շերուցնա დա մատ Շորուս մալելցացելո սայնահու ցածին.

— ըմբարտմա յնաս, հռմ մալու գանցիցուս ռմու, — ոյցա Շերուց-ծցմա, — დա ցրտոնանց բարուցա ացուսիրուլցց ս — Շերու օվ. կրյացըլուց.

Շերուց-ծցց եմթուամցուլուան մոլուպարայցեաս սեցց պարամուցեած մո- կցուլ մեցուսամցուլո, հռպա. 1877-1878 թլեցիս հռասետ-ռևմալյետուս ռմու հռասետու ցամարչցեցիտ დամտացրդա დա ծերլունուս կրնցրյասու ցաճաթիցա- ժուլցեցիտ ցեցասամմոնձլուս ճաշերունց ծառումո, պարու დա առջացան.

սելուցամուսենուլու մեցեցիսալմու ճաէմարցեածու մոթուրցեած յարտաւու ხալնեթո մելուցրագ ցաւսմա. ցանեուու, ցյարնալու տու կուլթյուրուլ-սացան- մանատլցեծլու սանցագուցեած պարարելու ճաէմարցեաթց ճալացութեածնեն. ամ կուտեսացց ցամումարտեն լունութեած միշերլցեած დա սանցագու մոլցա- թենու. Շեմտեցցուտո առ ոյու ս ոյայբուց, հռմ Շերուցըլու, հռցուրու ցանցու ցանց աշուրացն սամու ճանուտ ալրյ համուցու დա ցուլոնծուն ցարուցնու շեշցա պարարելու թարմոմացցունցեած.

օմքրունցել ծառումից ցանսայուտրյեցիտ ծեցի սանտերյասու ընուն- ցանց մամին պարամու սամեցրու սամսանցրամ մյուցու ռուուցըրու ճանուտ- կլուսամցուլո. „յալայի, տու Շերուցեած մուս յալայի թուցեած, մდեցար- տեցա նուցու პուրաց. նուցու պուրացց ոյու ծախարու — ծագարա ճածալու- յոնեացեցիտ — զոտոմ մալանցուց, համցենումե յուհա, զովիրու დա մուսկու- թուցու, յալայի ցարմետ ցանցուլու ոյու ոյացեցեց, հռմելունուց ցերու- րունցեն ացեանցեց დա նոցան նանցեց. սելու հռմ հյունուցա մուցուս յա- լայի, <sup>1</sup> ըս օւսու մովուրեցուլո ացցուլո ոյու, հռմ մարտուն պարարել թա- սցու սամինահու დա սահուցեցլու ոյու. սաճաւ սելու ցատուրոյցեած ցըլու-

1. գ. յլուսամցուլու մեցացլոնեածու պարարելու հանցանու, հռմելու 1955 թիւամց ծարատ- մցուլուս յուհուան լունունու մոյցանց Շեգուու.

სიაა, აქ იყო განიერი ტბა სავსე გარეული ფრინველებით. ტბის გადამზადავლებისაკენ იყო უდაბური ტყე.“

აი, ასეთ ქალაქში ჩამოვიდა დ. კლდიაშვილი და დიდი ამაგი დასდო ბათუმს. იგი იყო ყოველი ახლისა და კულტურული წამოწყების ერთ-ერთი მოთავეთაგანი. მწერალმა ბათუმს წარსულს უძღვნა შესანიშნავი მემუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელიც ძირიფასა შენაძენია, როგორც ქართული ლიტერატურის, ისე ბათუმის ისტორიისთვის.

მადლიერმა აჭარამ ღირსეულად დააფასა დიდი მწერლის ღვაწლი: კალინინისა და ბარათაშვილის ქუჩის სკერთან დგას მწერლის ბიუსტი, ხოლო კიროვის ქუჩის მერვე ნომერში მდებარე სანლზე მემორიალური დაფაა გაკრული, რომელიც გვაუწყებს, რომ ამ სახლში ცხოვრობდა და მოღვაწებდა დიდი მწერალი დავით კლდიაშვილი.

1883 წლამდე, ვიდრე რკინიგზას გაიყვანდნენ, ბათუმში ერთობ ძნელი იყო მგზავრობა. თავის მოგონებაში ამ სიძნელეებზე გვიამბობს ცნობილი დრამატურგი ავჭაბენტი ცაგარელი, რომელსაც 1881 წელს ბათუმში ჩამოუყვნია ქართული დრამატული დასი. ცაგარელის მოგონებით ვიგებთ, რომ დასი სამტრედიიდან სამდინარო გემით ფოთში ჩამოსულა, ხოლო ფოთიდან აქ სანაოსნო გემით მოუღწევია.

ბათუმში მსახიობები სასტუმრო „ფრანციაში“ დაბანაკებულან.

აჭარლებთან შეხვედრასა და მათთან გულითად საუბარს ცაგარელი სე იგონებს: „მოგვისხდებოდნენ გვერდით და დაგვიწყებდნენ ჩვენი ქვეყნის ბეჭილბალზე ლაპარაქს. გამოგვითხავდნენ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, სწავლა-მეცნიერების გაგრცელებას საქართველოში. ლაპარაკობდნენ ძველი ქართულის ენით. საუბარი დინჯი, ზრდილობიანი და თავაზიანი ჰქონდათ“

1882 წლის ცეკტემბერში ბათუმში ჩამოვიდა ალექსანდრე ყაზბეგი, რომელსაც ჩამოჰყვნენ ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია და ქეთევან ანდრონიკაშვილი.

აჭარამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ალ. ყაზბეგის შემოქმედებაშიც. მისმა გმირულმა წარსულმა ბევრი რამ შთააგონა დოდებულ მწერალს. ნახევარ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა იგი ბათუმის სახტომრო „ევროპაში“, სადაც დაწერა თავისი პიესის ნაწილი „დურსუნ-ბეგ ქობულეთელი“ და „მგზავრის წერილები“, რომელშიაც აღწერა მაშინ-დელი ბათუმი.

— ჩემი თვალით მინახავს, თუ როგორ სწერდა თავის დრამას „ქეთევან დედოფალს“, როცა ბათუმის სასტუმროში ცხოვრობდა სან-დრო ყაზბეგი. — იგონებს დ. კლდიაშვილი.



ალ. ყაზბეგს ბათუმში დიდი საზოგადოებრივი საქმიანობა და მდგრადი გაუმართავს, — ქართული სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენებიც გაუმართავს, სადაც მის მოხდენილ ცეკვას მაყურებელი აღფრთოვანებაში მოუყვანია.

ოქტომბრის ქუჩის № 52 მდებარე ერთსართულიანი სახლის კედელზე მიმაგრებულია მემორიალური დაფა, რომელიც გვაუწყებს ჩვენს ქალაქში დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ყოფნას.

60-იან წლებიდან ილია ჭავჭავაძე თავს დასტრიალებდა სამხრეთ საქართველოს, იდეურ თაოსნობასა და ხელმძღვანელობას უწევდა ქართული საზოგადოების აზრს და გონიერას.

საქვეყნოდ გაისმა მისი ძახილი: „ქართველობავ, ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებს, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანც მოვიდნენ... შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცომოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირშიც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ურთიერთობა, ერთმანეთისათვის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის“.

ყველაზე დიდ საზრუნავ საქმედ ილია ჭავჭავაძე აჭარაში სწავლა-განათლებას თვლიდა. მას ქართული სკოლის გახსნა ამ კუთხეში გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა. აი მისი სიტყვებიც: „აჭარაში და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული სკოლები უნდა გავხსნათ. ეს სკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარას და ისევ ისე ძმურ სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში“.

1879 წლის 2 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე მწვავედ დაისგა ბათუმში ქართული სკოლის გახსნის საკითხი.

ილიას წინადადებით მასწავლებლად გაგზავნილი იქნა სამედიცინა აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალ. ნანევიშვილი. ამრიგად, 1881 წელს ბათუმში ნურიეს უბანში გაიხსნა პირველი სახალხო სკოლა, რომელშიც 28 მოსწავლე სწავლობდა, მათ შორის 11 აჭარელი იყო.

სამწუხაროდ, მოლების ქადაგებამ თავისი გაიტანა და 1882 წლის იანვარში სკოლაში ქართველი მაჰმადიანი ბავშვები აღარ დარჩნენ. ილია ჭავჭავაძე ძალიან შეაწუხა აჭარელი ბავშვების სკოლიდან წასვლამ და მიუხედავად მოუცლებლობისა, 1882 წლის 30 ოქტომბერს სანაოსნო გზით ბათუმში ჩამოვიდა. აჭარლებმა დიდად გაიხარეს ძვირითასი სტუმრის მოსვლით. ილია ჭავჭავაძემ სასწრაფოდ მოიწვია ბა-

თუმში მცხოვრები გავლენიანი ქართველი მაჰმადიანი ბეგების გარეთ უკავია ბირი. დიდი იყო ილიას სიტყვების შთამაგონებელი ძალა აჭარაში მცხოვრების, რომლებსაც საყვარელი მწერალი გულით განუმარტავდა. რომ ქართველობას არ აშინებდა სარწმუნოების სხვადასხვაობა; რადგან თავის სარწმუნოებით ჭვარცმულმა ქართველმა იცოდა პატივი სხვისი სარწმუნოებისა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ მედროშეს ილია ჭავჭავაძეს გვერდში ედგნენ იმ დროისათვის გავლენიანი პირი, საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელი: გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი, ლუკა ასათიანი და სხვანი, რომელთა უანგარო საქმიანობამ ჭაობიან, ჭუჭყიან, ღარიბთა ქოხმახებით დაფარულ ბათუმს ქართული ქალაქის შნო და იერი მისცა.

გრიგოლ ვოლსკი პროფესიით ექიმი, ნიჭიერი პოეტი და კრიტიკოსი იყო. ეს დაუღალაცი საზოგადო მოღვაწე ბათუმში 1885 წლამდე ცხოვრობდა. იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე იყო. ქალაქში ყველა პრობლემური საკითხი მისი თაოსნობით წყდებოდა, რომლის შესახებ დ. კლდიაშვილმა, გრ. ლასხნიშვილმა. 3. უმიკაშვილმა და ს. მგალობლიშვილმა შესანიშნავი მოვლენებით დაგვიტოვეს.

კვირადღეობით გრ. ვოლსკის ბინა ერთგვარ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა, საბაც მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობრნენ და წყვეტდნენ კიდეც; მას გვერდით ედგნენ სახალხო საქმის მესვეურები. ლუკა ასათიანი და ივანე მესხი. მათაც დიდი წვლილი მიუძღვით ბათუმის ალორძინებაში.

ლუკა ასათიანი ბათუმის პირველი ქალაქის თავი იყო. ამ ფრიად განსწვლული პიროვნების შედგენილი გეგმით, პეტერბურგის მსგავსად, დაიგეგმა ბათუმის განიერი ქუჩები, აშენდა საავადმყოფო, ელსად-გური, ნავთის სარეწაოები, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, გაშენდა ქალაქის ახლანდელი საბჭოს შენობა და პიონერთა პარკი.

ქართველი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი მესხების ოჯახი. ივანე მესხმა მოღვაწეობა ბათუმში დაიწყო და ყოველგვარ კულტურულ წამოწევებას სათავეში ჩაუდგა. იგი განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა სახალხო განათლებას.

გრ. ვოლსკისა და ივანე მესხის ხელმძღვანელობით, ყოველ ახალ წელს, ბათუმში ტრადიციული ქართული საღამო იმართებოდა, რომელ-საც დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელიც დასწრებია და ბინადაც მასთან დარჩენილა.

1890-1891 წლებში ბათუმში, ნავსადგურსა და როტშილდის ქარ-

ჩნაში შავ მუშად მუშაობდა ეგნატე ნინოშვილი, რომელიც აგრეთვე  
გრიგოლ ვოლსკიან და დავით ქლდიაშვილთან მეგობრობდა.

დიდი მწერალი ეგნატე ნინოშვილი ბათუმში ორჯონიძის ქუჩის  
№ 36 მდებარე სახლში ცხოვრობდა. ამას გვაუწყებს შენობის კედელზე  
ვჭრული მემორიალური დაფა.

1924 წლის დეკემბერში ბათუმს ეწვია ცნობილი რუსი პოეტი სერ-  
გე ესენინი. ენგელსის ქუჩის 11 ნომერში მან დაიკავა პატარა ოთახი.  
აქ დაიწერა ესენინის შესანიშნავი ლექსების ციკლი „სპარსულ მოტივებ-  
ზე“.

ესენინის აქ ყოფნას გვამცნობს მემორიალური დაფა, რომელიც  
იქვე კედელს ამშვენებს.

ჩვენ მიმოვიხილეთ მემორიალური დაფები ლვაწლმოსილი აღამიანე-  
ბის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ აჭარის წარსულთან, მის  
ბეგობან და პერსპექტიულ მომავალთან. აღნიშნეთ მათი კეთილშობილუ-  
რი დამოკიდებულება და სწრაფვა სიკეთისაკენ, რომლებსაც მუდამ შეს-  
ტიკიდათ გული საქართველოს განუყოფელი ნაწილის — აჭარის ხალხის  
სვებებებზე, სწავლა-განათლებასა და სხვა მნიშვნელოვან ეროვნულ  
სკოლებზე.

ქალაქის შენობების კედლებზე გაკრული პატარა დაფები არიან  
ნიშანი მათი ჩვენთან ყოფნისა, რომლებიც საგსე იყვნენ ჩვენდამი ზრუ-  
ნვითა და თავდადებით.

ამასთან ერთად სტატიის ავტორი გულისტიკივილით აღნიშნავს იმ  
ფაქტსაც, რომ სახელოვან მოღვაწეთა შორის მივიწყებულნი არიან ცნობ-  
ილი ქართველი მწერლები: ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი წერეთელი,  
ნიკონიკოლაძე, ავჭანტი ცაგარელი, ქალაქის პირველი თავი — ლუკა ასა-  
თიანი, სერგეი მესხი, გრიგოლ ვოლსკი და სხვანი.

მინდა განსაკუთრებით მოვიხენიო აჭარის მკვიდრი და დიდად  
ღვაწლმოსოლი მამულიშვილი, მწერალი მემედ აბაშიძე, რომელიც ცხოვრ-  
ობდა კიროვის ქუჩის № 27 მდებარე სახლში. მის შესანიშნავ სახელთან  
დაკავშირებულია აჭარის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საქმე.



საქართველო  
 კულტურის  
 მეცნიერებები

## მერაბ ხინდიაძე

### მგზებარე მამულიშვილი

მ. აბაშიძის დაბადების 95 წლისთავი.

საქართველომ თავისი ისტორიის მანძილზე, გარეშე ურდოების შემოსევის გამო, ბევრი სიღუბჭირე გადაიტანა. განსაკუთრებით კი ეს ითქმის სამხრეთ საქართველოზე. ამ ოდესაც ყვავებულ მხარეში უმეტებამ დაისადგურა. წაბილწეს ხახულის ოპიზართა მიერ ნაჭედი წმიდა ხატები, წყაროსთავეს მოხატული საღვთო წიგნები, შატბერდს ნათქვამი სიბრძნე, ოშკში შეთხხული საგალობლები. ასე მოისრა სიყვარულით ნაგები ტაძრები და მონასტრები...

ასე გაითიშა მოსიყვარულე ძმები...

„უწარჩინებულესი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს — საქართველოს შვილი და მცხოვრები იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო... ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის აღამინდისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.“

ასე ახასიათებდა დიდი იღია მტრის მიერ მიტაცებულ, ძალით რჯულშეცვლილ სამხრეთ საქართველოს. იგი გულმოდგინედ იბრძოდა, მოუწოდებდა და რაზმავდა ქართველ ხალხს სამხრეთ საქართველოს შემოერთებისათვის.

ეს ბედნიერი დღეც დაღგა: 1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში განშაონავისუფლებელი ჯარი შემოვიდა. იღია ჭავჭავაძე ამ ფექტს აღფრთოვანებული გამოეხმაურა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან

ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინ-დელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველოს დღეს ჩვენ შემოგვეერთდა“. მაგრამ ილია ხედავდა, რომ დამპუტირების სამასი წლის ბატონობამ სამხრეთ საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა. მათ მხოლოდ დედაენის შენარჩუნება შეძლეს უცხოეთის ბატონობის პერიოდში და იგი ხალხს მოუწოდებდა: „აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამაპაპათა ანდერძს: „ძმა ძმი-სთვისა და შავი დღისთვისაო!“ ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა.. ეხლა გამოჩნდება, შენ პარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისთვისაც სწუხ და ჰე-ქრობ!“

სამხრეთ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა მართლაც მეტად სავალალო იყო, იღა-ბევეგბისა და ხოჭა-მოლების განუკითხავმა ბატონო-ბამ გააჩანავა ადგილობრივი მოსახლეობა. ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანე-ლობით შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც ყოველმხრივ ეხმარებოდა ომითა და სილარიბით განაწარმებ ხალხს.

ახდა ილიას წინასწარმეტყველება — „დიდ წარსულს დიდი მომავა-ლი ექნებაო“. სულ მალე ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოიზარდა არა ერთი სახელმოვანი მოღვაწე, რომლებმაც მთელი შეგნებული ცხო-ვრება და მოღვაწეობა საქართველოს გაერთიანების კეთილშობილურ საქმეს მოახმარეს.

ერთი ასეთი დაუღალავი, სამშობლოსათვის თავდადებული დიდი პატ-რიოტი და მოამავე იყო მემედ აბაშიძე. მისი მღელვრე ცხოვრება და მო-ლვაწეობა იმის მკაფიო მაგალითია, თუ როგორი უნდა იყოს ნამლუალი მამულიშვილი.

მემედ აბაშიძე დაიბადა ქალაქ ბათუმში 1873 წელს. მამამისი, იბრა-იმი, იყო ბათუმის სანჯაყ ბეგი და ბათუმის სადროშოს მმართველი. 1881 წლის 23 მარტი ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. სკოლის გახსნის ზეიმს თვით ილია დაესწრო და ად-გილობრივ მოსახლეობას მიულოცა ეს ღირსასახისოვარი დღე. 8 წლის მე-მედი ამ სკოლის პირველი მსმენელი იყო. ასე რომ, მან განათლება ქა-რთულ ენაზე მიიღო. შემდეგ მამის ხელმძღვანელობით ზედმიწევნით დაეუფლა არაბულ, თურქულ, რუსულ და სპარსულ ენებს. ნიჭიერი ყმაწვილი ხარბად დაეწაფა ამ ენებზე არსებულ მხატვრულ ლიტერატუ-რას.

პ. აბაშიძემ შეიცნო სამშობლოს ჭირ-ვარამი და ლრმად ჩაინერგა გუ-ლში თანამოძმეთა გათვითცნობიერებისა და საქართველოსთან მისი ვა-ნუყოფელი ნაწილის აჭარის გაერთიანებისათვის ბრძოლის იდეა-

მ. აბაშიძის მოღვაწეობა 900-იან წლებში გასწავლებლობით დაიწყო. ასწავლიდა იმ სკოლაში, სადაც თვითონ აღიზარდა.

მ. აბაშიძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა დაქმთხვა იმ პერიოდს, როდესაც ბათუმის მუშათა კლასი თვითმპკრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებოდა. მ. აბაშიძე გულით იზიარებდა თვითმპკრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას. იგი მჭიდროდ დაუკავშირდა მოწინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, იაკობ გოგებაშვილს, ზაქარია ჭიჭინაძეს, აპოლონ წულაძეს, იოსებ იმედაშვილს, ვალერიან გუნიას და სხვებს. მ. აბაშიძე სისტემატურად თანამშრომლობდა მაშინდელ უურნალ-გაზე-თებში. ქართველი საზოგადოება დიდი მოწონებით ხვდებოდა მ. აბაშიძის პუბლიცისტურ წერილებს.

დიდია მემედ აბაშიძის ღვაწლი როგორც მთარგმნელისა. იგი თუ-რქულ, არაბულ, სპარსულ ენებზე თარგმნიდა ქართულ პოეტურ და ღრა-მატულ ქმნილებებს, ხოლო ქართულად — თურქული, სპარსული და არ-აბული ლიტერატურის შედევრებს. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა მის მიერ თარგმნილ თურქი მწერლისა და ღრამატურგის ნამიკ ჯე-მალის ღრამას „სილიისტრიას“, რომელიც „სამშობლოს“ სახელწოდებით დაიგეჭდა „მოამბეში“ პიესა იმ ღროს წარმატებით დაიდგა ბათუმში — ქართულ სცენაზე. სხვა თარგმანებიდან აღსანიშნავია გუზიდე საბრის მოთხრობა „მუნევერ“, სეფეთ-ნეზიქის „შეკითხვა და განმარტება“, ჯე-ლილ მემედ ყულიზადეს „მიცალებულნი“, ომარ ხაიამის რუბაიები და სხვ. აღსანიშნავია, რომ თურქულ ენაზე მან თარგმნა სანდრო შანშაიშვილის „ანზორი“. მან, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო უკვდავი „ვეფხისტყაო-სნის“ თურქულ ენაზე თარგმნის დამთავრება. ორიგინალური ნაწარმო-ებიდან აღსანიშნავია სოციალური ხასიათის მოთხრობა „სულა მაღლაძე“.

ამ დარჩენილა მაშინდელი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც მ. აბაშიძე არ გამოხმაურებოდეს და თავისი ავტო-რიტერული სიტყვა არ ეთქვას, იქნებოდა ეს დედაენის, მისი სიწმინდის დაცვის საქმე, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა თუ სომხებისა და თურქების ურთიერთობა. განსაკუთრებით მისი საზრუნავი იყო მაჰმა-დიანი და ქრისტიანი ქართველების ერთიანობა. ამ საქმეს მან მთელი თა-ვისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა.

მ. აბაშიძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მუდმივი შევიწროების, და-პატიმრებისა და გადასახლების პირობებში. იგი სასტიკ დევნას განიცდი-და 1904-1905 წლების რევოლუციის პერიოდში. რეაქციის გამარჯვების შემდეგ, მ. აბაშიძემ გადაწყვიტა, ოსმალეთში გაჯცევით ეშველა თავისა-თვის, მაგრამ საზღვარზე გადასვლისას დაპატიმრეს და ჯერ ხოფის, შემ-

დეგ რიზეს და ბოლოს ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს, სადაც ერთი წელი გადასახლებული დავყო.

1913 წელს მ. აბაშიძე უნებართვოდ დაბრუნდა ბათუმში, რისთვისაც დააპატიმრეს და ნოვოჩერქასკში გადაასახლეს, საიდანაც მოახერხა თავის დაღწევა, მაგრამ 1914 წელს კვლავ დააპატიმრეს და ერთი წელი მეტეხის ციხეში იჯდა; აქედან კი ენისეის გუბერნიაში გადაასახლეს. ამ დროს მოუწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და განთავისუფლებული მემედი ბათუმში ჩამოვიდა.

1918 წელს, როცა თურქეთმა ბათუმი დაიპყრო, მ. აბაშიძე შეურიგებლად ებრძოდა ოკუპანტებს. თურქეთის სამხედრო მინისტრს ენვერ-ფაშას შეხვედრაზე პირადად განუცხადა: ბათუმი და მისი ოლქი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი. თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ, მიბრძანდით ბათუმიდანო. განრისხებულმა ენვერ-ფაშამ იმავე დღეს დააპატიმრა მ. აბაშიძე და გემით ტრაპიზონში გაგზავნა. ტრაპიზონის ციხეში მას სიკვდილი მოელოდა, მაგრამ ადგილობრივი ლაშების დახმარებით ციხის მეორე სართულის საკნიდან კედელზე თოვით დაეშვა და ლაშმა მენავეებმა იგი ფოთში გამოაპარეს. ფოთიდან მემედი თბილისში ჩავიდა.

ამ დროს აჭარის მოწინავე ადამიანებმა ზია და ჰაიდარ აბაშიძეებმა, ხასან თხილაიშვილმა, სოლეიმან დიასამიძემ და სხვებმა, რომლებიც ლტოლვილი იყვნენ, თბილისში შექმნეს „სამუსლიმანო საქართველოს განმათვისუფლებელი კომიტეტი“. ამ კომიტეტს სათავეში მ. აბაშიძე ჩაუდგა. განმათვისუფლებელი კომიტეტი გაბეჭდულად ილაშქრებდა ოკუპანტების წინააღმდეგ, იღწვოდა საქართველოსთან აჭარის შეერთებისათვის, ხოლო 1919 წელს მოიწვია მუსლიმან ქართველთა პირველი ყრილობა, რომელმაც შექმნა მეჯლისი. მეჯლისის თავმჯდომარედ მემედ აბაშიძე აირჩიეს.

მემედ აბაშიძემ დააარსა ყოველდღიური გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა. ამ გაზეთმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია პარტია „სედაი მილეთის“, ჩეტნიკების ბანდების თარეშია და პანისლამისტურ გავლენას აჭარის მოსახლეობაში.

მ. აბაშიძე იყო საქართველოს ფარგლებში სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის ინიციატორი. მან შეადგინა აჭარის ავტონომიის კონსტიტუციის პირველი პროექტი.

1921 წელს, როდესაც აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, შეიქმნა პირველი რევოლუციური კომიტეტი სერგო ქავთარაძის თავმჯდომარეობით. მემედ აბაშიძე იყო ამ რევოლუციური კომიტეტის წევრი. საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო აჭარის ავტონომია, რომელიც სოციალისტურ გზას დაადგა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მ. აბაშიძეს ეჭირნა  
შევადასხვა თანამდებობა, მაგრამ ძირითადად სამწერლო მოღვაწეობას  
განაგრძობდა.

მ. აბაშიძე თავის ავტობიოგრაფიაში წერდა: „გადამეტებული არ იქ-  
ნება, თუ ვიტყვით, სამუსლიმანო საქართველოს ხელმძღვანელობა ბედმა-  
მე მარგუნა წილად და ხალხიც დიდი ნდობითა და პატივისცემით მეპყრო-  
ბოდა“. მართლაც მ. აბაშიძეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც აღი-  
ლობრივ მოსახლეობაში, ისე მთელი საქართველოს მოწინავე საზოგადო-  
ებაში. იგი გაბედული მებრძოლი, შესანიშნავი ორატორი და მჭევრმე-  
ტყველი იყო. ამასთან მისი მოხდენილი და სიმპათიური გარეგნობა ყვე-  
ლის მოტივალებას იწვევდა.

წიწამურის ტრაგედიამ განუსაზღვრელი მწუხარება მიაყენა მ. აბაში-  
ძეს. დიდი გულისტკივილით დაიტირა პირადი მეგობარი, აჭარის მოამაგვა-  
ჭართველი ერის წინამდლოლი დიდი ილია, წყველა-კრულვით მიმართა  
მან ილიას მკვლელებს: „თქვენ მოჰკალით საუნჯე ჩემის ცხოვრებისა!  
თქვენ დამიბნელეთ სინათლე ჩემის არე-მარისა... თქვენ დაპგმეთ ჩემი  
ვინაობა!... თქვენ უარჲყავით ჩემი წარსული. რომელიც იწყება შორეული  
ისტორიის საზღვარს იქითა!.. თქვენ დამასახიჩრეთ!.. თქვენ დამამახი-  
ნეთ!.. ამომთხარეთ შანთებით ორთავ თვალები! ამომგლიჯეთ ენა, გულ-  
ღვიძლი ისე, როგორც ულმობელმა ჯალაომა!..“ დიდი ილიას სიკვდილით,  
თქვენ გაახარეთ სამშობლოს მტრებიო, და დასძენს, „ვინმე ვარდის კო-  
ხითა რომ შეხებოდა ილიამ, ესეც კი არ ეპატიებოდა!..“ მტრებზე შესატევი  
იარაღი იხმარებოდა განა სამშობლოს საუკეთესო შვილზე?.. სირცხვილი  
თქვენს ვაუკაცობას!.. სირცხვილი თქვენს მამულიშვილობას, თქვენს ადა-  
მიანობას!..“ ასე გამოხატა მან მთელი აჭარის მშრომელთა გოდება დიდი  
ილიას ვერაგულად მოკვლის გამო.

მ. აბაშიძე სამოცდარვა წლისა გარდაიცვალა. ახლახან შესრულდა  
მისი დაბადების 95 წლისთავი. დღეს მთელ ქართველ ხალხთან ერთად აჭ-  
არის მშრომელები დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებენ უან-  
გარო მოღვაწისა და სამშობლოს თავდადებული შვილის მემედ აბაშიძის  
ნათელ სახელს.



# — ჩიტო —

## სტუმარი

ბარათაშვილის საუბილეო დღეებში საქართველო—  
 ში გევრი უცხოელი სტუმარი იმყოფებოდა. მოწვევუ-  
 ლი იყო აგრეთვე ინგლისში მცხოვრები ჩვენი ნიჭიერია  
 თანამემამულე, ახლგაზრდა მწერალი ქალი თამარ  
 დრაგაძე, რომლის კალამს ეკუთვნის რომანი „ცეცხლ-  
 ზე შემოდგმულ რეჟისური“.

თამარმა იმოგზაურა რა საქართველოს სხვადასხვა  
 მხარეში, ეწვია აჭარასაც. ღიდი ინტერესით დაათვალი-  
 ერა საბჭოთა მეურნეობები, ჩაის ფაბრიკა და ჩვენი-  
 ბოტანიკური ბაღი.

ვბეჭდავთ მის ჩანაწერს.

მესამე დღეა მომხიბვლელ აჭარაში ვიმყოფები. მისი რაიონები არ წა-  
 ვავს სხვა რაიონებს, რომელიც მე საქართველოში ხანმოკლე ყოფნის  
 უამს ვინახულე. მისი მშვენიერი ბუნება ძვირფასი სამკაულებით მოსილ  
 ახალგაზრდა ტურთა ქალა ჰავს, ხოლო მწვანით შემოსილი კორდები  
 ზურმუხტით მოოჭვილი გეგონებათ. ირგვლივ გამაბრუებელი სურნელი  
 ტრიალებს.

ეკალიპტის, პალმის, მაგნოლიის ხეთა ჩრდილები ისე აღვეთ კორ-  
 დებს, თითქოს სხვადასხვა ზომის ქუდები ებუროთ. ზემოთ კი ხეთა ტოტე-  
 ბი უსწორმასწოროს ხდის ცას. ჩემი ყურადღება მიიქცია აჭარლების ერთ-  
 გვარმა სიტყვაძვირობამ. იქნებ ეს მათი წარსულის სვე-ბედითაა გამოწვე-  
 ული, ან ეს სიღინჯე მათი ბუნებიდან გამომდინარეობს. ქობულეთის ფიჭ-  
 ვნარში ვიხილე გასაოცარი სურათი — ჩამავალი მზის ციაგი ვარდისფერ  
 სასოფლო იდებდა ზღვაზე... და უნებურად გავივლე გულში — ბუნების  
 ეს მშვენიერი ხილვა თუ ჰქონდათ მარტოდენ ნუგეშად საუკუნეებით გა-  
 ტანჯულ ხალხს...

რაც შეხება კოპტია ქალაქს და მის სანაპიროს — რა რიგ კარგია  
ოქვენ უკეთ იცით! მე მხოლოდ შევძლებდი დამემატებია: — მისმა ყვავი-  
ლოვანმა ქუჩებმა და ცისფერმა პლაჟია განაპირობა ჩემი ხანმოკლე და-  
ვენება და ფრთა შეასხა ლამაზ განცდებს.

და მინდა მაღლობა გადავუხადო ყველა იმათ, ვინაც ჩემი აქ ყოფნა  
ასე დასამახსოვრებელი გახადა



# მუსიკა

ს ერვენ მიხალ ქოვა

## მთვრებლი პურდღული

დაბადების დღეს იხდიდა, ბლომად ჰქონდა ჭურში ღვინო  
ზღარბს ჭურდლელიც მოეწვია მეგობრულიდ, სანადიმოდ,  
და სტუმრებსა მხიარულსა სუფრა დახვდათ მადლიანი.  
სადღეგრძელოს ზედი-ზედა ყანწით სვამდნენ ადლიანით.  
და ჭურდლელაც იმ სუფრაზე ბევრი სვა და იხმიანა:

— წავალ, რაღ!

— სადღა წახვალ? — ზღარბი სტუმარს არ ეშვება.

— მთვრალი ღამით დაიბნევი, ხედავ, ფეხიც კი გეშლება,  
დაიცადე, რად აჩქარდი?

ღამე ჩვენსა გაითენე, ღაისვენე და დაწყნარდი,

სხვაც არ იყოს, ტყეში თურმე, ლომი დაძრწის, მეგობარო,  
ნულარ წახვალ, მეშინია გზაში არსად შეგეყაროს.

— ვინა? ლომი?! თუ ასეა, წწწასვლა სსსწორედ ახხხხლა მიჯობს.  
უუურჩევნია მმომერიდოს, მმე თთვითოონვვე არ დღავგგლიჭო,  
მასთან ძძველი ანგარიშის გგსწორებბა მმინდა თთანაც,  
ტყაგს გგავაძრობ და აფთრიკას გავუყუნებბ ტიტტლიკანად.

და არ დადგა, გაემგზავრა...

და ასეთ დროს, როგორც ხდება,—

აქეთ ამ ხეს, იქით იმ ხეს

მიაწყდება, მიასკდება...

მიდის, მიდის, მიბარბაცებს, ბერ ღამეში არ ჩანს შუქიც,

ულრანი ტყის მყუდროებას არღვევს ჭურდლის ბაქი-ბუქი:

— ვინ აგგგდია. მმმისთანები ვერც კი მმოოვლი იმმმდენია,  
მმაზე დდიდი მხეცცცისთვისაც ზზზურგზე ბოლი გგვიდენია.

ჰოდა როცა ამ ქაქანში ერთ დაბურულ ჭაგნარს გასცდა,

ნაღირთ მეფეს გადააწყდა.

ლომს ეძინა და ხმაური როცა მისწვდა, თურმე, ყურსა,

გილვიძა და მაშინვე ტორი სტაცა ამ უგნურსა.

— აჲ, შენა ხარ ეს, თავხედო?!  
 ხომ დამიფრთხე ტკბილი ძილი.

ჩაგიცეცხლავს კიდეც, ყბედო,  
 მთვრალი ხარ და გალეშილი.

საშინელი საფრთხის შიშით კურდღელს ენა ჩაუვარდა,  
 ზარხოში თუ ღვინის ბუღი იმ წამშივე გაუქარდა.

მერე, როცა გონის მოეგო, უმაღლ ენა დაიგრძელა  
 და ასე თქვა გაიძვერამ:

— მე...ე... ჩვენ...თქვენ.. დიახ, ზღარბთან პურმარილზე მოვილხინეთ,  
 რა ვქნა, თქვენი დღეგრძელობის არ სმა ვეღარ მოვითმინე,  
 შერე თქვენი მეუღლისა სადღეგრძელო გეახელი,  
 თქვენი შვილის ალავერდს ხომ წვეთიც აღარ მოვაკელი,  
 თქვენი ტახტის ერთგულებსაც მივუძღვენით ყანწი ბევრი,  
 ჰოდა, აი, ამდენ სმაში მგონი კიდეც დავითვერა...  
 კლანჭი უშვა ლომმა თურმე და სიამით ჩაიცინა,  
 ყურცანცარამ კი ამგვარად დიდი რისხვა აიცდინა.  
 თვით არ სვამდა ღვინოს ლომი, ვერ იტანდა სიმთვრალესა;  
 უს კი სჭირდა ჭირად, ხოლმე, უჯერებდა ფლიდს და ქლესას.

თარგმნა ანდრია სიორიძემ.



## გალვა გეგლაპე

### უიყინას გასაჭირი

ბაყაყს ჰქითხეს:  
 — ასე უქმაღ  
 რისთვის ზიხარ დღე და ღამე,  
 სახე რატომ ჩამოგტირის,  
 გაწყენინა ვინმებ რამე?  
 — აქ, სიმინდის მოსაყვანაღ  
 შესევია ხალხი ჭაობს —  
 არზი გაჰყავთ, წყალს აშრობენ...  
 ამას ვტირი, ჩემო ღაო!  
 — ვაგლახ, ჰქუა, ეჭ, ბაყაყო,  
 დაგუარგვია ჩანს სრულებით.  
 ჭაობს სპობენ, შენ კი რაო,  
 მართლა ხომ არ გასულელდი?!  
 იშრიალოს ხვალ აქ ბალმა,  
 და ხეები ტოტებს ხრიდეს,  
 იქნებ ბეღმა გაგიღიმოს  
 ამ ჭენჭეყოდან ამოხვიდე.  
 ბაყაყს თვალი აუცრემლდა:  
 — ჩემი გვარი აქა ხარობს,  
 და თუ კერა დამინგრიეს,  
 თავი ვისლა შევაფარო?  
 — იყავ მკვიდრი ჭაობისა, —  
 დამიტოვა წესაღ ჭიშმა,  
 ამ კანონის უარყოფა  
 გარღუვალაღ სიკვდილს ნიშნავს.

\* \* \*

ଶ୍ରୀଗୋଲ ସାହେବ ଫିଲେଯାନାଙ୍ଗେ  
ଶ୍ରୀଗୋଲାବୀ ଅଳ୍ପରୀ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୱର:  
ଶ୍ରୀଗୋଲାବୀ ଫାର୍ମାସିଲାବ,  
ଶ୍ରୀଗୋଲାବୀ — ପ୍ରାଚୀନ ଧୂଦେ.



## შურნქლ „ლიტერატურული პჰერის“ 1968 წლის ნომრების შინკარისი

### მოთხოვები

**გოგოლაძე თენგიზ** — ასეთი კარგი თუ  
იყავ, № 2.

**დგგმუაძე-ფულარია ფუცუ** — ძველი სა-  
სლი, № 6.

**შერეაშიძე ამირან** — პირველი დამარ-  
ცხება, № 3.

**რურუა ილია** — ნავო, იალქნიანო... № 4.

**სანაძირაძე გიორგი** — გასხენება, № 1.

**გელაძე ლევან** — ცეცლთან თამაში,  
№ 1.

**ჩხაიძე გრიგოლ** — შურისძიება, № 2.

**ჩხაიძე ნურადინ** — წვიმიანი ღამე, № 4.

**ჯინჭარაძე ვარლამ** — დედის გული, № 6.

**ხოლებია გემალ** — ტორილი, № 1; ნა-  
ჩუქარი ხანგალი, № 2; შავი სოკის  
ტრიგელია, № 5.

**ჯიგიშვილი ჭონი** — ისეთი არაფე-  
რი, № 1; წაუკითხავი ბარათი, № 5.

**ძირკვაძე ნოდარ** — როცა გაზაფხული  
დგება, № 1.

**რომანაძე შავრო** — უცნორი სარევ,  
№ 5.

**კობალაძე მუხრან** — მზია და გულთ-  
მისანი, № 5.

**ახანიძე ნური** — სიცოცხლე გრძელდე-  
ბა, № 5.

### თარგმნილი მოთხოვები

**ჭონუა ჭიჭიკო** — თეორი კლდე, თაგრმ-  
ნა გაორგი მაჭუტაძემ, № 3.

**ჭენია ალექსი** — მუხნარი იწვის, თარგ-  
მნა ალ. სამსონიამ, № 3.

**სიმონენჯო ვასილ** — თანასე კრაკოვის  
ქორწილი, ფიქრი ბაბუაზე, უკრანუ-  
ლილნ თარგმნა ნური ვერძაძემ, № 4.

### ლექსები, პოემები

**ბარათაშვილი ნიკოლოზ** — ბედი ქართ-  
ლისა (ნაწყვეტი პოემიდან), № 5.

**ტაბიძე გალაქტიონ** — ლექსი, № 3.

**ჩიქოვანი სიმონ** — ლექსი, № 5.

**რურუა პარმენ** — ლექსი, № 5.

**მარიგანი** — ლექსი, № 2.

**ბერულავა ხუტა** — ლექსი, № 1.

**მალაზონია ნეტორ** — ლექსები, № 2,  
№ 3, № 5, № 6.

**ხალვაში ფრიდონ** — ლექსები, № 1,  
№ 5, № 6.

**ოვეაძე ანდრო** — ლექსები, № 6.

**ვარშანიძე მამია** — ათი გალობა, პოემა,  
№ 3.

**კილასონია ნაზი** — ლექსები, № 4.

**გვარიშვილი ნანა** — ლექსები № 4.

**ამისულაშვილი შალვა** — ლექსები, № 2.

**გაუელი გემალ** — ლექსები, № 4.

**კუპრავა ოთარ** — ლექსები, № 4.

**კახიძე მედვა** — ლექსი, № 6.

**სეიდიშვილი ლადო** — ლექსები, № 1,  
№ 4, № 6.

**შალაშბერიძე ოთარ** — ლექსი, № 4.

გორგანელი ვახტანგ — ლექსები, № 1,  
№ 5.

ქათამაძე ჭემალ — ლექსები, № 1, № 5.  
გორგოლაძე ზურაბ — დედა, პოემა, № 2.  
შანიძე ალექსანდრე — ლექსი, № 2.

ართიალუა რევაზ — ლექსი, № 2.

შუალა ქსენია — ლექსი № 2.

გურგენიძე ავთანდილ — ლექსი № 1.  
მელია იაკობ — ლექსები, № 1, № 4,  
№ 6.

ჩხანიძე აკაკი — ლექსები, № 6.

ბააზოვი ახმათ — ლექსები, № 3.

უშვერიძე ირინა — ლექსები, № 2.

ძირვაძე ნოდარ — ლექსები, № 5.

ზორბე შოთა — ლექსები, № 1, № 5.

ანთონე ცისანა — ლექსები, № 1.

თებიძე ჩერვაზ — ლექსები, № 1, № 5.

ანანიძე ლევან — ლექსი, № 1.

ანანიძე შოთა — ლექსები, № 1, № 5.

ჩარევანი ჭუმბერ — ლექსები, № 5.

უღელტი ნათელა — ლექსები, № 5.

კეცლიძე ელგუჯა — ლექსები, № 5.

### თარგმნილი ლექსები

თუმანიანი ოვანეს — ლექსი, სომხური-  
ლან თარგმა გივი შანიაზარმა, № 5.

ტოგბა სანტიგო — ხიროსიმა, ლექსი,  
თარგმნა ს. გომრგაძემ, № 1.

ზინუჟბა ბაგრატ — ლექსები, თარგმნა  
მარია ვარშანიძემ, № 3.

თარბა ივანე — ლექსები, თარგმნეს კა-  
რლო კალაძემ, ნესტორ მალაზონიამ,  
ნანა გვარიშვილმა, № 3.

ლომია კონსტანტინე — ლექსები, თარ-  
გმნა შოთა აკობიამ, № 3.

ჭონუა ალექსი — ლექსი, თარგმნა შო-  
თა აკობიამ, № 3.

ლასურია მეზნი — ლექსები, თარგმნა  
ზურაბ გორგოლაძემ, № 3.

წვიმბა შალვა — ლექსები, თარგმნა შო-  
თა აკობიამ, № 3.

კვიშინია შალვა — ლექსები, თარგმნა  
ზურაბ გორგოლაძემ, № 3.

ბილლური ჰაკიმა — ლექსი, რაოგორ-  
ნანა გვარიშვილმა, № 6.

კავკაზიგი ილია — ლექსები, თარგმა-  
მირან გურგენიძემ, № 6.

### პრიტიპა, პუბლიცისტიკა,

### აუგლიკაცია

რედაქციისაგან, № 1.

აბაშიძე გრიგოლ — და გზა უვალი...  
№ 5.

სარიტვილი რენა — დიადი ოქტომბერშა  
და საბჭოთა ძარის ახალგაზრდობა,  
№ 5.

სიტყვა აკაკი წერეთლისა, № 5.

„ალმარა“ სტუმრად „ლიტერატურუ-  
ლი აქარის“ ფურცლებზე, ინტერვიუ,  
№ 3.

შამელაშვილი რაფიელ — ვ. ი. ლენინი-  
ნის შესახებ, № 1.

ბაბილონე გრიგოლ — თბილისის სახე-  
ლმწიფო უნივერსიტეტი და სახალხო  
განათლება აქარაში, № 5.

ბერიძე შერაბ — თანამედროვე პროზა-  
ში ქველი ხალხური „მოთქმის“ ვა-  
მოყენება, № 1.

ვარშანიძე მამია — მეგობრის სახსოვა-  
რი, № 1.

ჭობენაძე პავლე — თანამედროვე რო-  
მანის განვითარების პრესენტიცები,  
№ 2.

ცემოტიშვილი ნელი — ცნობები არსენ-  
ოძელაშვილზე, № 2.

ელიზაბერაშვილი კლიმენტი — აქარის  
მოსახლეობა, № 2.

ჩავლენიშვილი ალექსანდრე — ლიტერა-  
ტურულ-მხატვრული ისტატობის ცნა-  
ბისათვის, № 3.

სურგულაძე აბელ — კ. მარქსი და ფ-  
ენგელსი ბათუმის შესახებ, 1-2;  
გულო კაიკაციშვილის უცნობი სიტყვები,  
№ 3; გულო კაიკაციშვილი, № 1;  
ქართველთა ზღვაოსნობის ისტორიი-  
დან, № 6.

ბექირიშვილი იოსებ — გორგი შათუ-  
ში, № 2.



ნაცვალაძე დავით — რას გვამბობენ  
მემორიალური დაფები, № 6.

### გზოსნის არჩივიდან

გამესკირია ვიქტორ — ლექსები, № 6.  
ლევავა გომრგი — ლექსები, № 6.

### სელოვება

შარაშიძე ლადო — ნაუმ არნესონი —  
ლენინის პირველი ქანდაკების ავტორი,  
№ 6.

მხეთალაძე ალექსანდრე — ხალხური მუსი-  
კა აჭარაში, № 3.

მაღლაფერიძე რევაზ — ახალგაზრდა აქ-  
ტორი ქალები, № 2.

ქათამაძე თეიმურაზ — ცეკვას ფატმა  
კობალაძე, № 2.

### სატირა და იუმორი

გუმბერიძე ოთარ—მე, ვიგა, ჩემი ცოლი  
და ტელევიზორი, № 2.

კობალაძე მუხრან — სამწევრა ნირვის  
ბრალია, № 1.

ჩვენი პალეოლიტის მუზეუმი  
ქურიძე შოთა — ხალხის სამასხურში,  
№ 1.

ხინიკაძე მერაბ — მგზებარე მამული-  
უილი, № 6.

### ზიგნების მიმოკლება

ბიბილეიშვილი იური — შარაუ საფიცე-  
რი, № 2.

### იგავ-არაპი

მიხალყოვი სერგეი — ლომი და იარ-  
ლიყი, მთვრალი კურდლელი, თარგმა-  
ნიდრია სიორიძემ, № 1, № 6.

შუბლაძე შალვა — არწივა და ბელურა;  
ყიყინას გასაჭირი, № 1, № 6.

### ჩვენი სტუმრები

დრაგაძე თამარი — ჩემი შეაბეჭდილება,  
№ 6.

## మ న క ఆ న ల ఉ

మ — ల్యాబో . . . . .	3	పరిశీలన రా వ్యాఖ్యానికిలు
ఎపా-షులాను — దొండ		
స్టో . . . . .	7	5. కొబణ్ణిజ్ఞాను — ఏంగారిస భా- ష్యాగ్వియిం గామార్క్ష్యిం వింర్వ్యేల ఫ్లోప్పిం . . . . .
మెచ్చార్పి — ల్యాబో . . . . .	11	6. బాచిలోను — వింర్వ్యేల్ సాస్త్రం మ్యూసిట్రిం . . . . .
7. జింజెచార్పి — డ్రెడిస గుణ . . . . .	12	7. బాచిలోను — వింర్వ్యేల్ సాస్త్రం మ్యూసిట్రిం . . . . .
8. కాచిల్ — వాళిస సాగాలుంబేల్సి (ల్యాబో) . . . . .	16	8. ఇంచిలోను — సామెంట్ బ్యా- ర్రో . . . . .
ఎ. కెంబిజెంటు — ఇంగాంసి (ల్య- ప్పిం) . . . . .	18	9. సెరిగుల్లాపి — ఫారిట్వెల్తా ష్లోవానెన్మిసి సిట్రార్సిండాన్ . . . . .
ఱ. వెండు — ల్యాబో . . . . .	21	10. నొచెల్లాపి — రాస మించ్‌పెట్స్‌రో- బెక్ మెథమార్కాల్యూర్రి ఇంఫ్రెం . . . . .
అ. కెంచిల్ — ఇంగ్వాల్ప్రో ష్లోష్ (ష్లోష్మేర్‌ట్రూర్ మింట్‌రోం) . . . . .	26	11. కెంబెన్ కాంపెనీ
ఇ. కెంపుల్లాపి — బాహాతి (ల్యాబో, ష్లోర్బాంగాన్స్‌ల్యూల్పిండాన్ తార్గమెన్ బ. గ్వార్లిష్‌ప్రోల్మా) . . . . .	■	12. కెంబెన్ కాంపెనీ — బ్యాంక్ ఇంగ్లీష్ మ్యూసిట్రిం . . . . .
ఊ. కాచెచాంపి — ల్యాబో . . . . .	36	13. కెంబెన్ కాంపెనీ సెర్విస్‌రెండింగ్ . . . . .
ఎ. కాపుల్లాపి — ల్యాబో . . . . .	38	14. తామార ఇంకాంపి . . . . .
అ. కెంపిలెంటు — ల్యాబో . . . . .	43	15. కెంబెన్ కాంపెనీ సెర్విస్‌రెండింగ్ . . . . .
ఇ. ల్యాబెచ్చి — మెగంబెచ్చి (ల్యా- ప్పిం) . . . . .	45	16. కెంబెన్ కాంపెనీ — మింగ్‌రాల్సి క్రూ- ర్లెండింగ్ . . . . .
17. కెంబెన్ కాంపెనీ ఇంగ్లాండ్ ఐపిఎస్		17. కెంబెన్ కాంపెనీ — మ్యూసిం గాసాష్టో- ర్లో . . . . .
100 ట్రోలెస్‌టాబుస ఉసాసెండ్‌రుల్స		18. కెంబెన్ కాంపెనీ „సింతెర్లు క్రూ- ర్లు“ 1968 ఫ్లెంగ్ కొమర్చెంట్ శించా- ర్లో . . . . .
ఎ. కెంగాళిపి — న్యూమ అంసెన్స్ ల్యూనిసిస వింర్వ్యేల్సి మ్యూసింగ్ . . . . .		19. కెంబెన్ కాంపెనీ . . . . .
అ. కెంత్రం . . . . .	46	

რედაქტორი ნანა გვარიშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, შ. როყვა (პ/მგ. მდივანი), პ. ლორია,  
ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივანის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. I. 69 წ. საბეჭდი 6, საგამოცემლა

5 თაბაზი, შეკვეთის № 6706, ემ00689, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 1800.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის  
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

აჭარის შურნალ-გაზეთების გამოცემლის

8/26/81



ვაცი 40 გვგ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ  
„Литература и Аджара“  
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76118